

~~K 778~~
4



Б. БОДРУЗДАПУС

БАВІЛОН

ЗАКІНЧЕНО 1902 р.

ЗАМІСТЯ

8. ФІЛІППОВСЬКА

ФІЛІППОВСЬКА

1889

КНИЖНОЕ И ГАЗЕТНОЕ АГЕНТОВО

АГЕНТОВО

М. НИКОЛАЕВІ

ВЪ БАТУМЪ



8.5.2019-5045 1/1

Дозволено цензурою Тифлисъ 8 Мая
1889 года.

Типогр. М. Д. Ротшильда на Гол.
просп. д. № 41.

6. ნიკოლაების ცაგერი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

I.	წინასიტყვათა	
II.	რასაც დასთეს — იმას მომკი.	1
III.	რედაქციისაგან.	17
IV.	ძველი მეგობრები ახალ კანში.	26
V.	ატტილის საქმე	39
VI.	ომის გავლენა ეპრობაზე.	50
VII.	ომის საღლეგრძელო	68
VIII.	ქართული ხასიათი რუსულ წარმოდგენიში	97
IX.	ჩემ მკითხველს	113
X.	ნიკო ინაშვილის სიკვდილზე.	127
XI.	ბავშვების მოვლა მაღას- ტარზე	139
XII.	ცოლ-ქმრობის კაჭორბა	189
XIII.	— ველტონისტის გოდება	203

მინდოდა ბევრი რამ მეთქვა მკით-
სკელისთვის ჩემი ქართული ნაწერის
გადმობეჭდვის დასაწყისში; მაგრამ სა-
თქმელის დასამტკიცებლათ იმ ნა-
წერების სისესხბა დამჭირდებოდა, რო-
მელსიც უემდეგ წიგნებში უნდა შევიდენ.
ამ მიზეზით ჯერ თვითონ ნაწერების
დაბეჭდვა გამჯობინება, და მერმე მათი დე-
და-აზრის, მათი საზოგადო მიმართულე-
ბის ასსხა.

მთელი კრება ათ თუ თოლმეტ წიგნის
შეადგენს. ჯერ ერთიანსათ გადმობეჭდე-
ბა ფელტონები, მერე—კრიტიკული ან
პოლემიკური ნაწერი, და ბოლოს—პუბ-
ლიცისტიკა.

უმკიცესი საწილი ჩემი საწერისა და-
საწერისში ხავუწ-ხავუწათ დამასინჯებული
იქტედებოდა. ჩემთვის, რასაკვირველია,
სასურველი იქნებოდა მათი გადმოსეტდე
თავდაპირველი სისრულით. მაგრამ ჩვენი,
მაშინ, არც დედას ვისახდით, არც კორ-
ოქტორიას. ამის გამო სისრულეს თავი
უხდა დავანებოთ.

გადმოსეტდევის დროს საწერის აზრის ხელ-
უსლებლათ გროვებ, ისე, როგორც თავ-
დაპირველათ დამიწერია. ესას კი ზოგ-
ალაგას შალა შინი გავარი.

ნ. ნიკოლაძე.

26 ნოემბერს 1877
თფილისი.

რასაც დასთავს — იმას მოგეი!

(ფანტაზია)

— 15 მაის 1870.

ამ უკანასკნელი ორი კვირის გან-
მავრობაში ერთ ნაბიჯს ვერ გადა-
დგამდა ქალაქში კაცი, ისე, რომ
ერთ და იმავე საგანზე — „ოჯახის
სიწმინდეზე“ — არ გაეგონა ლა-
პარაკი. ვინიცობაა, ერთი ლერი სან-
თლის ყიდვა რომ დასჭირებოდა
კაცს, მეღუქნე საყიდ სანთელს ქა-
ლალდში უიმისოთ არ გაუხვევდა,
რომ არ ეთქვა..:

— მამავ, ამისთანა ხათაბალა გი-
ნახავს: ჰამ ცოლიც... კაცს წაგერ-
თოს, და შენ თითონვე დანაშაული
გამოდიოდე!..

ვისთანმე ძლიერ საჭირო საჭმე
რომ გქონდა; და საკუთრათ ამის-

თვის მისულიყავით, თქვენ საჭმეს
იქით მიაგდებდა, და უსათუოთ ცოლ-
ქრმობაზე ლაპარაკს ჩამოგვიგდებდათ,
ამ სიტყვებით:

— ქაცმა ცოლი... წაგართოს, და
შენვე გსჯიდენ, გკარგვიდენ, ვა, ეს
რა ცეცხლია!...

ქადრილის თამაშში, ან იარაღაშ-
ში, ქალისთვის ტაროსის მყუდრო-
ებაზე ლაპარაკი რომ დაგეწყოთ,
ის უწინდელივით კი არ გიპასუხებ-
დათ:

— „დიახ, დღეს უცხო დარი გა-
ხლავს.“

არა, ის დალონებული, შეშინე-
ბული ხმით შემოგჩივლებდა:

— თქვენმა სიცოცხლემ. ეს სა-
შინელება რამეა!...

ასე გასინჯეთ, იმდღეს, როცა
ვაეტონში ვჯდებოდი, იმერელმა
მეფეიტონემ ის კი არ მკითხა საით
მიბრძანებოთ, — ცხენებს გამწარებუ-

ლათ შოლტი გადაჰკრა, მძიმეთ ამ-
ოიოხრა, მობრუნდა ჩემკენ და დამ-
წვარი გულით მითხრა:

— წეიპილწა, ბატონო ქვეყანა,
სუნთლათ წეიპილწა...

თქვენი მტერი იყოს, რაც მე ამ-
ნაირმა ლაპარაკი თავი მომაბეჭრა:
კაცი სულ ერთნაირი ლაპარაკით
თავის ტვრი წალებული ჰქონდეს. და
ის კი არ იცოდეს, თუ რაზედ არის
მუსაიფი, — მეტი უბედურება ხო აღ-
არ იქნება!.

ხანდისხან, ისეთ ნაირ მდგომარე-
ობაში ჩაუყენებივას ამ უცოდინა-
რობას, რომ ტანზე ერთი ჩაფი ოფ-
ლი გარდამსხმია. მრთ ალაგას, შე-
სვლის უწინ, მომაძახეს: „თქვენც
ხომ იმ პზრისა ხართ, რომ ოჯახი
წმინდათ დაცული უნდა იყოსო?“

ჩემდა საუბედუროთ, თავის მო-
წონება მოვინდომე, და წამოვროშე:
„დიახ, დიახ, ოჯახი კაცისთვის ტაძა-

რი არის მეთქი.“ უნდა გენახათ, ამ სიტყვებზე რა ნაირათ დააღეს პირი ჩემმა მოსაუბრებმა!.. სახლის პატრონი ერთ ხანს გაჩუმებული იჯდა, მაგრამ, რაკი შენიშვნა, რომ ჩემი სიტყვა სტუმრების საწყენათ დარჩა, ადგა, მკლავში ხელი გამიყარა, კუთხი-საკენ გაჩასეირნა, და ყურში ჩამიჩურ-ჩულა:

— ვგ რა თქვი, შე ოხერო? შენ იმას გეუბნებოდენ, რომ ოჯახი დაცული უნდა იყოსო, შენ კი როშავ, საყოველთავოთ კარდალებული უნდა იქნესო!

მაშინ რომ ენა ჩავიკვნიტე, დღე-მდინაც დასისხლიანებული მაქვს, ღმერთს გეფიცებით.— ოჰ, მჭევრე-ტყველებავ, რამდენი კაცი ულთოთ გიწვალებია!..

მას აქეთ თავი ვერსად გამომიყია შიშით, რომ აი, ეს არის, ოჯახზე ლაპარაკს დაიწყებენ მეთქი.

ერთ ხანს ამნაირი მუსაიფის მიზეზი
მინდოდა გამომეძებნა, მავრამ მთა-
სა და ბარს მოვედე, და მაინც ვერა
ვიპოვე. მერე მინდოდა იმისთანა
პასუხები დამეშჩადებინა, რომ არც
აზრი რამ ჰქონოდათ, არც მნიშვ-
ნელობა, და თან მსმენლისთვის კი
თავბრუ დაეხვიათ.

გამოეძებნე ამ ნაირი ფრაზებიც,
შაგალითად: „ოჯახი არის ლაპარი,
რომელიც კაცს სიცოცხლის გზას
უნათებს,“ ან „ოჯახი კერაა, რომე-
ლიც დაღალულ კაცს ათბობს და
ლონეს აძლევს.“ მაგრამ, როცა ერთ
ამ საგანზე ლაპარაკი ჩამოვარდა,
ჩემი ფრაზების გამოთქმა სირცევი-
ლით ვეღარც კი გავბედე. — ვაი, თუ
ვინმემ თუთიყუში დამიძახოს მეთ-
ქი.. ამის შემდეგ რაღა უნდა მექნა?
ისევ შინ უნდა დამჯდარეიყავი და
საზოგადოებისთვის თავი დამენებე-
ბინა. მეც ასე მოვიქეცი.

6. ნიკოლაძის ნაწერი

სწორეთ სამი დღე ქუჩაში თავი არ
გამამეყო, როცა „დროებას“ თავის
ქუთაისელი კორრესპონდენტის წი-
გნი მოუვიდა („დროება“, 1870, №
18), რომელშიაც ეწერა: შესანიშ-
ნავი არ არის განა ის გარემოება,
რომ ამ მოკლე ხანში სამ ქმარს
გაექცნენ თავიანთი კანონიერი ცო-
ლები და სხვებს წაჰუცენ? შესანი-
შნავი არ არის ის გარემოება, რომ
სამი ქმარი დარჩა ხელ ცარიელი?“

ეს ამბავი რომ წავიკითხე, არხი-
მედიეთ დაეიღოსალე: გავიგე მეთ-
ქი. თურმე აქაური მუსაიფობის სა-
განი ეს ყოფილა!..

„შმრებს კანონიერი ცოლები გა-
ექცენო,“ თურმე ამ ამბავს შეუ-
ძრავს ჩვენი საზოგადოება, თურმე
ამას შეუწუხებია და შეუშინებია ჩვე-
ნი მხდალი ვაჭკაცები და დარდი-
მანდი ქალები!

როცა რამე მაწუხებს და თავის
რამშეიღება მიძნელდება, ერთ მშვე-
ნიერ, გამოცდილ საშუალებას ეხმა-
რობ, რომელიც იმ წამშივე სევდას
მიკლავს და მხიარულ ქეითზე მაყე-
მებს. თუ ძალიან დამიმადლებ, მკი-
თხეელო, გასწავლი ამ საშუალებას,
იქნება—დღეს არ იყოს, ხვალ—მი-
სი ხმარება შენც დაგჭირდეს.

როცა საქმე გაჭირდეს, ან ცუდი
ამბავი რამ შეიტყო, მაშინვე თავში
ეს აზრი გაივლე: “უარესიც შეიძ-
ლებოდა თქო.” რაკი ამ პრის გაიხ-
სენებ, დარწმუნებული იყავი, რომ
სევდა ველარას დაგაკლებს.

მაგალითათ, — ვთქვათ, ჩვენ სა-
ზოგადოებას, იმ სამწუხარო ამბის
შეტყობის დროს, ამ ასე რომ ეფი-
ქრა: „ქმრებს კანონიერი ცოლე-
ბი გაქცევით; ეს ცუდი საქმეა. მა-
გრამ შეიძლებოდა, რომ ცოლებს

კანინიერი ქმრები გარეთ გამოუჩე-
კათ, — და ეს უარესი იქნებოდა, “
— ამის შემდეგ ცოლების გაქცევის
ამბავი ასე როდილა ვისმეს შეაწუ-
ხებდა.

მართლაც, ხომ შესაძლებელი სა-
ქმედა, ცოლმა რომ ქმარი გარეთ გა-
ავდოს? შესაძლებელი კი არა, ამ-
ბობენ, ამისთანა მაგალითი კიდეც
მომხდარა, თურმე, საღლაც. აბა,
წარმოიდგინეთ ეხლა იმ ქმარის მდგო-
მარეობა, რომელიც ერთ წეიმიან,
ზამთრის სალამოს, თითქმის პე-
რანგის და პერანგის ამხანაკის ამარა,
ცოლს გარეთ გამოუსტუმრებია.
ამასთან შედარებით — მიბრძანეთ, —
რა უშავს იმ ქმარს, რომელიც ერთ
მშვენიერ დილას თავის საკუთარ
ლოგინში იღვიძებს, და თავის გვერ-
დით ცოლს ველარ პოულობს?

მართალია, ეს უფანასკნელი მდგო-

მარეობაც უსიამოვნო რამ არის, მაგრამ...

„მაგრამ რაო“? მეტყოს მკითხველი.

ცოლ-ქმრობისთანა, საზოგადოთ კაცისა და ქალის ერთმანერთან დამოკიდებულებისთანა ახირებული საქმე ჩემ დღეში არაფერი მინახავს. როცა კაცი, ვთქვათ, ჩექმას ყიდულობს, იმას აზრშიაც არ მოსდის, მოსთხოვოს ნაყიდ საქონელს, რომ ქუდობა ან ჩოხობა გაუწიოს. თუ ნაყიდი ჩექმა ჩექმათ არვია, მყიდველი ჩექმის ხმარების დროს გამსყიდველის მამის სულს ლოცავს. სახედნი ხარი რომ იყიდოს კაცმა იმ მიზეზით კი არ დაიწუნებს, რომ საჯდომ ცხენათ არ მარგიაო: ხარმა ოდონდ იხაროს, მის პატრონს მეტი არა უნდა რა. აგრე ფიქრობს კაცი ყოველ გვარ საგანზე, ცოლს გარდა.

საცოლო კაცი ჩვენში, როგორც
სხვაგან, მდიდარ და შემძლე ქალს
ეძებს. მალის ამორჩევის დროს ის
იმას კი არ კითხულობს, თუ ქალი
რა ხასიათისაა, ან რა ჩვეულობა
აქვს, ან რა იცის, რის მომხერხებე-
ლია, არა. Ու კითხულობს — მზით-
ვათ რა მოზღევსო, ვინა ყავს ნათე-
სავი და მოყვარეო, რა ნაირ შველას
და დახმარებას უნდა ველოდე მის
ნათესავებისგანო. მალის ხასიათი,
შნო, სილამაზე, სწავლა, გონება —
ეს საგნები ვის აფონდება. საქმე შზი-
თევია, ნათესავობაა. სილაზათე, ხა-
სიაჟი, სწავლა — გინდ კარგი ჰქონ-
დეს ქალს, გინდ ავი, სულ ერთია!

ასეა საქმე. მოდის ახალგაზდა კა-
ცი, რომელსაც ქალი ჯერ იქნება
თვალითაც არ უნახავს, და ეუბნება
ქალის დედ-მამას: მე ესა და ეს კა-
ცი გახლავარ, ამოდენა მამული მაქვს.
ადგილიც ჭარგი მიკავია; გვარა-

დაც რიგიანი ვარ, — ერთი სიტყვით
კოტრი ვაჭარივით თავს იქვებს, და
ბოლოს ამბობს: თქვენი ქალი
მომეცით, თან შესაფერი მზითევიც.
— ჩინებულათ დავარჩენ იმას და
ჩემ ოჯახსაცო.

მოხდება ვაჭრობა — სიმამრი მზი-
თების დაკლებას ცდილობს; სიძე,
რასაკვირველია, მომატებას. ბო-
ლოს /საქმე რიგდება. ახალგაზდებს
დიდი ამბით ჯვარს სწურენ და ის-
ტუმრებენ...

მხლა ეს მიბრძანეთ, ახალგაზდა
ქმარს რა ხმა აქვს ამოსალები, თუ
მისი ცოლი უხეირო და უყოფაქცეო
დიაცი გამოდგა. ან და რა პირით
უნდა მოსთხოვოს ცოლს სიყვარუ-
ლი და ერთგულება? საცოლოს არ-
ჩევის დროს, ის სიმღიღრეს და შემ-
ძლე ნათესავებს ეძებდა; — ჯვრის და-
წერის შემდგომ კი სიყვარული და

ჭურა გახსენებია ყმაწვილს... აფე-
რუმ!

ერთობ გასქელებული შუბლის
კანი უნდა ჰქონდეს იმ ქმარს, რო-
მელიც ამ ნაირათ ანარჩევ ცოლს
სიყვარულს ან ერთგულებას მოსთ-
ხოვს. ერთიც ვნახოთ, ცოლმა უპა-
სუხა:

— ქაცო ნამუსიც კარგი საქონე-
ლია! მე ხომ არ მოგწონებივარ, ჩე-
მი მზითევი მოგეწონა; ჩემთან ხომ
არ გქონია საქმე,— ჩემი მზითვის
პატრონთან გქონდა. შენ მის მო-
წონებას, მის ღათანხმებას და შოვ-
ნას ცდილობდი, და არა ჩემსას. მხ-
ლა ეს ჩემი მზითევი ხომ მიგილია,
ჩემთან რაღა ხელი გაქვს?

რა უნდა უთხრას მაშინ ქმარმა?
ამისთანა მდგომარეობაში ის დვე-
ბა და ამბობს; „ცოლ-ქმრობა კაცის
სიცოცხლის განმანათებელი ლამ-
პარიაო!“

„უოლქრმობა კაცის სიცოცხლის
განმანათებლი ლამპარია?“

თუ ასეა, შარტო დღეს უნდა გა-
ახსენდეს კაცს ლამპარობა? — თუ კა-
ცი სიცოცხლის გასანათებელ ლამ-
პარს ეძებდა, რაღა ეშმაკათ. ცდი-
ლობდა, რომ ლამპარი მაინც
და მაინც შავი ან თეთრი ფულით
ყოფილიყო გატენილი. და თავისი
უმთავრესი ყურადღება რატომ იმა-
ზე არ მიაქცია, რომ ლამპარს სან-
თელი, ან ჭრაჭი, თავის ალაგას
ჰქონიდა?

„ლამპარი,“ ჩემო ბატონებო, ძა-
ლიან ნაზი საქონელი გახლავს. ის
ძლიერ ოსტატურ ხელობას, მოვლას
და შენახვას თხოულობს. თუ გინდათ,
რომ ის დიდხანს და ბრწყინვალეთ
გინათებდეს, გამოახილეთ თვალი
და ეცადეთ, რომ გამკეთებელმა და
მომვლელმა ლამპარი თავიდამვე არ
წაახდინოს, და წვერულვაშიანი ბაჟ-

შვების სათამაშოთ არ ჭახადოს. თორემ, როცა ჭრაქის დასადგამი ალაგი ლამპარს გავარღნილი ექნება, გვერდები ჩაჭყლეტილი და შუშები დამსხვრეული. მაშინ, ბევრიც რომ იწვალოთ, ვერაურათ გამოიყენებთ: რამდენჯერაც უნდა ჩაანთოთ შიგ სანთელი, ან ქვეშ გავარღება, ან ათას მხრიდამ გამკვრელ, გამომკვრელ ქარს ვეღარ გაუძლებს და დაივსება.

აქამდი, მკითხველო, მე ცოლგაქცეულ ქმრებზე გემუსაიფებოდი მოდი, ეხლა, ორიოდე სიტყვა რმ ქმრებზედაც ვთქვათ, რომელთაც, მათდასაუბეჭუროთ, ცოლები არ სცილდებიან.

ზოგიერთ ყმაწვილებს წელან აწერილ ნაირათ შეურთავთ რამდენიმე ათასი თუმანი, და თან მახინჯი ცოლებიც წამოუყვანიათ. უშრომოთ

ნაშოვარ ფულს, რასაკვირველია ჯიბეში ან ყუთში დარჩენა ეძნელება. ამის გამო ამ ყმაწვილების მზით ვიც მაღვე გაიფლანგა, ბანქოში ვარ, თუ ცხენებში, ან ქალებში,— სულ ერთია. და ერთ მშვენიერ დილას ჩვენ ახალგაზდას ხელში მანინჭი ცოლი და გახვრეტილი ჯიბე შერჩენია!

როცა ამგვარი ყმაწვილების წინ გაქცეულ ცოლებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უნდა გაიგონოთ მაშინ, რა ოხერა ამოდის იმათი გულიდამ და დაინახოთ, რა სიხარბე გამოეღავის იმათი თვალებიდამ! — „ღმერთო! ფიქრობენ, ერთი იმ დღეს მალირსე, ჩემი ცოლიც ვისმეს მოეტაცოს, თუ მაინცა და მაინც მისი სიკვდილის ლირსს არ გამხდოო!...

და რაც მათ გულში გრძნობა და სიმხურეალე ჩარჩენილა ყმაწვი-

ლობიდამ, სულ ერთიანათ ამ ოხვ-
რაში ამოღის.

ამბობენ, ვითომ ერთ ამ ყმაწვილ-
თაგანს იმ დღეს კიდევაც ეთქვას,
მის წინ რომ გაქცეულ ცოლებზე
ლაპარაკობდენ: — უბედურს კაცს ცხე-
ნი გაეტცევა, და ბედნიერს ცოლიო!

მაგრამ, დაილოცა ლვის სამარ-
თალი! აგრე სჩანს, რომ მზითვით
დახარბებულ ქმრებს, ვისაც ლამაზი
და შნოიანი ცოლი შეხვედრია,
იმას ცოლი თითქმის მეორე დღეს-
ვე ექცევა; და ვისაც მახინჯი, ბაი-
ცუში რგებია, იმან ცოლი ამ სო-
ფელში კი არა, მგონია საიქიოსაც
თავითამ ვეღარ მოიშოროს.

რედაქციის საგან

30 მაის 1870.

იმ ქვეყნებში, საცა გაზეთებს მარტო სტოლის გასამშვენირებლათ კი არა, საკითხავათ იბარებენ (რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს ჩვენ სამშობლოზე არ ითქმის, ამიტომ რომ ჩვენში გაზეთებს სტოლის სიშნოსთვისაც იშვიათათ იწერენ), მკითხველებს', ერთი უცხო ჩვეულება აქვთ. ყოველთვის, როცა ისინი გაზეთში ან მოსაწონს, ან საძრას ჩასმე შენიშნავენ, მაშინვე ხელში საწერ-კალაშს და ქალალდს იღებენ და რედაქტორს ქების ან სამღურავის წიგნს სწერენ. იქაურ მკითხველებსა და გაზეთებს შეუ ისეთი გაწყობილებაა, რომ მკითხველი თავისთვის გატენის მევლარი, დამრიცესტლი; ჟურნალის ამხილველი დასტელში ფინან-



1728

ლია. ნაკლებათ გასაკვირველი არც
ის არის, რომ მკითხველი ყველა-
ფერს, რისიც შეტყობა კი დასჭირ-
დება, გაზეთში ეძებს და ძლიერ
ხშირათ კიდევაც სთხოვს რედაქტირას,
ამისსენით ესა და ეს საგანირა არის,
კარგია თუ, ავიო.

რა გინდ სუსტი და უსაფუძვლო
იყოს ამ გვარი შენიშვნები, იმათ ერ-
თი ლირსება მაინც აქვთ: რედაქტია
ამ ნაირი წიგნების შემწეობით, მკი-
თხველი საზოგადოების საჭიროებას
ტყობილობს და მის აზრს გაიცნობს;
მაშასადამე მკითხველების სასარგებ-
ლოთ და საკმაყოფილოთ გაზეთის
წაყვანა მას უფრო უადვილდება.

რასაკვირველია, ჩვენში ამ გვარი
წყობილება უჩვევია ჯერ. მაგრამ ხან-
დის-ხან (მართალია, ძლიერ იშვია-
თო), ზოგიერთი მეგობრები ჩვენ
გაზეთზე თავიანთ აზრს გვწერენ, ან
გვეუბნებიან. თუმცა მკითხველების
შენიშვნის ბეჭდვა არც სხვაგან

არის მიღებული — რადგან ეს შე-
ნიშვნები საბეჭდავათ კი არა, რე-
დაქტორის ყურადღების მისაქცევათ
იგზავნებიან, — ჩვენ დღეს დიდი სია-
მოვნებით ვაძლევთ ალაგს შემდეგ
წიგნს, რომელიც ჩვენთვის ერთ მკით-
ხველს მეცხრამეტე ნომერში დაბეჭ-
დილი ფელტონის წაკითხვის შემდ-
გომ მოუწერია.

„პატივცემულო „დროების“ დრო-
ებითო რედაქტორო!

„თქვენი გაჩეთის მეცხრამეტე ნო-
მერში უფ. სკანდელი დონკიხოტუ-
რათ ებრძეის მშითვიან ქალის შერ-
თვას, და წინდაუხედავათ ხარხა-
რებს იმ საბრალო პირებზე, ვისიც
შუბლი ცოლებს ჯლიანი რქებით
შეუმკიათ. — ნება მომეცით შეგნიშ-
ნოთ, თუ რა ნაირათ სცდება ამ
შემთხვევაში უფ. სკანდალი, და რა-
მოღნათ უსაფუძვლოა მისი აზრი და
სტატია.

„უფ. სკანდელის პრინტ, ჩვენში,

ცოლის შერთვის დროს, ქალის ხა-
სიათი, შნო, სილამაზე, სწავლა, გო-
ნება არაეს აგონდება. ჟევლა მხო-
ლოთ იმაზე ფიქრობს, რაც შეიძ-
ლება მეტი მზითვი ავილო და უფრო
შემძლე გვარს დავემოყვაროს. მს
მართალია, მაგრამ გავშინჯოთ კარ-
გათ, რითია უგუნური ამ ნაირი მოქ-
მედება?

„ჩვენში ქალებს ყველას ერთნაი-
რათ ზღიან. რაგინდ ღიღი განსხვა-
ვება იყოს ორი ოჯახის შეძლებაში
და მდგომარეობაში, ამ ოჯახების
ქალები ერთ და იმავე ნაირათ არიან
გაზღიულნი, ერთ და იმავე ნაირათ
ცხოვრობენ და დროს ატარებენ.
მათი ყოფა ქცევიდამ, ტანისამოსიდამ.
ან აზრებიდამ თქვენ ვერაფრის ნა-
ირათ ვერ მიხვდებით, რომ ერთი—
მილიონის პატრონის დედის-ერთა—
და მეორე კი—ექვსას მანეთიანი
ჩინოვნიკის მეექვსე ან მეშვიდე ქა-
ლია.

„სხვა ქვეყნებში, გამიგონია, ისე ცხოვრობენ თურმე, რომ ყოველი კაცი თავის შეიღებს თავის შეძლების და-გვარათ ზღის. მიღიონის პატ-რონზე ნაკლები ფულის ხარჯვა და პრანჭიობა სირცხვილათ არა ვის მიაჩნია. სასირცხო საქმეთ იქ, თურმე, ის მიაჩნიათ, კაცი რომ თავის შეძლებას არ იხსენებს და მის დაუხედველათ ცხოვრობს.

„იქ, თურმე, ქალებს რამე ხელობას ასწავლიან და ხშირათ ისე ამზადებენ, რომ საკუთარი შრომით პატიოსნათ თავის შენახვა შეეძლოთ. შრომა იქ სასირცხოთ არა ვის მიაჩნია, და ყველაზე უფრო თავის საქები სიტყვები, ქალის პირში, აი ეს არის, თურმე: „მე სხვისი წყალობით კი არა, ჩემი საკუთარი შრომით თავს ვიჩჩენო!“ უმრომო ცხოვრობისთვის იქ მარტო იმ. პირებს ამზადებენ, ვისაც მამა-პაპური

სიმღიდრე და, შეძლება მუდამ ქეი-
ფის ნებას აძლევს...

„ამ ნაირ ქვეყანაში კაცმა, რა-
საკვირველია, ისე უნდა ამოირჩიოს
ქალი, როგორც უფ, სკანდელი ამ-
ბობს, ესე იგი დახედოს მის ხა-
სიათს და სწავლას.—მაგრამ, ეს მიბ-
რძანეთ, ჩვენში რა ხეირი გამოვა,
თუ გნებავთ, ძლიერ გულმოღვინე-
თაც რომ მივაჩერდეთ ამ საგნებს?

„რა გინდ თვალ გამოხელილი
ვშინჯავდეთ ჩვენებური ქალების
სწავლას და ხასიათს,—ყოველგან
ერთ და იმავე სიტყვას გავიგონებთ;
ერთ და იმავე ნაირ მოქმედებას
დავინახავთ. ჩვენში კაცისთვის საკ-
მაოა მხოლოდ რომ ერთი ქალის ჭკუა
და ხასიათი გაიცნოს: იმას დარწ-
მუნებით შეუძლია თქვას, რომ ჩვე-
ნებური ქალების უმთავრესი ნაწილი
კარგათ გამხიცნია.

„თუ ასეა-და, თუ ყველა ქალი
ჩვენში ერთ კალაპოტზეა ჩამოსხმუ-

ლი, თუ ყველა ერთ ნაირათ უსაქ-
მოთ, გულხელ-დაკრეფილი შინ უნ-
და გვიჯდეს, თუ ყველაზე ერთ ნა-
ირათ ჯიბის დაუკითხავათ უნდა
ვიხარჯოდეთ; თუ ყველა ერთ და
იმავე ნაირათ გვასიამოვნებს დღე-
ში ორ-სამ წუთს, და დანარჩენი ხა-
ნის განმავლობაში თავს მოგვაბეჭ-
რებს,—ვიჟობა არ არი, მაინცა და
მაინც იმისთანა ქალი ავარჩიოთ,
რომელსაც თან გროში არ გამოჰ-
დეს და ის ქალი კი დავიწუნოთ,
რომლის მზითვი ერთ-ორ წელიწადს
მაინც ეყოფა კაცს ცოლის შესანახა-
ვათ?

„და თუ უფ. სკანდელს ჰგონია,
ვითომ მზეითვიან ქალებს უმზითვო-
ზე უფრო მეტი საფუძველი აქვთ
ქმრების შუბლის გამშვენიერებისა, —
დამიჯერეთ, თქვენი თანამშრომე-
ლი ამაშიაც სცდება. ჩვენში ყველა
ქალი ერთ ნაირათ თხოვდება.
მშარს ყველა ისე ეძებს, როგორც

ახალგაზდა კაცი-სამსახურს. მისთვის
სულ ერთია, ოლქის სასამართლო-
ში მისცემენ თანამდებობას, თუ გიმ-
ნაზიაში,—ოლონდ ქალაქში კი იყოს
და შესაფერი ჯამაგირი ეძლეოდეს.
შალიც ასეა: ოლონდ კი „ქმარს ცო-
ლის დარჩენა შეეძლოს,“ დანარ-
ჩენს არა უშავს რაო! მარგია, თუ
სულ მთლათ მახინჭირ პირი სახე არ
ექნა კაცს, ან ნამეტანი ბებერი არ
იქნა. და თუ ესეც აუცილებელია,
—რა ვქნათ,—ალბათ ღვთის განგე-
ბა ასე ყოფილაო.

„რა გასაკვირველი უნდა იყოს,
რომ ამ ნაირათ ქმარ-შერთული ქა-
ლი — თუ გაბედა და დრო შეიმჩ-
ნია — ქმარს ხელიდგან გამოუსხლო-
ტება? ამ შემთხვევას ჩვენ დროში
კაცი მუდამ უნდა ელოდეს, და
დროც არის შეეჩიოს, არ ბრაზ-
დებოდეს. სხვა რომ არ იყოს, სირ-
ცხვილი და ლატის დასხმაა, კაცი
ქალს საქვეყნოთ ბაიკუშათ რომ

გამოყავდეს. ფრანცუზულათ კარგა
ლომაზათ არის ნათქვამი: „სჯობს,
შინაური სარეცხი შინვე გაიჩეც-
ხოსო.“

უფ. სკანდელმა, რომელსაც ჩვენ
ეს წიგნი გარდავეცით, დაგვიბრუნა
ის შემდგომი შენიშვნით:

„ეხლა ორიოდე სიტყვა მეც ამო-
მაღებინეთ. მე სრულიად ვეთანხმე-
ბი ჩემ კრიტიკოსს, რომ ჩვენში ერთ-
ნაირათ ცუდათ ზღიან მდიდრ და
ლარიბ ქალებს. მაგრამ ის კი არ მითქ-
ვამს, შაინცა და მაინც ლარიბები ამო-
ირჩიეთ და შეიჩოთ მეთქი. მე მარ-
ტო ის ვთქვი, რომ ცოლის შერთვის
დროს უფრო ზასიათს და ზნეს მი-
ხედეთ, ვინემ ზრდითევს მეთქი.— და
თუ, ეხლა, ჩემი კრიტიკოსი იტ-
ყვის, რომ ორ ბაიყუშში ფულიანი
გირჩევნოდეს უფულოსაო, ამაზედ
არც მე დაუწყებ ცილიობას: უკაცია
და ვუნება.“

ქველი გეგობრები ახალ ქანზი

(ფანტაზია)

И Маршалы зова не слышатъ:
Иные погибли въ бою,
Другіе давно измѣнили
И продали шагу свою...

Лермонтовъ.

12. ივნის 1870.

ხომ გაგიგონია, მკითხველო, იშ
კაცის ამბავი, ოცდა ათი წელიწადი
გამოუღვიძრათ რომ ეძინა, და გა-
ღვიძების შემდგომ ეგონა; წინდღეს
სალამოს დამეძინაო? მრთა ნამცეცი
რომ დაფიქრდე, ადვილათ წარმო-
იდგენ, რა ახირებულ და მოსაბეჭ-
რებელ მდგომარეობაში ჩავარდებო-
და ის დალოცვილი, როცა, ამო-
დენა ძილის შემდგომ, თვალს გა-
მოახელდა და უწინდელ ნაცნობებს
ხელ-ახლავ დაინახავდა.

— დალახვროს ღმერთმა ეშმაკი
და ქაჯი, იფიქრებდა, ამ ჩემ ნაც-
ნობებს წვერ ულვაში აგრე უცვათ
რამ გაუთეთრაო? სამასკარადოთ თუ
გამოწყობილან, მასკარადი. დილით
ვის გაუგონია: თუ არა და, რა თა-
ვი აუგდიათ, ასე უდროვოთ ბებ-
რებათ რომ დაკაზმულან?

ზაქესთ სიცოცხლე, ხშირათ ეს
აჩრი იმას თავში გაუვლიდა!

სწორეთ ამ ნაირი საქმე დამემარ-
თა, ამ სტრიქონების დამწერს. ჩე-
მო მკითხველო. მართალია, გამოუ-
ლეიძრათ, ოცდა ათი წელიწადი კი არა,
ოცდა ათი საათიც არ მძინებია,
და არც ჩემ ნაცნობეს გათეთრე-
ბიათ უცებ წვერ-ულვაში ან თმა.
მაგრამ საქმე კი სწორეთ იმისთანა
შემემთხვა, როგორიც ოცდა ათი
წლის მძინარს დამართია.

სხვა და სხვა გარემოების მიზე-

ზით, ჩემი მეგობრები ექვსი წლის
განმავლობაში მოშორებული მყვან-
და, და იმ ნაირ ადგილს ვცხოვ-
რობდი, სადაც მათი ამბავი ძალიან
იშვიათათ მომდიოდა. შარტობაში,
მერე უცხო ქვეყანაში, კაცი გულს
მეგობრების მოგონებით იყოლებს.
და მარტო ერთმა ღმერთმა იცის,
ზეცას, თუ რამდენჯერ მთელი დღე-
ები გამიტარებია მეგობრების გან-
სენებით და მათი მომავალი ნახვის,
მათთან შეყრის, ერთათ ყოფნის
და შრომის წარმოდგენაში...

— „მხლა (ვთიქრობდი ჩემ უდაბნო-
ში) ჩემი ამხანაგები უწინდელივით
გულ-მხურვალეთ ცდილობენ ქვეყ-
ნის სასარგებლო და პატიოსან კა-
ცათ გამოვიდენ, და მახლობლებს
კაცური ცხოვრების მაგალითი შის-
ცენ. მხლა ისინი უსამართლობას-
თან მწარე ბრძოლას მართვენ, მტარ-
ვალს თავ-გაწირულათ ებძეიან და

ძლევა-მოსილ უსამართლო ძალას
სამარეს უთხრიან...“

ეს აზრი იყო ჩემი გამამხნევებელი
და ძალის მომცემის; იმას მე ისე შე-
ვეჩვიე, რომ თითქმის წამ-და-უწყუ-
თვალ-წინ ჩემი მეგობრების მხიარუ-
ლი და ამაყი სახე მიღვა: — „შემცდარი
არ ხარ ჩვენს მაგრე რომ ფიქ-
რობო!“

ბოლოს ამისრულდა იმოდენ,
ხნის გულის-წალილი: შინისკენ დავ-
ბრუნდი და ხელახლავ ვნახე ჩემი
ძვირფასი მეგობრები, ჩემი უწინდე-
ლი ამხანაგები,

მაგრამ, ვაი იმისთანა ნახვას!

ვინც ბრძოლაში და ჯაფაში გარ-
თული მეგულებოდა, მშვენიერ სა-
სახლებში აბრეშუმით და ხავერდით
შემკული დამხვდენ. გარშემო, შე-
ვიწროების და ნაკლულევანების მა-

გიერათ, ყოველნაირი სიუხვე სჩანდა. მოწინააღმდეგების აღვილას, იმათ ზოგს ცოლ-შვილი, და ზოგს მეგობრები თავს ეხვიათ. და ვინც სახიფათო ბრძოლაში გაბმული მეგონა—უდარდელი გულით, ტუჩ-მოუშორებლათ, ტკბილ სიამოვნებას დაწაფებოდენ...

მათი პირი-სახის დანახვა და ჩემი გაოცება ერთი იყო. — „რა იქნა მათი ახალგაზღური პირის შნო. ვფიქრობ-დი, სადლაა თვალების ალი, სად დაკარგვიათ სხეულის და სულის სიცხოველე, ან მარდი ვარჯიშობა? სადლაა მათი პატიოსანი პირდაპირი გამოხედვა, და საიდამ გადმოდებიათ მელური, შემპარავი, თავ-ლაფდასმხული... რას მოუხრია მათი წელი, რას გაუშეშებია მათი ტვინი და სხეული? რას აუცეკვებია ცოდვილსავით მათი ტყვიის-ფრათ ჩაცივებული თვალები? რას უქნია ეს, ღმერთო, ჩემი რას!“

ეს გარეგანი ცვლილება სულ ერთიანათ დამავიწყდა, როცა შინა-განს, ცოტათი არ იყოს, თვალი მოვკარი.— რის თავის გაწირეა, სა-დაური მაგალითი,“ მიამბობდა მათი შოთა ქცევა: „კაცს ცხოვრება უნდა ქვეყანაზე, ჭამა, სმა. მაშასადამე ის ფრთხილათ უნდა ეპყრობოდეს სა-ზოგადო „შეცდომებს,“ დროებით კიდევაც უნდა ურიგდებოდეს... ჯერ საშუალება ვიშოვნოთ, წელი გაეი-მართოთ, და მერმე საქმეს მივსდ-გეთ. თორემ კედელი შუბლით სხვას აბა ვის გაუტანია?“

ამ აზრით ისინი სიუხვეს, დიდ-კაცობას, უსაქმობას და სიამოვნებას შეჩვევიან, და შიგ ნიჭიც ჩაულუპავთ და ახალგაზდობაც.

პაი ხანია შენიშნული, რომ კაცის ცხოვრებას, ხასიათს და მდგომარე-ობას მარტო ნიადაგი ბრძოლა და

მოძრაობა აუმჯობესებსო: კაცი რომ
შინ ფეხ-მოკეცილი და გულ-ხელ-
დაკრეფილი დაჯდება, ჭამისა და ძი-
ლის მეტზე აღარაფერზე იზრუნებს,
რა გასაკვირვეველია, მის სულსა და
ხორცს ძალა თან და თან შემოაკ-
ლდება, და ბოლოს სრულიადაც
შემოელევა? მს ბუნების კანონი გახ-
ლავს. გასაკვირვეველი აქ არა არის რა,
იმის მეტი, რომ თეითონ ამ კაცებს
ამისთანა ცხადი რამ ჯერ კიდევ
აზრში არ შესვლიათ.

ნაკლებათ გასაკვირვეველი არც ის
არის, კბილებს კაცი იმ აზრით რომ
ითხრიდეს, გავყიდი, მათი ფასით კა-
კალს ვიყიდი და შევჭამო და თან ეს
საჭმე თეითონ იმას და მთელ საზო-
გადოებასაც ჭკუიან და საქებ საქ-
ციელათ მიაჩნდეს...

მაგრამ ამ ქვეყანაში კაცს არა-
ფერი არ უნდა გაუკვირდეს: — ყვე-

ლაფერს თავის მიზეზი და საფუძველი აქვს. ზინდ ჩს ავიღოთ, რომ ჩემი ამხანაკები უწინ იმას ყვიროდენ, ეხლანდელთ წესებში ქვა ქვაზე არ უნდა დავტოვოთო, და დღეს კი ქადაგობენ — ერთი-ნამცეცა კენჭის მოშორებაც ქვით ჩასაჭოლავი საჭმეა. ამ უშესელებელ წინააღმდეგობასაც აქვს თავისი მიზეზი, ჩემო კეთილო მკითხველო, მერე როგორი, რომ იცოდეს...

— უკი დრო, როცა საზოგადოების თვალშიაც რაღაც ნაპერწყალი ელგარებდა. მაშინ ეს ნაპერწყალი აღათ გადიქცა ახალგაზღობის თვალში და სხეულში; ახალგაზღა ჭალების თვალებში, ხომ სულ საკრაე აინთო... მხლა ერთი ეს მიპრანეთ: ჩემ მეგობრებს როგორ არ უნდა გაეზეპირებიათ ზოგიერთი ლამაზ-ლამაზი. აღმტაცი, ლიბერალური სიტყვები, ის სიტყვები, რომლის

34 ნ. ნიკოლაძის ნაწერი

გამომთქმელს თითქმის მთელი საზოგადოება ქოჩორზე ხელს უსვამდა, და ელვით ან თებული ქალები ნაზი ლიმილით აჯილდოვებდენ? როგორ არ გაემეორებიათ იმათ ის დარღიმანდული და შეუპოვარი აზრები, რომელთაც ხშირათ ამ ქალების კოკობი ტუჩები გამოთქვამდენ? მას აქეთ გარემოება შეიცვალი. გაკერა საზოგადო აღტაცება. გამარჯვების იმედი დაიკარგა; და „გონიერებამ“ გრძნობა დაიმორჩილა... საზოგადოების და ახალგაზლობის თვალებში ნაპერწყალის მაგიერათ სხვა რამე გამოელვარებს, და ეს ახალი ელვარება ოქროსა და ვერცხლის დახარბებას ჩამოვავს. ახალგაზლა ქალები თავიანთი ალერსით დღეს—ლიბერალურ აზრებს, ყოფაქცევას და თავის-გაწირვას კი არა,—უხვი და ნეტარი ცხოვრების დამპირებელს აჯილდოვებენ, დღეს იმ სიტყვების გულისთვის, რომლისთვისაც უწინ

კაცს ქოჩორზე ხელს უსვამდენ, ეხლა გამწარებულათ ყურს უსრესენ, ისე მაგრათ, რომ ხან ყური აგჯება კაცს და ხან ისეც რაზედაც ყური აქვს გამობმული. მოდი და ნუ მოერიდება, ნუ შეურიგდება კაცი ამ ნაირ მდგომარეობას, ამ საზოგადო „რეაქციას.“

— „ან რა გასაჭირი გვადგია, ვითომ, რომ მაინცა და მაინც ეხლა ვიდაეოთ, ჩვენი ყურების დაუზოგველათო, ფიქრობს დღეს დაშინებული ლიბერალი. — მოვიცადოთ, გარემოება ხელ-ახლავ იცვლება, და როცა, ყურის მოგლეჯის მაგიერა, ხელმეორეთ ქოჩორზე ხელის დასმას შემოიღებენ, მაშინ ჩვენ შეუპოვრათ გამოვალთ ასპარეზზე, და პირდაპირ გამოვთქვამთ ჩვენ აზრს. მანამდის კი იმან იმოქმედოს და იდავოს, ვისაც თავი მოძულებული აქვს და ყურები არ ეზოგება!“

უგნური ანგარიში როდია ეს,
თუმც ნამეტნათ ახალი კი არაა.
ხშირათ მინახავს, უშველებელი ხის
წვერზე მებალე გასულიყოს, და, ერთ-
ნამცეცა შტოზე შემდგარი, ხილს
რეკვდეს. რათ გადიოდა ის სულელი,
ან თავს სასიკვდილოთ რათ იმეტე-
ბდა?... ხის ძირში მასზე უფრო
„გონიერი“ ოთხფეხი გაჭირვებით
ჩამონარეკ ხილს გულ-მოდგინეთ და
შეუპოვრათ სჭამდა, და თან უდარ-
დელათაც ხრუტუნობდა,...

მაგრამ, ხანდისხან, სიამოვნება-
ში კისრამდი ჩაფლულ კაცსაც ერ-
თი უცნაური ოცნება სიზმარსავით
თვალწინ უდგება და მყუდროებას
უტესს. ამ ოცნებას, ის „ბავშური
აზრები“ და „ალთქმები“ შეაღვენენ
რომელნიც, სიყმაწვილის დროს, წინ
დაუხედავათ წამოუროშავს მის ალ-
ტაცებულ ეჩას.— მართალია, მაშინ
კაცი შებრალების ღიმილით ამბობს

„ეს ჩა ბავშური აზრები მომავონდათ.“ და მათი თავიდამ მოშორებას ცდილობს. მაგრამ,—

Если вы ребячий бредъ,
Обыты юношескихъ лѣтъ,
Зачемъ же ванъ забывши чѣть,
И вами вызванный упрекъ
Такъ сокрушительно жестокъ?

მს უცნაური ოცნება, ეს გრძნო-
ბა საფლავშიაც ააკანქალებს ამ დამ-
შვიდებული და კან-შევცლილი ყმა-
წვილების ძელებს. მოდი ეზლა, და
„ბავშური ალთქმები“ დაუძახე შენ,
ამისთანა უკვდავ გრძნობას!

მხლა შენ მახსენდები, ჩემო სა-
კუარელო ბეჭან, შენ, რომელმაც
მთელი შენი სიცოცხლე, ბეღნიე-
რება, მომავალი და ოჯახი შენ
„ალთქმეშს“ შესწირე; შენ, რომელ-
საც სიცოცხლეში საკუთარი სიკეთე
და სარგებლობა არც მოგინდომებია,
არც გიძებნია... თუ მაჭედამ გად-

მოხედვა და ჩვენი ყოფაქცევა და
ნახვა შეგიძლია, რა ცეცხლი უნდა
მოგედოს გულზე, როცა შენ მეგო-
ბრებს და ამხანაგებს გაარჩევ, და
რა ნაირათ უნდა ავეწვას ის ხელის
გული, რომელსაც სიცოცხლეში ამ
ამხანაგებს აძლევდი!...

ატტილის საქმე (ორი ცოდის შერთვა)

26 ოქტომბერი 1870.

შარშან ოქტომბერში, ნიენი-ნოუ-
გოროდის ოლქის სასამართლოში
ლირსების ახდა და ციმბირში დასახ-
ლება გადაუწყვიტა ერთ ახალგაზდა
კაცს, სახელით ტრტილს, რომელ-
საც პირველი ცოდის ხიცოცხლე-
ში მეორე ცოდის შეჩინებს ამრა-
ლებდენ.

ატტილი მდიდარი და ღილი-კა-
ცის უკანონო შვილია. მამა მისმა
ეს სახელი გამოუგონა, ღილ-კაცუ-
რათ გააზდევინა, და თავის სიკუდრ-
ლის შემდეგ კი ძალი ფულიც და-
უტოვა.. ახალგაზდა კაცმა ერთი
მშეენიერი ქალი მოიწონა, ცოლათ
შეირთო და ახალ ნაქორწილეებს
ცოლიანათ საქეიფო მგზაურობა და-

იწყო. ახალ ცოლ-ქმარს არც ჭე-
რთვი ეზარქებოდა, არც ფულის ფან-
ტეა. მათი ცხოვრება ტკბილათ მი-
ფრიალებდა; მასთან პტტილის მამის
დანატოვარი ფულებიც. ცოლ-ქმარს
ერთმანერთის საყვარული ისე აბედ-
ნიერებდა, რომ ფულის ანგარიში,
ჯიბის დაცარიელებამდი, აზრშიაც
არ მოსვლიათ. თუ გინდა ქმარს ჯი-
ბის მდგომარეობა კიდეც გახსენე-
ბოდა, როგორ უნდა დაეკავებია
რამე საყვარელი ცოლისთვის, რო-
მელიც სიყმაწვილიდამ ყოველი თა-
ვისი სურვილის ასრულებას იმ რი-
გათ შეჩევული იყო, რომ ერთი
ნამცეცა უარის თქმაზე შავი ღრუ-
ბელიერით იღუბებოდა? ჯიბე კი არა,
მთელი ქვეყანა შავ წყალს წაულია,
ოლონდ კი საყვარლის შუბლი მწყრა-
ლათ არ შეიღუშოს, ფიქრობდა
პტტილი, და მამის სკივრს უდარდე-
ლათ აცარიელებდა.

სეივრი მაღვე დაიცალა. ცოლა
ქმრის შავი დღე მიაღვა: — უსაქმო-
ბა, უფულობა, მობეჭრება და, მა-
შასაღამე, გაჭირვებაც. ნაჩათ გამოზ-
დილმა, სიამოვნებაში გაჩეეულმა
და დიდ-კაცურ უსაქმობის მოყვა-
რე ცოლმა ამოდენა განსაცდელი
ვერ აიტანა, და ერთ შშვენიერ დი-
ლას... იმან თავისი ნირნარათ შეკ-
ვარებული ქმარი მიატოვა, სხვებ-
თან სიამოვნების და უდარდელი,
უზრუნველი ცხოვრების საძებნე-
ლათ.

ამ გვარათ პტიტილი რარჩა უვ-
როშოთ, უსაქმოთ და უცოლოთ.

მაშინ ეს ყმაწვილი, რომელიც
აქამდი უდარდელი სიამოვნების მეტს
არაფერს შეჩევოდა, თავის საშეე-
ლათ დატრიალდა. ბევრი ჯაფის,
წვალების და განსაცდელის შემდ-
გომ, როგორც იქნა, იმან ერთ
პროვინციალურ თეატრში აღგილი

იშვია, და ბოლოს მოცადინე და
ნიკიერი არტისტის სახელი შეიძინა:
პუბლიკამ ის გულწრფელათ შე-
იყვარა.

ამ შრომით პტტილი გვარიანი
ხნის განმავლობაში თავს ირჩენ და
მის ამხანაგებს შუა, როგორც ნაც-
ნობებშიაც, მის პატიოსან შრომას და
ხასიათს ყველა აღტაცებაში მოყავდა.

ვლადიმირის ქალაქში, საღაც პტ-
ტილი ერთხანს მსახურობდა, იმან,
სხვა აკტიორების შუა, ერთი ახალ-
გაზდა ქალი გაიცნო, რომელიც
თავისი ჩინებული ნიჭით და საკვი-
რველი სილამაზით ვლადიმირის თე-
ატრის ამშვენებდა. პტტილს მალე
შეუყვარდა ეს ახალგაზდა ქა-
ლი, რომელმაც ამ შემთხვევაში მა-
გირება გაუწია. მაგრამ მათ შეერ-
თებას და ბეღნიერებას პტტილის
უწინდელი გვირგვინი უშლიდა

ეს ორი ახალგაზდა არტისტი აბასაკირში იყო, როცა ერთ დღე,
ატტილს წიგნი მოუკიდა, რომელ-
შიც იმას აცნობებდნენ, რომ საქა-
ოს ნამეტანმა ნეტარებამ მისი ცო-
ლი საიჭიოს გაისტუმრათ. ალტაცე-
ბული ატტილი, რომელიც ამ ამბავს
აღდგომის კვერცხივით შენატრიდა
და მოელოდა, თავის საყვარელთან
მირბის, და იმ წამსვე ჯეარის-წე-
რის და ახალი ოჯახობის თავდარიგს
იწყებს.

რასაკეირველია, დაგვირგვინებას
დიდ-ძალი დრო არ დასჭირებია; იმავე
ზაფხულს, მაკარიის იარმარკის დროს,
ორივე არტისტმა უთვალივი ხალ-
ხის თან-დასწრებით ერთმანერთზე
ჯეარი დაიწერა,

რამდენიმე ხნის შემდგომ, მთავ-
რობას ატტილის პირველი ცოლის-
გან განცხადება მიუკიდა, რომელ-
შიც ნათქვამი იყო, რომ ატტილმა

ვირცელი ცოლის სიცოცხლეში მეორე შეირთოო. პანონისამებრ, ამ განცხადების მიღება, და გამოძიების დანიშვნა ერთი იყო. რაღა თქმა უნდა, რომ გამოძიებამ ატტილის დანაშაულობა ადვილათ დამტკიცა.

გამოძიების შემდგომ საქმე სამჯავროში გადაიცა. რუსეთში, ეხლა სისხლის სამართლის გაჩენა ნაფიცი ვირების ხელშია. სასამართლო იქ იმნაირიე მსჯულებისგან შედგება; როგორც ჩვენში. მაგრამ მსაჯულებს იქ საზოგადოებაში და ხალხში ხვედრით ამორჩეული და დაფიცებული თორმეტი კაცი ესწრება. ამ თორმეტი კაცის წინ პროკურორს გამამიტყუნებელი საბუთები მოჰყავს და მოსარჩევეს (ადვოკატს) — გამამართლებელი. როცა ეს ორი მხარე ბაას ათავებს, სასამართლოს თავმჯდომარე და მსაჯუსლები კითხვებს ადგენენ — დამნაშავე აესა და ეს

კაცი ამა და ამ დანაშაულობაში თუ არაო, სწერენ ამ კითხეებს ქალალდზე, ნაფიც პირებს აძლევენ და თუ ცალკე ოთახში ისტუმრებენ.

ნაფიცი პირები ერთმანერში ცა-
ქმეს არჩევენ, და კითხეებზე პასუხს
აძლევენ: ან „ჰო, დანაშაულია,“ ან
და „არა, არაა დანაშაული.“ — ამ
პასუხს ნაფიცი პირები მსაჯულებს
უბრუნებენ. მაშინ მსაჯულები სწყე-
ტენ, რა სასჯელი ერვება დამნა-
შავეს, კანონით, იმ დანაშაულობის-
თვის, რომელშიც ის ნაფიცებმა გა-
ამტკუნეს. მს წესი იმიტომა შემო-
ლებული, რომ ბრალიანი პირები
თვითონ „საზოგადოების სინიდისმა“
გაასამართლოს, და არა მუდამ კა-
ნონებში გართულმა, ხალხისა და
საზოგადოების ზნეში გაუჩვეველ-
მა მსაჯულებმათ. მაგიტრათ დასჯის
დანიშენა, რომელიც კანონის ცოდ-
ნას თხოვულობს, მსაჯულებს აქვთ
მინდობილი.

ეს სამართლის წესის გრძელი აწერა ჩეენ იმისთვის მოვიყვანეთ, რომ უიმისოთ ატტილის შემდგომი ბედი ჩვენი მკითხველებისთვის გაუგებარი იქნებოდა. მხლა კი, იმედი გვაქს, მკითხველი დანარჩენ მოთხოვბას ადვილათ გაიგებს.

როცა ნიკნი-ნოვგოროდის სამჯავრომ ატტილის საქმე გაარჩია, ნაფიცებმა ატტილი დანაშაულათ იცვნეს, და მსაჯულებმა იმას—როგორც ამ წერილის დასაწყისში ნათქვამია—ციმბირში დასახლება გარდაუწყვიტეს. ეს ამბავი გაზეთებული რომ დაიბეჭდა, მთელ რუსეთში ყველამ ერთხმათ თქვა, ეს გადაწყვეტილება უსამართლობააო. ზაზეთებმა მაშინვე დაამტკიცეს, უბედური ატტილი მისმა პირველმა ცოლმა გააღარიბაო, და, ლარიბი უპატრონოთ მიატოვაო. მხლა, როცა ატტილმა შრომით პატიოსნათ თავის რჩენა შეიძლო და პატიოსანი

ოჯახი მისავით მშრომელ ცოლთან გაიწყო, იმათ ბედნიერება სამუდა- მოთ იღუპებათ. მს ორი ჩინებული და ჰატივსაცემი ცოლქმარი უბე- დურდება ერთი ბედოელათი, უსინა- დისო და ოჯახის-მიმტოვებელი ცო- ლის გულისთვის! მს აზრი მოელი რუსეთის განათლებულმა საზოგადო- ებამ გაიძეორია.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში რაღაც შეცდომა შეპარულიყო. ამის გამო სენატმა განჩინება დაარღვია და საქმე გასასინჯველათ, კანონისამეტრ, მეორე ოლქის სასამართლოს გადასცა.

ვლადიმირის ოლქის სასამართლო- ში, 30 წარსულს მაისს, ამ საქმის ხელმეორეთ გასინჯვაზე უთვალი- ვი ხალხის კრება დასწრებია. ნაფი- ცების უმეტეს ნაწილს თურმე გლეხ- კაცობა შეაღვენდა...

ატრილს მოსარჩევეთ გამოჩენი- ლი მოსკოველი ადეკატი, თავადი

ურუსოვი, ჰუმლია. საქმის განხილვის შემდეგ, ნაფიცებს თავიანთი პასუხი გამოუტანით: მათვან ატტილი ხელახლათ დანაშაულათ იყო ნაცნობი.

როცა სასამართლომ ეს პასუხი წაიკითხა, დამსწრე ხალხმა თურმე დიდი უკმაყოფილება გამოაცხადა, ისე რომ სასამართლოს თავმჯდომარე იმულებული ყოფილა აღელვებული ხალხი ზარის რაწკუნით გაეჩუმებია.

თავადმა ურუსოვმა მაშინ ხელახლავ სიტყვა წაროსთქვა. იმან სასამართლოს გაახსენა, რომ კანონი მსაჯულებს ნებას აძლევს წარუდგინონ თავიანთი გადაწყვეტილება ხელმწიფე იმპერატორს. და დამნაშავის პატიობა სთხოვონ. მსაჯულები მოსალაპარაკებლათ გავიდენ. აღელვებული ხალხი გულისძვერით უცდიდა მათ უკან დაბრუნება. ბოლოს მსაჯულები გამოვიდენ და თავმჯდომარებ გადაწყვეტი-

ლება წაიკითხა: ნაფიცების პასუხის
თანხმათ ატრილი ციმბირში უნდა
დაისახლოს, ღირსების აზღით. გას-
თანავე, სასამართლოს დაუწესებია,
ეს გადაწყვეტილება ხელმწიფე იმპე-
რატორს წარედგინოს. ვედრებით—
სრულიათ მიუტევოს ატრილს მისი
დანაშაულობა და სასჯელიო.

ამ გადაწყვეტილების თანხმათ,
ატრილი ტუსალობისაგან შეშინუე
გაათავისუფლეს.

ამ უბრალო საქმეს შემდგომში
დიდი გავლენა ექნება, როგორც
ცოლ-ქმრობის საქმეზე, ისე—იმედია
— იმ კანონებზე, რომლითაც ეს საჭ-
მეები იმართვიან. — ასეც რომ არ იყოს,
ამ საქმეზე დაფიქრება მაინც ღირს...

ო მის გავლენა მუსიკაზე

17 ოქტომბერი 1870.

რა ბედნიერი კაცები ვიქწებოდით
მე და შენ, მკითხველო, ამ ფელ-
ტონის წერისა და კითხვის მაგიერ
ეხლა ევროპაში რომ ვიყოთ, და
თვალწიჩ — „დროების“ თაბახი კი
არა — იქაური ცხოვრება და იქაური
საქმეები გვექონდეს... რა ცხოვრებაა,
რომ იცოდე, რა საქმეები!

სამოცდა ექვსში, როცა შუაგულ-
მეროპას წლევანდელისთანა აყალმა-
ყალი აუტყდა, სამზღვარს გარეთ ვი-
ყვით. მაშინაც, წლევანდელის არ
იყოს, ივლისის თვე იდგა. მე ვცხოვ-
რებდი ქენევის ტბის პირზე, თვითონ
შენევაში, თავისუფალი შვეიცარიის
თავისუფალ შეილებს შუა, და მათ
მოქმედებას იმ ომის დროს გაკვირ-
ვებით დაუცემერდი.

უნდა იცოდე, მკითხველო, რომ შეეცარია პატაწინა ქვეყანაა, საქართველოსავით მთიული და მშეენიერი, შიგ მხნე, პატიოსანი; გულ-კეთილი; შრომისა და განათლების მოყვარე ხალხი სცხოვრობს, რომელმაც კი ხანია მასაქეთ იხსნა თავისი ქვეყანა უცხოეთის უღლიდამ, და თავისი სამშობლოს ეელური კლდე და ორმოები მშეენიერათ შემუშავებულ მამულათ გარდააჭირა.

ამ ხალხს ჩინებულათ გაუწყერა თავისი საქმეები, მას აქეთ, რაც ავსტრიის ხელიდამ გათავსუფლდა, ის საკუთარ ბედს თვითონვე მმართავს: გამვებლათ იმას თავისი ამორჩეული პირები ყავს, და მათზე ზედამხედველათ ამორჩეული დეპუტატები უყენია.. მაგრამ უველაზე გასაკვირველი საქმე ისაა, რომ ამ ხალხს ჯარი როდი ყავს.

როგორ თუ ჯარი არა დავსოი იყვირებს მკითხველი, მაში აუზაკობა

არაეის დაუშლებათ და გარევან
მტერსაც გზა გახსნილი ექნებაო?

არა ჩემო მკითხველო! მართა-
ლია, შვეცარიას ჭარი არა ყავს,
მაგრამ ყოველი შვეიცარიელი ახალ-
გაზღობაში სამხედრო სამსახურს
სწავლულობს. მერმე ყოველ წელს
იმას ხელ-ახლავ ექვსი კვირის ვა-
დით სამსახურში იწვევენ, სამხედრო
საქმეებში გასაწაფველათ. მთაერთ-
ბისგან იმას თოფ-იარალი და, თუ
სურს, სამხედრო ტანსაცმელი ან
სრული გაწყობილება ეძლევა....

მს ერთი.

მხლო მეორე. შვეცარიაში ისეთ
ქალაქს ან დაბას ვერ ნაწავ. — რაგინდ
მცირე და დაკარგული იქნეს, —
რომ შიგ ერთი უცხო ამხანაგობა
არ იყოს გამართული: უთოფის
მსროლებების ამხანაგობა „შოველ
კურს ან უქმე დღეს, მთელი ხალხი
ქალაქ გარეთ ერთ დანიშნულ მინ-
დობაზე გადის, სადაც ნიშანში თო-

ფის სროლა რმართება. წელიწადში ერთხელ-ორჯერ. მთელი მაზრის თოფის მსროლელები ეჭთად იყრიბებიან და ერთათ მართვენ თოფის სროლას. ამას გარდა, წელიწადში ერთხელ, მთელი შეეიცარის თოფის მსროლელებიც თავს იყრიან. მს უკანასკნელი ყრილობა რიგზე პდება, — ხან ერთ ქალაქში, ხან მეორეში და ხან მესამეში, — აქამ და, არც ერთ შეეიცარიელ ქალაქს გულია არ დაწყდეს.

მთელი შეეიცარიიდამ, და ხანდის-ხან სამზღვარ გარეთიდამაც, ამ ნაირ ამხანაგობას საჩუქრები მოსდის, — იარიღი ვარ, თუ ფული, თუ ვეჯეულება, — იმ პირობით, რომ ეს საჩუქრები უმჯობეს მსროლელებს ჯილდოთ მიეცეს. ისეთი სოფელი არაა შეეიცარიაში, რომ საზოგადო ფულებიდამ წელიწადში ორი-სამი თუმნის რამე მაინც საჩუქრათ არ გაუგზავნოს თავის მსროლ-

ველების კრებას. ორ და სამ იმ-
დენს იმავე სოფლიდამ კერძო პირე-
ბი გზაუნიან ხოლმე.

ერთმანერთის ჯობნის სურვეილი,
სახელის და ჯილდოს ძიება, რასა-
კვირველია, კარგ ნაყოფს მოიტანს.
მართლაც, შვეიცარელები მთელ
ქვეყანაში სახელვათქმული თო-
ფის-მსროლველები არიან. მს კი-
დევ არაფერი. პარგი ისაა, რომ
შვეიცარიაში ისეთი კაცი არ მოი-
ძებნება, რომელმაც თოფის სროლა
რიგიანათ არ იცოდეს.

წარმოიდგინე ეხლა, მკითხველო,
ცუდი დამცველები უნდა ყავდეს
შვეიცარიას, თუ კარგი: ყოველ
შვეიცარიის შვილს თოფ-იარაღი
შინ მზადა ავქს, და ყოველმა ჩინე-
ბულათ ოცის მისი ხმარება. საომ-
რათ გამოწვევის წესი ძალიან ადვი-
ლია. შტაბი და არტილლერია, რო-
მელნიც მუდამ სამსახურში არიან,
სხვა ქვეყნებისას თუ არ აჯობებენ,

უკან ხომ მაინც არ ჩამოუდგებიან...
ეს ამბავი იმიტომ მოგიყევით,
რომ სამოცდა ექვსში შენევაში
შვეცარიის თოფის-მსროლველებმა
თავი შეიყარეს,—და მათი ყრილობა
სწორებ იმ დროს მოხდა, როცა
პრუსიას და ავსტრიას შუა გაცხა
რებული ომი გაიმართა.

ზაფხულში, შვეცარია, მისი მთე-
ბის გულისთვის. მთელ ექროპას
სალხინო და სასეირნო აღერთა
მიაჩნია. ამას გარდა, ვინც ზერმა-
ნიაში მაღნის წყლებზე ზაფხულის
გატარებას აპირებდა, ომის შიშით
შვეიცარიისკენ გამომგზავრდა. მაშა-
სადამე იმ წელს შვეიცარია—და გან-
საკუთრებით მისი უმშევნიერესი ქა-
ლაქი შენევა—სხვა და სხვა ქვეყნი-
დამ მოსული ხალხით სავსე იყო.

მაშინ შენევის ქუჩები, ბალები
ან ყავახანები რომ გენახათ, იტუ-
დით, აი ეს ყოფილა ცხოვრებაო!
ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ იდგა, იჯდა,

ნა ნ. ნიკოლაძეს ნაწერი

დადიოდა. ჟველას პირის სახე და
თვალები ცეცხლივით ანთებული
ჰქონდა, ყველა პირდაპირ გიყურებ-
და, გულგაშლით გელაპარაკებოდა,
მისი ნაცნობი ყოფილიყავ, გინდ
უცნობი. ქუჩა-ქუჩა გაზეთის გამ-
ყიდველები დაიარებოდენ. — იმ
დროს ყოველი გაზეთი დღეში სამ-
ოთხ, ხანდისხან ათოდე დამატება-
საც ბეჭდავდა, დეპეშებით და ახალი
ამბებით სავსე. გამოჩნდებოდა თუ
არა საღმე გამყიდველი, მას გარშე-
მო ხალხი შემოესეოდა და სოველ
ქალალდს ხელიდამ თითქმის ძალათ
ართმევდა. იწყებოდა მაშინ ახალი
ამბების ხმა მაღლა კითხვა, მსჯე-
ლობა, დავა. იმართებოდა გაუთა-
ვებელი ბაასი და ყაყანი. ზოგი გამ-
ხიარულებული ჲახით, ზოგი დანა-
ღვლებულით (კაცს ეგონ ებოდა, ამათ
თვალის-ჩინივით საყვარელი ვა-
კი, ამა და ეჭმიერთ შეძულებული
ცოლი მოკვდომიათო), ერთი მეო-

რეს კლავში ხელს უყრიდა და ის გულწრფელათ, აღტაცებით, გრძნობით მუსაიფობდენ, თითქო პირველი შეკრა კი ას ყოფილიყოს. დაბადებიდამ სიცოცხლე ეჩითათ გაეტარებით.

დილის შეიდ საათზე მოელიშვილი შინიდამ გამოდიოდა: ყველა ახალ გამოსულ გამეობს მიერდებოდა. შვა წაიკითხავდა, კონკრეტული გარემოს შესახებ, გრძნობის ჯარიმა ესა და ეს ჩიურ, ესა და ეს რეინის გრძნობის გადაკავაო. მრავალი თი ური საათის შემდვომ მეორე ამბავი მოდიოდა: აკსტრინელებშია ამა და ამ ადგილის პრესაის ჯარის ცხვირში ძმარი აწინებო: ცოტა ხნის შემდგომ ხელ-ახლავ დეპეშა მოჰქმებით, პრესაიელებშია გაიმარჯვესო, და ამ ამბავს ხელმეორეთ ახალი ტელეგრამა არღვევდა, მრავალი სიტყვით, აკსტრინის სატახტო ქალაქიდამ დეპეშები და გამეობი ტრანსმისი — აკსტრინის გამარჯვეაო:

პრუსიის ქალაქიდამ მოსულები
ამტკიცებდნენ — პრუსიამო, და იტა-
ლიის დეპეშები — იტალიამო. ეს
არეულ-დარეული ამბები კაცს დღე-
ში ხუთჯერ გააცივებდენ და ერთი
იმდენჯერვე გააცხელებდენ. ამის-
თანა ციებ-ცხელებაში ვიყავით ათი-
თუთხმეტი დღის განმავალობაში,
ვინემ ერთ და იმავე ღროს დეპეშები
არ მოვიდენ. შენიდამ იმ ამბით,
რომ აესტრიის ჯარმა დიდის წესიე-
რებით უკან დაახიაო, და ბერლი-
ნიდამ — პრუსიის ჯარმა საშინლათ
დამარცხა აესტრიისაო, რომელიც
უთავბოლოთ გაიქცა და პრუსიისას
თავისი არტილერია, ბარახები,
დაჭრილები და ბანაკი დაუტოვაო...
შეელასთვის ცხადი შეიქნა, რომ
აესტრიია დამარცხებულაო.

ცოტახნის შემდგომ ჩმა გავაჩ-
და — საფრანგეთის მთავრობასა და
პრუსიას შეა უქმაყოფილება ატყ-
და, და ორივე მხარე საომრათ ემ-

ზაღებაო. რასა კეიირელია, ყოველი
შეეიცარელი იმწამსვე მიხედა, პრე-
სიას და საფრანგეთის შეუ იმი
შეეიცარიასაც ერთობ დაეტყობაო.
— რადგან ამ ორი სახელმწიფოს
შეუ შერიგების დროს შესძლებე-
ლი საჭმეა, რომ შეეიცარია ორი-
ვემ შეუზე გაიყოს.

უნდა გენახათ მაშინ, რა აღტა-
ცებით, რა გაცეიფრებით ქსროდენ
ნიშანს შეეიცარაელები! ბეგონებო-
დათ, ნიშნის მაგიერათ, პრესიას
ან საფრანგეთის ჯარი დგასო. მო-
ფის დაცლის შემდგომ, შროლელი
თოფის დუმას მიწაზე ისეთი გაჯა-
რებული გუნებით ახალებდა, თოთ-
ქო უნდა ეთქვა — სანამ მიწაში არ
ჩამაძერენთ, ჩემ საჭმობლოს არ
დაგანებებოთ!

როცა თოფის სროლა გათავიდა
და ჯილდოს დარიგება მოახლოესდა,
გაიმართა მასშინ ძლობა. — საფრთო სა-
დილი. სუფრას გარშემო სულ ცო-

ტა, ცოტა, ეჭვი ათასი კაცი ისხუა, და საღილის მჭამლებს ვაჩშემო ორი იმოდენა მცქერალი ხალხი ეხვია.

როცა პირველი საღლევრძელოს წარმოთქმის დრო მოიწია, ერთმა შეეიტარიელმა, უწინდელმა მენევის მინისტრმა, ჯემს-ფაზიმ, აი როგორი საღლევრძელო სთქვა:

— „ღმერთმა აღლევრძელოს ეს ჩვენი თოფის-მსროლეველების ამხანაგობა, რომელიც ჩვენი სამშობლოს თავისუფლებას და ჩვენ რესპუბლიკას სამუდამოთ დაიცავს! ღმერთმან აღლევრძელოს ჩვენი რესპექტი, აღლევრძელოს შვეიცარია!“

ამ სიცუვების თქმა, და უშველებელი ტაშის კერის ატყდომა, „ღმერთმა აღლევრძელოს რესპუბლიკა და შვეიცარია,“ ყვირილის ფაქტორები ურთი იყო. მს გასაცირკელი აჩვეულობა, რომელსაც მცქერლების თვალზე უჩემლი მოჰყავდა, სულ ცოტა, ცოტა, ნახევარი საჭირ

მაინც გაფრიდელდა, მიწერ მეორე
დეპუტატმა მეორე საღლევრიძელი
ან წამოსთქვა:

— „ღმერთმა საუკუნოთ განუსვე-
ნოს ჩვენ წინაპრებს, რომელთაც
ჩვენი ქვეყნის თავისუფლება უაუდ-
გენიათ და ჩვენ გულში ამისთანა-
ვრძნობა ჩაუნერგვეთო!“

იმ დროს მენექაში ერთი მცე-
ნობი ჩეხი მყავდა, რომელსაც არ-
მოცდა რეაში ავსტრიის მმართებ-
ლობაში რევოლუციაში შონაწილეო-
ბის თვის დახვრეტა გაუჩინა, და რო-
მელიც მაშინ შეეიცარიაში გარა-
ვარდა. — როცა პროცესის ჯარიმა მი-
სი სამშობლო აიკლო და დაიკავა,
როცა დამარცხებული ბესტრიის ჯა-
რი ვენისკენ დაბრუნდა, ამ ჩემმა
ნაცნობმა ჩეხმა მაშინვე აუსტრიის-
კენ გასწია: „პროცესის ჯარის ხელის-
დამ ჩეხია უნდა დავიცვაო!“

ას ეიცი, მოახერხა იმან ჩეხის
დაცვა თუ არა. მს კი ვიცი, რომ ის

გადარეულსაეთ გაფრინდა შენის-
კენ, და მას აქეთ არც ერთ მის
ნაცნობს მისი ამბავი არ გაუგონია.
მე კი თავიდანვე იმას ვფიქრობდი,
თუ ეს კაცი პროცესის ტყვიას გა-
დურჩა, აესტრიის ტყვიები ხომ დამ-
სახურებული აქვსთო.

თუ დასახერეტათ დანიშნულ კაცს
გულზე ისეთი ალი ედებოდა, რომ
თავისი სასჯელი ავიწყდებოდა და
თავისივე პალახების დასაცველათ
მიღიადა, შეიძლება წარმოიდგი-
ნოს კაცმა, სხვებს ტანში რანაირი
გრძნობა უნდა გაჯდომოდა!

მართლაც, იმ დროს მეროპაში
ერთი, ადამიანიც არ დარჩენილა,
რომელსაც მაშინდელი ომის მიზე-
ზით გული არ ასტკიენოდეს და
ტვინი არ შესძროდეს. ბული ყვე-
ლას მხნეთ უძგებდა, ყველას ახ-
სენდებოდა თავისი მამული, მისი
სახელი და ბედნიერება, ყველას თა-
ვისი ჟაკუთარი ბულის და კერიის

საქმეები ცოტა ხნით მაინც აუზიყდებოდა, — ერთი სიტყვით ყველა, რამდენიმე წუთის განშავლობაში მაინც მამულის შეიღავთ, კაცურ კაცით ხდებოდა...

შინც ამისთანა მოძრაობას თავასი საკუთარი თვალით ნახავდა, მს უსათუოთ სამუდამოთ დარწმუნდებოდა, კაცობრიობას ომი რომ არ გამოეგონა და აქამომდი არ გამოეზოგა აღამიანის ცხოვრება დაოდებოდა და კაცის ტეინს ჟავსი მოეკიდებოდა.

მართალია ზოგი ამბობს (და, გამოვტყდები, ხანდისხან მეც ამ აზრისა ვარ), ვითომ, ხალხებს ზოგი ან ბრძოლა სწავლის და ხელოვნების ასპარეზზე უნდა იყოს გამართულიო, ვითომ ეს ახალ-აზრი ბრძოლაც მოძრაობაში მოიყვანს კაცობრიობის ტეინს და მის ცხოვრებას გაუმჯობესებს. მართალია ეს, მაგრამ...

მაგრამ, ჩემო მკითხველო, ეს
როდის იქნება, ღმერთმა იცის! მხ-
ლა კი, ჯერჯერობით, ამისთანა
უცხო დაუხისხლო ბრძოლის მაგიე-
რობას ჩვენ ცხოვრებაში სისხლის
მღერელი ომი შერება...»

„სისხლის მღერელი ომი“ იცი
რაა? ჩვენში რომ უწინ არას-სამა-
სი ცხენოსანი ერთ იმოდენა ლეკა
ან თათარს ხლმით შეუტევდა, და
მინდორზე ოცი-ოცდა ათი ოდენ
მკვდარს დასტოუებდა, ამისთანა ომი
დღეს შეუძლებელი გახდა.

დღეს ორ სახელმწიფოს გამოჰ-
ყავს, თითოს სამას-ოთხასი ათასი
კაცი. ამ ჯარს წინ შეიღას-რვაასი
ზარბაზანი მიუვება და უკან ოთხი
იმდენა ეჭიმები მისდევს: ზარბაზნე-
ბი ექვს-შეიღ ვერსზე კლავენ ხალხს.
— შოეელ სალდათს ხელში ისეთი
თოფი უჭირავს, რომელსაც ერთი
წამის განმავლობაში ათიოდეჯერ
შეუძლია გაიტენოს და გავარ-

დეს. ყოველი სალტათი ისე გაჩვეულია ამ ფოფის ხმარებაში, რომ უშეელებელ სიშორიდან შეუძლია ერთ წამში სამჯერ მინუ მოახველოს არა-აბაზისის ტოლა ნიშანს.

ამ მიზეზების გაშო, სამოცდა ექვსში, ერთი დღის ვანშავლობაში, სადოვას ბრძოლის დროს, დარჭმა ორმოცდა ათი ათას კაცე მეტი, და არა ნაკლები... იფიქრე, მკითხველო რამსიდიდეა ეს რიცხვი.

ორმოცდა ათი ათას კაცი ერთ დღეს ეს ბედი ერვო. ამათგანა ზორვი დამახინჯებული დავაჩდა ბრძოლის ვეზზე, ზოგი თავ-უებ მოწყვეტილი, ზოვი შუაზე გაპობილი, ზოგი უხენის ან ზარბაზნების ქვეშ გაჭერილი... და რამდენი დაკოდოლი კაცი მოკვდა იმავე ან მეორე დღეს უმოწყალოთ, უნუკეშოთ, ფსიქერთის მეტმა არავინ იცის.

კარვი მაგარი გული უნდა ჰქონ-

დეს ყუქა, ამისთანა მინდერის დასა-
თვალიერებლათ! არა მგონია, რომ
ძალიან მაგარი გულის ვიყო, მაგ-
რამ ზოგიერთ პირებზე — მწერლებზე
და პოლიტიკებზე — კი ისე გაბრაზებუ-
ლივარ, რომ დიდის სიმოვნებით წავა-
თხვედი იმათ, შემობინუების დროს,
ოშის გათავების შემდგომ, ბრძოლის
უელისკენ, და დაკეპილ, დახვრე-
ტილ ან მომაკვდავ კაცებს თითო
თითოთ დავათვალიერებინებდი.

— მს გახლავს, — ვეტყოდი იმათ
ყოველთვის, როცა ახალ დაკოდილს
ან მკედარს ვაჩერენებდი, — ეს გახლავს
თქვენს ნამუშავარი, თქვენ რომ
ქვეყანას საომრათ აქეზებდით, ხალ-
ხებს შუა დაუნდობლობას და მტრო-
ბას სთესდით. — ხომ მშეენიერი სა-
ნახვია, გიხაროდენ!...

მართლაც იმ დროს: როცა ამ
უბედურ მძოვრებს ყორნების გუნდი
ეხვევა და გლეჯას უწყებს, ეს
პოლიტიკები, ეს ვაჭბატონები, —

რომელიც ხალხებს საომრათ აქვ-
ზებდენ, — ლაზათიანათ გაწყობილ
სასახლებში, მშენიერ კრისტოფ-
რე წამოწოლილი, დეპეშებს ან გა-
ზეთებს თვალს ავლებდნ. ნშათ
იზმორებიან და მოსამახურეებს მოს-
ვენ ებული ხმით ჩინებული ვაშშმის
მორთმევას უბრძანებენ*).



ო მ ი ს ს ა დ ლ ე გ რ ძ ე ლ ო

25 სეკტემბერს 1870.

ტრეულს სწორეთ სამი-ათას-სამ-
ოცდა სამი (3063) წელიწადი შე-
სრულდება მას აქეთ. რაც ბერძნები
ქალაქ ტროიას საომრათ მიაღენ,
სამი-ათას-ორმოცდა-თოთხმეტ წე-
ლიწადს გაუვლია მას აქეთ, რაც
ტროიას წინ ბრძოლა ბერძნების გა-
მარჯვებით და ამ ქალაქის დაჭუ-
ვით დაბოლოვდა

სამი ათასი წელიწადი ხუმრობა
ხანი როდია. მაგრამ კაცობრიობას
მაინც არ დაუვიწყნია არც ეს ბრძო-
ლა. არც მასში თავ-ნასახელევი „გმი-
რები.“ პხილესის, ბიაქსების, ლექ-
ტორის და სხვ. სახელები ეხლაუ
ენაშე აღვია კაცს, როცა მამაცობა-
ზე ჩამოვარდება ხოლმე. ლაპარაკი

Այու ան հան ջուրատ քամեանցոց
ան ծցընոյրմա կապցիմա յև ծուլու
թուղլցեցու ջուզեմա, յև քայլցոնցա-
հո սաեցլո՞ Ամ յուտեածց პատուի
շնձա մոցվուց մատո զմոհոնձու ան
բյորմա—քոմերմա.

Այ հա նաուատ եաբաց յև პոցըն
տացուս զմոհոնձու մրժուլու, Ծրո-
ռաս წոն.

Ծրոռօս մեյուս Շյոլմա, Ըստում,
սածընծնցուս հածմուզամ Շյոմահո ցա-
մուտեռց տոյիմց;— Յուսու չուլո
այց, Շյմերէյուսու!+ մուս წոնաշլմոցց
ջամունուս Արայի, հոմելու Ծոյ-
ունս Շյմոցցո և ուսուցեմու Եցեցիմա:

”Եկու Շյունցու, Ծոյունս, հուցունո
չմաւու չոյց տկաս մաւուի յանձա,
ու Բնիյուս չմենոյցու ու լուսունոյցու-
հո չպայուս մու (լ. օ. պայուսու) յան-
ձու! ու յիւս ուցուն Անձունիյուն
հաֆման յեւմուն իմա, Ելիյուն, ու Հ-
յանց չի բայունցուս մուս չմյամանից,
մայուն իմա, և յանցու մյուս եան-

მრავალით გაძლიერებული სხვაც ბეჭნი
გავას. დაწეს ბრძოლა, პრიმის მავს
იმ სიტყვების პასუხათ ღექტო-
რი ეუბნება აიაქსს:

თოვენამონის მეტი მეოთხე შობილო
აიაქს, ჩავხის მიუღვიაბერთ! შექ მცდი,
ოთხჭა იავ მსა, ახა და ქადას, რომელ-
საც ბრძოლის საჭმეში არა გაეგება რა.
მაგრამ მე გვარისათ გაჩუქრი ვარ
ბრძოლა: მი და სისხლის მფლოედ გაფის-
კვდაში. ჩემი მძიმე და მაგარი ფარის
მარტობით და მარცხნით მიგდებ-მოგდე-
ბს კარგით ვიცი. ბრძოლა: მი ეს მე კერ-
ვაძლევებს. ქვეითათვე შემიძლია და მ-
ქრისა და ცხებრესხორც, მარდ-მუხლის,
გაჭირებულ ცხებზე.“

ამის შემდგომ ბრძოლა იწყება
თოქა (ლექტორი), ძაღუმათ მოი-
მარჯვე და ისრილის თავისი გრძელ-ლაბ-
ლახი შეიძი, რომელიც მოსიცე აიაქსის
მკიდ-კიცა ტეატრუსგან შემხადებულ ფრთის,
ბრწყინვალე სპილენზიზე, რომელიც იყო
უკანონი, მწოდი მართ, კრის. ფრთი

შებმა მქონი კაცი და გაიარა; მუ
შეიდე ში კი მერჩა.

„მა შინ დიდი თელამონის ძემ, ძღვი-
ერმა აიაქსმა, უძიზნა თე კისი კოდეკ-
ლანდიანი შეიტ, ისროდა და პრინცის
ძის გარედა იჯარში შესტუროდა. ძღვი-
ერმა მუშამა ნათელო კანი იჯარი მუხტე
კაცი, მშექიწოთ შემდეგი რაგის
საცდელი უაცრათ გასკრიტა და მუშა-
ტე ხილის დაბოა, პერსები გაგრივ. ლექტორი
დაიხია დაიხია და მით მაკ სიკ-
ლის გადარჩა.

„ორივე ხელ-ახლავ კოდეკ-ლანდიანი
შებერ ამოალეს და კითხა მით კონდა-
ნეთს ეცეს, თითქო საზოარეო, სისხ-
ლის-მშექი ლომები, ას ცეის მხეცები,
ძნელათ დასათურისელი კვიცხვები. ლექ-
ტორმა შები თელამონის ძის იჯარი
მუხტე ადგილის მოახველა, მუშამ
იჯარი კურ კაცი: შების წერი სპილე-
ნი, მოიჩდება. გაქნებულის აიაქსმა
ლექტორის ფარის შები კურა: შები იჯ-
არი ხელახლავ კითხასთ გასკრიტა, ლექ-

ორი უას დასწია, მას უკას გვერდით
გვერდა, და შავი სისილი ვამოა: ეფერ...“
ხომ შშვენიერი და უცხო ბრძო-
ლაა, მეითხველო? მაგრამ ცოტა
მოითმინე: ღერმორი ჯერ როდი
დაშარცხებულა. ბრძოლის ლაპითი
შემდგომშია. ხაუბედუროთ დანარ-
ჩენი აწერილობა ისეთია, რომ ქარ-
თულ თარგმანში იმას ყოველი ძა-
ლა და შნო დაეკარგება. „მპიკური
მარილის“ შესანახავათ ამ აღვილს
ისე გაღმოვწერ, როგორც ზნედის
რასეულათ უთარგმნია:

Был герой не прерваль, шаюблещущий, пламенныи Гекторъ,
Но, чѣзъ подавшися, камень рукою могучей
Сорвалъ, средь поля лежавшій, черный, жестокій, огромный,
Матомъ подергъ, и Аяксъ блестательный щитъ сей кожаный,
Глѣбой въ средину ударилъ; варенѣя вся мѣдь щитовая.
Быстро Аяксъ подхватилъ несравненно огромнѣйшій камень,
Ринулъ его, размазавъ, и напрягши беатруную силу,
Въ інѣтъ угодиъ и щитъ въ проломилъ его камней жер-
НОВЫИ ЧЛ-

Ильиа колыка крату; на требетъ борокинъя Гекторъ,
Сперу патснуетъ щитомъ; но винчашю волнигнуль Циренъ-
Фонъ; и тотъ рукоятию мечахи-бъ они штурбились.
Еще въ ехъ героямъ глашаданъ, рѣстники бога и смертныиъ,
Кириутъ не представи, одинъ отъ Троянъ, а другой отъ
Ахениъ,
Рѣстники Нарвъ въ Гамбенбій.—Ужъ разныиѣ оба.

ქვებით ებრძოდენ, ომს და ბრძოლაში გარეულ პირებს კაცი აღტა ცებით შეცემიდა. მართალია, ომი მაშინაც ხშირათ სიკვდილით ან დაკრით თავდებოდა. მაგრამ, მაგიერათ, თვითონ ბრძოლა უფრო ხანგრძლივი, სასეირო იყო. მეომარი დიდხანს უნდა კაცს თვალ წინ და დიდხანს აკეირვებდა თავისი ყოფა-ქცევით, სიმარტით მამაცობით, მინებ ან წინ ააღმდევების შუბზე წამოეცმებოდა, ანა და მას მუშტით გააბრუნებდა. მრთი სიტყვით, უწინდელი ომი, წარმოდგენის არ იყოს, დიდხანს ახალისებდა და აღელვებდა კაცს, სანამ თავისი საზარელი ბოლოთი — მეომრების სიკვდილით — მის გულს შეაწუხებდა.

მხლანდელი ომი სულ სხვა ნაირია. მხლა ომში გარეულ პირებს ერთმანერთთან ლაპარაკის დრო როდილა აქვთ. ტრაბახის მუქარის მაგიერ, ამათ ერთმა მეორეს ტყვია-

უკუმბარა უნდა შეაგებონ და ხმის
ამოულებლათ უნდა მიიღონ „მოკ-
ლე ლანდიანი“ მაგრამ წვერ მოულუ-
ნაჟი ბასრი ტყერა, რომელსაც, სუ-
ბერულოთ, პერანგი კი არა, სამხედ-
რო მუნდირიც ველარ აკავებს... ბო-
ლოს გამზავნებელი „იდეოსი“ ან
„ტალაფიბიოსი“ როგორა დაცემის
ეხლანდელი მეომრის ბრძოლას,
სიმხნეს და სიკუდილს.

მერე ჩა ნაირ სიკუდილს! უწინ რომ
მოტოს შები, ან შერდულის ქვა, თუ
გინდ ტყერიან ხმალი მოხვეუბოდა
კაცს და სულის ნელა გააცხებინებ-
და, ეხლა ამის მაგიერ, თუ, ორ-
მოც კაცს ერთბაშათ კულაცს ქა-
თი-ორი ყუმბარა. „ქლავს“ რომ
ეთქვი, ეს სიტყვა კიდევ სუსტია.
როგორც ინგლისელი „ტაიმსი“
(Times) კორრეცტონი იწერება,
ეხლანდელი ბრძოლის ველი საუსეა
თურმე ნაკუნძ-ნაკუნძათ დაგლეჯილი
მძოვრებით. ზოგან ხელი აგდია, ზო-

გან თავი და ფეხი, ზოგან ერთათ
დაკეპილი, მრეული, დაზელილი
ხორცი და ტანისამოსი, ასე რომ
კაცის ტობაც უჭირდება, ამნაირ
ცოში ას და ას უკეთია. მომაკვ-
ლავ კაცებს შეუ დაჭირილი და მო-
მაკვდავი ცხენები გდიან და ხვნე-
შიან. მათ გარშემო ყრიან თავ წაწ-
ყვეტილი, ფეხ-მოგლეჯილი მძივრუ-
ბი, ზოგი გალურჯებული, ზოგი ენა
გამოგდებული, ზოგი გამწარებული
ჰირის სახით, ზოგი ტუჩებზე დაკლული
ლიმილით, ერთი სიტყვით, ამბობს
კორიქსონდენტი, ამზე უფრო სა-
ზარელი სანახავი აღამიანის თვალს
ჯერ არა უნახავს რაო.

ვინ არ იცის, რომ ექიმები შეუ-
ბრალებელი, გულ-მაგარი კაცები
აქიან. მის არ გაუკონია, რომ ისი-
ნი შეუწყნარებლათ და უდარდელათ
დაცერიან ჭურის ტანჯვას, სიკვ-
ლილს, უბედურებას? მართლაც. იმათ
იმოდენა დარღი. ტანჯვა, ვაი-ვაგ-

ლახი უნახავთ, რომ კაცის გასაჭირო-
ში მათთვის უჩეევი. ან გასაოცარი.
არა არის რა. მაშ იფიქტ, მეოთხეუ-
ლო, რა რიგ უშველებელი და წარ-
მოუღებენ, უნდა იყოს ეხლანდელი
ბრძოლის სიმწარე, თუ კი ეს გულ
მაგარი. გრძნობა-მიჩლუჩკვილი ექ-
მებიც ველაზ იტანენ საჭარელ სა-
ნახავს და ერთ-ხმით ამბობენ, —
რომ ჯე ნაირი სურათი ღმერთმა
ადამიანის თვალს ნულა მოაჩვე-
ნოსო!

სწორეთ შავ-ჩ ირათუ ამბობენ
ყველანი ვრცაც ცოტათი მაინც
უნახავს ეხლანდელი ბრძოლა და
მისი ჟელი.

ერთი ხმა; ერთი ჭრი ეხლა მა ელ
ქვეყანაშია გაფარდნილი რადგანაც
ომს ამოდენა მახვერპლი სკორია.
ამოდენა კაცის სიცოცხლე მიაქვს,
ომი სწორეთ ველური რამ ყოფილოა.
მაშ კაცობრიობამ უნდა მიატოვოს
ამ გვარი მავნებელი საშუალება,

რომელსაც ამოდენა ტანჯვა და უბე-
დურება მოსდევსო.

ჩასაკვირველია, მწერლებმა ეხ-
ლა საწერი მასალა იშოვეს. ისინი
ერთ-ხმათ და ერთ-ნაირათ ქაღაგობენ
ყველა ენებზე: „მოსპერ ბრძოლა,
სამუდამოთ მოსპერ ომი, რომ კა-
ცობრიობა, მშვიდობიანობის ბედ-
ნიერებას აღარ აკლდებოდეს, თა-
ვისი ლვაწლის ნამყოფით მშვიდობი-
ანათ ტკბებოდესო.“

ო. რა უგნურია ეს ჩვენი გო-
ნება, ეს ჩვენი ჭკუა, მკითხველო თუ
ყულ-გამოჭრილი ან დამახინჯებული
კაცის მძოვრი არ დავინახეთ, ვერც
კი წარმოვიდგენთ. თუ აღამიანს აღა-
მიანის მოკველა შესძლებია. სანამ
თოფ-ზარბაზნის ხმით და კიუინით არ
დაგვანახეს, რომ ომს ასი-ათასი კაცის
სიცოცხლე მოუკაფავს, აზრუაც
როდი მოვსევლია, თუ ეხლანდელ
მუროპაში შესაძლებელი ყოფილა
ამოდენა ხალხის შეურაცყოფა, ან

დაღუპეა. მხოლოდ მაშინ ვეკრძილებით, ვწუხვაროთ და ვზრდებით, როცა ბრძოლის ველზე ერთათ დაგროვებულ, დასისხლიანებულ ტეინ-დან ლურეულ, დამახინჯებულ შძო-რებს ვხედავთ — თი და ას-ობით...

მსაა ჩვენი უბედური და უძლიერი ტეინის სიგლახაცე. ჩვენ რეინს ცოტაოდენი ძალა რომ ჰქონდეს, და ჩვენი გრძნობა მართლა კაც-მოყვარებით რომ იყოს ავსებული, განა სხვანაირათაც არ შეგვეძლო. შევწუხებულვიყავით ადამიანის ბედ-ზე? საჭირო როდი უნდა ყოფილო-ყო, რომ ჩვენ თვალ-წინ ასიათასი კაცისთვის ყელი გამოექრათ ჩვენ-და ასაღელვებლათ. — ასე გასინჯეთ, ეხლავ ყველა ამ უბედური ასი-ათა-სი კაცის ბედს ტირის და მათ შძო-რებს თვალის წინ იღვენს. ის კი ჯერ არავის მოსვლით ვკუთხი, რომ მაგ არ ათას კაცს ოჯახი, ცოლა-

შვილი ყავდა, ჩომ ეს ცოლშვილი, ეს ოჯახი, იმათი სიკვდილის გამზ, სილარიბეში, სიგლახაკეში უნდა ჩა-ვარდეს. რაა ერთი წუთის წუხილი, უცეფ სიკვდილს დროს, იმ უბედუ-რებასთან შედარებით, რომელიც შთელ სიცოცხლეში უნდა ადგეს მოკლული მეომრების ოჯახს და ნათესავებს? მს მეომრები, შრომით, ან ჯამაგირით თავიანთ ცოლ-შვილს, დედ-მამას არჩენდენ. მხლა ამ უბე-დურ იბლებს ვინდა მისცემს იმ სა-ზრდოს, რომელიც მოკლულ ან დამახინჯებულ მეომარს საჭლეში შე-ჰქონდა?

ჩვენი ტვინისა და გრძნობისთვის ეს კითხვა უსაფუძვლო კითხვაა. მს ოჯახები ხომ მხოლოდ ცრემლს დაღვრიან. მათი წუხილი და ტან-ჯვა ხომ მარტო ტირილით და ოხვ-რით გამოითქმის, არა? მაშ რათ უნდა მოვიკლათ გული? ჩვენი გუ-ლი წუხილით მხოლოდ მაშინ უნ-

და შეიმუშაროს, როცა სისხლის
ტბებს, დამტკრეულ ძვლებს, დაგ-
ლეჭილ მძოვრებს დავინახავთ, რო-
ცა ჩვენ წინ, ცარემლისა და ტირი-
ლის მაგიერ, ბრძოლის კიჟინა და
გრიალი ატყდება...

მართლა, რა შესაბრალებელია
ორიოდე მიღიონი ქალების ან ბავ-
შვების ტირილი? რა შესაწყნარებე-
ლია მოხუცებული დედ-მამის სიმ-
წარე? ან რათუნდა შეგვძრას ერ-
თი-ნამცეცა ბაშვების შიმრილმა,
ტანჯვამ? ისინი ხომ მეომრები არ
არიან და ბრძოლის ველზე სისხლს
ხომ არ ლერიან!

მართალია, ულვთო ტანჯვა და
უდროო სიკვდილი მარტო ბრძო-
ლის ველზე კი არ ასწრებს კაცს,
ხშირათ მოხდება, რომ კაცი მშეი-
ღობიანობის დროსაც იტანჯება და
უბედურებაში კვდება. გავონილა,
თურმე, ის გარემოებაც, რომ კაცი
ნელ-ნელა, დიდი ხნის განმავალო-

ბაში, ოფლა და სისხლს ღვრის
ისე, რომ სხვა ამ სისხლის ღვრას
ვერც კი ნიშნავს. მაგრამ ჩვენი ჭურა
ამ გვარ ტანჯვას და უბედურებას
როდი იხსენებს, როდი იწყნარებს.

მე ვყოფილვარ ბელორუსიაში¹
პრუსიის სამზღვარზე; ბალტიის ზღვის
სიახლოვეს. ამ ჭენჭურიან, ცივ ქვე-
ყანაში შეესულვარ ხოლმე ფაცხე-
ბში, რომელშიაც იქაური ხალხი
ცხოვრობს. ფაცხაში გაქროდა და
გამოქროდა შემოდგომის ცივი და
სოველი ქარი. ფეხ-ქვეშ, ახალ-მო-
ზელილ ცომსავით, მიწა იგლისებო-
და. შიგ ფეხი თითქმის კოჭამდი
იფლებოდა. ზევიდამ ზანტათ ჩამო-
წვეთდა რაღაც ოხერნაირი, თითქო
კომლში გათქერილი, მიხაკის-ფერი
წეიმა.—სახლის პატრონი და მისი
ოჯახი, ყვითელი პირის-სახიანი, ყვი-
თელ თმიანი, ყვითელი ტანსაცმლით
—რომლის ნაგლეჯების ქვეშ ყვი-
თელი ხორცის-კანი მოჩდა—მითიც-

ხებოდა ერთ ნამცეცა ცეცხლს. ხანდისხან, როცა ცეცხლი დაქრობას აპირებდა, პატარა ბიჭი სოველ ფერფლზე დამჭკრარ ბალახს და ნეშოს ყრიდა.

საჭმელ-სასმელი ამ ხალხს ისე შემოკლებული აქვს, რომ თითქმის ნიადაგ ის ხავსს ურევს პურში. ამ გვარი შევიწროებული ცხოვრება იმას ტანათაც აპატარებს, ხანსაც უკლებს და სილაზათესაც ართმევს, ტვირზე-ვონებაზე ხომ ჩაღა ლაპარაკი უნდა: ვისაც მათში მარჯვენა და მარცხენა ხელის გარჩევა შეუძლია, იმას იმ ჭეყყანაში. ჭკუიან კაცს უძახიან.

ბევრი საზარელი ამბების თქმა შემიძლია ამ ხალხის მდგომარეობაზე, მაგრამ ეხლა მხოლოდ ერთ მხარეს ავწერ. სილარიბის, უგნურობის და უწმინდრობის გამო, ამ ხალხში გავრცელებულია ერთი საზარელი ავათმყოფობა (კოლუმ). თავის კან-

ზე კაცს თმის ძირი უსივდება და უჩირქიანდება. მერმე თმის ღერი ერთი მეორეს ეკვრება, ისე რომ ბოლოს ადამიანს თავზე, თმის მაგიერ, დაბალღმებული და საზარლათ მტკიცანე ნაბადი ედება. მაშინ ერთ ღერ თაში ვერ მოკიდებ ხელს ისე, რომ ავათმყოფმა ვაი-ვაგლახით ლრიალი არ დაიწყოს.

ეს ავათ მყოფობა გადამდებია და ღუპავს მთელი მხარეს. ჟველასთვის აშკარაა, რომ ამ ავათმყოფობის მიზეზი ცუდი საღვური და გაჭირვებული ცხოვრებაა. მაშასაღამე მისი მოსპობა შეუძლებელი როდეს უნდა იყოს. მაგრამ ასი და ორასი წელიწადია რაც ის ათასობით ღუპავს ხალხს, და მის მოსასპობლათ ადამიანს ჯერ არც ხმა ამოულია არც ხელი გაუნდრევია. თმის ავათმყოფობა სილარიბის გამო, აბა რა შესაწყნარებელ ტანჯვათ. უნდა

ჩაითვალოს ან ვის უნდა აღელოდება
დეს ჩვენ დროში!..

იტყვი ეს უბეღობა მარტო გა-
უნათლებელ, ბნელ ქვეყანაში შე-
აღვენს ხალხის სვესო, იმის და-
სამტკიცებლათ, რომ განათლებულ
ქვეყნებშიც ხალხი უღვითოთ იტან-
ჯება და უდრიოთ კვლება, ერთ
სურათს კიდევ მოვიყვან. მინახავს
კიდევ, ერთი დიდი უშველებელი
ქალაქი, განათლებულ ინგლისში,
მან ჩესტერი. ამ ქალაქში სა-
ლამოს ათ საათზე მიველ, იანვარში,
წვიმიან ღამეს. პაზარმისავით ერთ
კილოზე აშენებულა უშველებელი
სახლები მარტო ფაბრიკებით და
მაღაზიებით იყვნენ სავსე.— მარტო
სარდაფი, მიწის ქვეშ, დაუტოვებით
მუშა-ხალხისთვის, რომელიც ათი-
ოუთხმეტობით ყრია თათო სარდა-
ფის თვალში, ნამიან მიწის ან ავუ-
რის იატაკზე. სულის შეგუბვა-
ის იქ იმით სცილდება, რომ ზამს

თარ-ზაფხულ სარდაფის პატაწინა ფან-ჯები ლია აქვს დატოვებული.

იმ საღამოს ორიოდე საათის განმავლობაში დავეძებდი ამ უცხო ქალაქში ერთი ნაცნობის სახლს. ამ ძებნის დროს სარდაფის ფანჯრიდამ ამოსული ჰაერის სული რომ მეცემოდა, მიკვირდა, ამოდენი ფეხისაღიავი რა საჭიროა, ან ასე საქვეყნოთ რათ გაუმართავთ მეთქი!

მეორე დღეს თეთრი პერანგი ჩაეცვი, ტანსაცმელი გამოვიცვალე და ქალაქის დასავლელათ გამოველ. დილის სინათლით მანჩესტერი რომ დავინახე. იმისთანა დასანახი შენ მტერს! აგურის სახლები გარედამ ყველა ერთგვარათ და ერთიანათ გაჭყვარტლიანებული იყვენ. მთელ ქალაქში ქუჩებზე სულდგმული არა ვინ ჩნდა. ფანჯრები ყოველგან დაკეტილი და მწვანე ფარდებით გლოვიარეთ ჩამოფარებული იყვენ. მთელ არე-მარეს აწეა მოშავო, სუ-

ლის შემგუბველი, კომლიანი ნის-
ლი, რომელშიაც დიდის გაჭირვე-
ბით ატანდა ნემსივით წმინდა, ძე-
ლამდი გამტანი წვიმა.

მრთი სიტყვით, ქუჩაში მოსია-
რულე კაცისთვის ქალაქი გავდა
დაძინებელ სამეფოს, რომელშიაც
ცოცხალი ძალლიც არ იპოვება.
მაშინ, თუნდ ვისმეს დავეკალ, არ
დავიჯერებდი, თუ ამ ქალაქში
460,000 კაცი ცხოვრობს. მაგრამ
ცოტა ხნის შემდგომ, როცა თავი
ავწიე, და სახლის თავებზე დაუბო-
ლოვებელი ბუხრის წვერები დავი-
ნახე და როცა ციხის სიგანე სახლის
კედლებიც მაშინების მუშაობისაგან
შეიძრენ, მაშინ კი მალე გამახსენდა,
რომ ამ ქალაქის მცხოვრებელი თა-
ვიანთ დღეს მაშინებზე ლევენ...

იმ დილას ოთხი-ხუთი კანტორა
დავიარე, ისე რომ არც ერთ სამუ-
შავო ოთახში არ შევსულვარ. ეს
საქმე შემდგომისთვის მქონდა გადა-

დებული. მაგრამ, როცა შეუადლის
ხანს შინ დავბრუნდი, და სარკეს
წინ ვავიარე, დავინახე, რომ ჩემი
სპეციაკი პერანგი მანჩესტერის კომ-
ლიან ნისლს თითქმის ქვაბის ძირი-
ვით გაეშავებინა, და ჩემ პირის სა-
ხესაც მური წაცხებოდა. ცხვირის
ნესტოს რაღაც ზეთიანი მური
მოსდებოდა. შელში საძაველი ხრა-
კის გემო გულს მირევდა. თუ მან-
ჩესტერის ჰაერმა ცხვირსა და ყელს
ესრეთი საქმე უყვეს, ფილტვების-
თვის იმას აბა რა ხეირი უნდა
დაეყარა!

მს გავლენა იქონია ჩერზე იქა-
ურმა ჰაერმა მარტო ნახევარი დღის
განმავლობაში. მხლა იფიქრე, მკი-
თხველო; რა ტანის სიმრთელე უნ-
და ჰქონდეს იმ ხალხს, რომელიც
მუდაშ ამჩაირ ნისლში და ხშირათ
კი უარესს კომლში, მაშინების
გარმემო, დიდ ფაბრიკებში მუშაობს!
მს ხალხი, რომელიც ამისთანა

საუბედრო ჰაერში ცხოვრებს, კი-
დევ ბედნიერათ უნდა ითვლებო-
დეს, თუ იმ მუშების მდგომარეო-
ბას გავიხსენებთ, რომელიც ინგ-
ლისში, იმავე მანჩესტერის ახლო-
მახლო, მაღნებში და მაღნეულობის
საკეთებელ ქარხნებში წვალობენ.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, მარ-
თებლობის კამისით დამოწმებულია,
რომ ამ უკანასკნელი მუშების სი-
ცოცხლე თუ თხმეტი წლით
უფრო მოკლეა, ვინემ სხვა
მუშებისა. საზოგადოთ შუშა-ხალ-
ხის სიცოცხლე, ხომ, ათი წლით
ნაკლებია დანარჩენი ადამიანე-
ბის სიცოცხლეშე.

ეს გახლავს ინგლისში, რომე-
ლიც მეტის-მეტათ განათლებული,
წესიერათ გაწყობილი და მდიდარი
ქვეყანაა. მაში რა უნდა ხდებოდეს
სხვა, უფრო უწესო ქვეყნებში — მა-
გალითად სათათრეთში, იტალიაში
და სხვ...

დიახ, ჩემო მკითხველო, უდიროოთ
და ძალ-დატანებით მარტო ბრძო-
ლის ველზე კი არ კვდება ხალხი.
უგნურობა, უწესობა და სიღარიშე
იმას შასპოს და დრეიზეს თოფებზე,
უარესათ ლეწავს ყოველგან; საცა
კი ხალხი არსებობს. იტალიაში
იმას სიცხე და მორიელები ჰკულავს,
სხვისი ყანის ხენისა და მკის დროს.
რიონის პირზე ხალხს სამეგრელოს
ჭაობების სინოტიე ულევს დღეს,
როცა ის ჭალადიდელ ნავებს ღვლე-
ჭით ათრევს ფოთიდამ ღრმპირამდი...
განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ
ომი კაცს უციუათ და ერთბაშათ
ულებს ბოლოს, და სიღარიშე, უწე-
სობა ან უგნურობა კი—ნელ-ნელა,
შეუმჩნევლაო.

მართალია, ჩვენში ამბობენ: „კა-
ცია და გუნებაო,“ მაგრამ, საქმე
რჩევაზე რომ მივარდეს, ბევრს,
მგონია, ვირველნაირი სიკედილი
უნდა ურჩევნოდეს.

გაშ, თუ კი ხალხი უღროვთ
უომოთაც იხოცება; რათ უნდა
ვსწუყევლიდეთ ომს, რომელიც აღა-
მიანში ბევრ ჩინებულ გრძნობას,
ბევრ ძვირფას თვისებას ნერგავს
და ზღის, და რომელიც აღამიანის
ხასიათს აკეთილშობილებს, ამაღ-
ლებს დ ამშვენიერებს?

როგორო? შემომიტევს ალბათ კაც-
მოყვარე და გულჩვილი მკითხველი.

მრთი ფრანცუზული გაჩეთის
კორრესპონდენტი, რომელიც მიუდ-
გომლათ და სამართლიანათ სწერდა
მთელი ომის განმავალობაში, და
რომელსაც — მაშასადამე — სიტყვა აღ-
ვილათ დაეჯერება, სედანის ბრძო-
ლის აწერის დროს ამბობს, დილას
სოფელში რომ გავიარე, „პარიჟლე-
ბის მოძრავი გვარდია“ ენახე, რო-
მელიც საბრძოლველათ ემზადებო-
დათ. უკელას სახეზე მამაცობა და
თავ-გაწირულობა ეწერათ, თუმც-
ყველამ კი ოცოდა, რომ მათი უფ-

როსების უხეირობის გამო, იმ დღე-
საც გერმანიელებს უნდა გაემა-
რჯვათ...

— „აი აქ უნდა დავიხოცნეთ!“ თქვა
თურმე ერთმა, მწარე ლიმილით
რომელშიაც აშკარათ ჩნდა, რომ
მათი სიკუდილი თუ მამულს გამარ-
ჯვებას ვერ აღირსებს, მამულის
სახელს მაინც უწინდელ სიმაღ-
ლეზე დაიცავსო. ამ სიტყვებზე არა-
ვის არა დაუმატებია რაო, ამბობს
კორრესპონდენტი. და როცა, სამი
საათის შემდვომ, ხელ-ახლავ იმავ
სოფელში გავლა მომიხდაო, „მოძ-
რავი გვარდია“ და ჩემი მოსაუბრე
ახალგაზდა სწორეთ იმ აღვილზე
ეგდენ მკუდრათ, რომელზედაც დი-
ლას ახალგაზდა კაცმა მიათითა
სიტყვებით: „აი აქ უნდა დავიხოც-
ნეთო!“

იცოდე მკითხველო, რომ ქვეყა-
ნაზე არც ჭიუაა იშვიათი, არც გა-
მოცდილება, არც ჭეშმარიტებას

სიყარული, არც სამართლიანობა. არის ერთი გრძნობა და ერთი თვისება, რომელიც ყველა ამ საუნჯეზე უძვირფასესათ უნდა მიგვაჩნდეს, რადგანაც ის იმათზე ბევრათ უფრო იშვიათი და საჭიროა. მს გრძნობა უწინ ჩვენი ხალხის უმთავრეს თვისებას შეადგენდა. მხლა კი ის აღრავის ახსოვს, და მისი საჭიროება, როდი ვისმეს აგონდება...,

თავ-გაწირულობა, საკუთარი სიკეთის დავიწყება საზოგადო სახელისა და სარკებლობისთვის, ქონების, შრომის და სიცოცხლის შეწირვა ხალხის და მამულის. გულისთვის,— აი რაში მდგომარეობს უაღრესი თვისება აღამიანისა, აი რისგან შესდგება „გმირობა“.

სწორეთ ამ გვარი გმირობა მოჩანს ამ უბრალო, მარგალიტივით ძვირფას სიტყვებში: „აი, აქ უნდა დავიხოცნეთო“. ამგვარ გმირობას ბადავს ომი, რადგანაც ის აღამიანს

სიკუდილს აჩვევს. მოდი და ნუ და-
აუასებ ომს, რომელიც ამგვარ გრძ-
ნობას ნერგავს კაცის გულში! მო-
დი და ნუ მისცემ იმას უპირტე-
სობას მშვიდობიანობაზე, რომე-
ლიც კაცში ყოველნახრ კეთილშო-
ბილურ გრძნობას და მიღრეკილა-
ბას ნელ-ნელა. შეუშინევლათ ღუ-
პავს, და რომელიც აღამიანში მხო-
ლოთ საკუთარი პერანგისა და ჯი-
ბის, საკუთარი სახლისა და მუც-
ლის სარგებლობას ნერგავს და აძ-
ლიერებს!

დამიჯერე, ჩემო მკითხველო, ადა-
მიანის სიცოცხლე ათასჯერ უფ-
რო ნეტარი იქნებოდა, უგულლვიძ-
ლო და თავმოყვარე პირების მაგი-
ერ—რომელნიც სამშობლოს და
მთელ კაცობრიობასაც ჭამავიჩში
გაჰყიდიან.—რამდენიმე იმისთანი პი-
რი რომ გვყვანდეს, რომელთაც
გულწრფელათ და მართლათ შეეძ-

ლოსი ხოლმე თქმა: „აი აქ უნდა
დავიხოცნეთო!“

ხომ ბევრი კაცი გინახავს ისეთი,
რომ თავის შინაობაში, ოჯახში,
გაზღილ ტანსაცმელს იცვამდეს,
უჰაერო, ბნელ ოთახში იწვეს,
და უხეირო საჭმელით იკვებებო-
დეს, — გარეთ კი სტუმრათ,
მშეენიერათ ირთვებოდეს, ან შინ
სტუმარს ჩინებულ დარბაზში უცხო
სასმელ - საჭმელით უმასპინძლდებო-
დეს? იფიქრე, რა გაწვირიანებული
და ბინძური იქნებოდა ეხლა კაცო-
ბრიობა, ღმერთს, ჩვენდა სასარგებ-
ლოთ, სტუმრობა ან ერთმანერთის
მიბაძვა არ გაეჩინა? ყმ ორმა სისუ-
ლელემ სიწმინდე და თავის-პატრი
გვასწავლა.

სწორეთ ამ გვარივე საჭმეა ომი,
ხალხები ხანდისხან ერთმანერთს თავ-
პირს რომ არ ამტკრევდენ და მუ-
დამ თავპირის დასამტკრევლათ არ

ემზადებოდენ, არც ერთი სახელმწიფო არ შემოიღებდა სხვა ქვეყნებში გამოგონილ სახეირო წესებს. უოველი ქვეყნის განათლება იმით იწყება, რომ შივ სხვა ქვეყნების იარაღს, თოფ-ზარბაზნებს და სამხედრო გაწყობილებას იღებენ. შემდგომ მოდის ტანსაცმელი და ბოლოს წესი, სწავლა. მაში, რაღგანც აქამომდე სხვა საშვალება ვერ მოუგონია კაცობრიობას ერთი ქვეყნიდამ მეორეში სწავლისა და განათლების გადასარგველათ, ისევ ომი ვადლეგრძელოთ, რომელიც ქვეყანაში სეირიან წესს და პატიოსან გრძნობას ნერგავს...



მართული ხასიათი

რუსულ წარმოდგენი ში.

2 ოქტომბერს 1870.

აქაურ აქტიორებისთვის აღმათ
თავი მოუბეჭრებია ჩვენ ყმაწეილებს,
რომელნიც საყველ-პუროთ ნასწარელ
ერებს ნიდავ ხმარობენ ზა უცხო-
ქვეყნელებსავით იკაზმებიან. „თქვენ,
—უფიქრიათ აქტიორებს — თქვენ
ვგონიათ, ვითომ მარტო გარეგანი
სახისა და ტანსაცმლის გამოცვლით
უფლება გეძლევათ თქვენი თავი გა-
ნათლებულათ ჩაითვალოთ? ქარგი,
მაშ ვნახოთ, თუ ეს ცვლილება საკ-
მაოა, განათლების გადასაღლებლათ.
ვნახოთ თუ ლაზათიანი სანახავია რო-
მელიმე უცხო ხალხის გარეგანი სახის
გადაღება, მისი ზნეობითი ხასიათის შე-
უთვისებლათ. დიახ, ვნახოთ!“

მართლაც, ამ დალოცვილ თვი-
ლისის ქალაქში სხვა და სხვა ენა-
ზე მოლაპარაკე და ნაირ-ნაირი ხალ-
ხების მიმბაძველ პირს ბეჭრს შე-
ეყრები. რასაკვირეელია, ისინი მხო-
ლოთ გარეგან თვისებას ბაძვენ, და
არა ზნეობით ხასიათს. მოდი და
ნუ მოგაბეჭრებს თავს ამგვარი მაი-
მუნური მიმბაძაობა! მოდი და, რუ-
სულათ მორთული ქართველების
მაყურებელს ნუ მოუვა ქართულათ
მორთული რუსების დანახვის სურ-
ვილი!...

მოდი, კიდევ, და ამ სურვილს
ნუ მიყვები, როცა წინდაწინვე იცი,
რომ მისი ასრულება და თფილისის
სკენის, თფილისელი საზოგადოების
ერთბაშათ დანახვა—ერთია.

„არმოიდგენე, „ქალაქისგარეთე-
ლო“ მკითხველო, მშვენიერათ გა-
ჩალებული ვეება დარბაზი, რომე-
ლიც შდიდრულათ მორთული, და-

ლამაზებული, გულ-ყელ მოშიშე-
ლებული ქალებით და ვამოჭიმული
კაცებით საესეა. წარმოიდგინე, კი-
დევ, რომ ამ დარბაზში ყოფნა—
კვირაში ერთხელ მაინც—ჩვენ მა-
ღალ და შემძლე საზოგადოებას თა-
ვის მოვალეობათ მიაჩნია. წარმო-
იდგინე, ამის შემდეგაც, რომ ამ სა-
ზოგადოებას რყალები სცენაზე მო-
წიწებით მიჩერებული აქვს, ისე რომ
გამოუცდელ კაცს ეგონება, მცქერ-
ლები წარმოდგენას გულმოდგინეთ
ყურს უგდებენო. საბოლოოთ დაი-
მახსოვრე, რომ უმეტესი ნაწილი
უფრო თავის ტანსაცმლის და პირ-ი-
სახის გამოსაჩენათაა მოსული, ან
მოწადინებული. მაშინ თფილისის
თეატრზე ცოტაოდენა აზრის შედგე-
ნა შეგვეძლება.

როცა ეს ყოველიფერი თვალ-წინ
კარგა წათლად წარმოიდგინო, გულ-
ზე ხელი დაიდე, და გამოტეხით მით-
ხარი: რა გული გაუძლებს კაცს

იმისთანა წარმოდგენას მოაკლდეს, რომელშიაც რუსულათ მორთული ქართველობა ქართულათ მორთული რუსების თამაშს დაცემის?

გაუძლებდა სხვას გული რუ არა, როდი ვიცი. ის კი ვიცი, მე არ გამიძლო, როცა გამოცხადება წავიკითხე, შაფათს რუსული ტრუპის აქტიორები რუსულ ენაზე დრამას წარმოადგენენ, რომელიც უფ. ბეჭლემი შევს ქართველების ცხოვრებიდამ შეუდგენია. და რადგანც გულმა არ გამიძლო — მეტი ღონე რაღა მექნებოდა, — თეატრის ბილეთი უნდა მეყიდა.

ჭარდა რომ აიხადა, სცენაზე რაღაც იტალიური ციხის კედლები იყო დახატული. ქედლებს ქვეშ ჴა მოჩნდა, და ჴის გვერდით, მინდობრზე, ხალიჩიანი ტახტი იდგა. — ხომ ამ გვარათა გაწყობილი ჩვენ-

ნებული სახლების უმეტესი ნაწილი,
შეკითხველო?

ამ ნაირათ მოწყობილ სცენაზე
გამოდის ბლებოვის ქალი — მაიკო —
და პირველივე სიტყვით გეაცნობებს,
რომ იმას გამწარებულათ, გაგიე-
ბულათ უყვარს ვიღაც ახალგაზდა
ვაჭარი, ზიკო. იმ წამსვე სცენაზე
დარბაისული მიხვრა-მოხვრით, კოხ-
ტა, აფხაზური სიარულით ვამოდის
ჩესტიანათ მორთული უფ. ნადლე-
რი, რომელიც თავის მხრით გვიმოწ-
მებს, რომ იმასაც აღტაცებით უყ-
ვარს ბლებოვის ქალი — მაიკო, — და
ზედ ჯვარის დაწერის განძრახვაც აქვს.

მაშინ არნოლდის ცოლი — მაი-
კოს დედა — მოდის, და თავის მხრით
გვიცხადებს, ახალგაზდების დაქორ-
წილებაზე თანახმა ვარო.

ამის შემდეგ გიგო ბაზარში მი-
დის, ვითომ თავისი საკოლოსთვის

კაბის საყიდლათ, ნამდვილათ კი
იმისთვის, რომ ბურღინის ცოლს—
ბებერ მაჭანკალს—სცენაზე გამოს-
ელის და თავისუფლათ ლაპარაკის
ნება მიეცეს.

რასაკვირვეელია, ზიგოს გასულა
და მაჭანკლის შემოსელა—ერთია.

მაჭანკალი—ამას რაღა თქმა უნ-
და—მაშინევ „მიხევულ-მოხევულ“
ლაპარაკს იწყებს, მაგრამ ისე, რომ
სანამ სუფრაზე ოქროს ნივთებს და
ფულს არ ყრის. სანამ ვახტანგის
სახელს არ ახსენებს, მის საუბარში
ვერც ერთი მისი მსმენელი ვერას
იგებს. ოქროს ჩხრიალი მეტის-მე-
ტათ აკირვებს არნოლდის ცოლს
და ზლებოვის ქალს. საქართველო-
ში ოქროს ფული ვის უნახავსო,
ფიქრობენ ისინი. ვნახოთ, აბა, მო-
გავს ის ასიგნაციებს, თუ არაო.

ამ დროს ხელახლავ ზიგო შე-
მოდის, თითქო უნდა უთხრას მა-

ჭანკალს: „არ გეყო, ოხეროვ, ამდენ-
ხანს სცენაზე ყოფნა? გადი ეხლა, მეც
ლაპარაკი მაცალეო“ მაჭანკალი
წყევლა-კრულვით სცენას ტოვებს.

ცოტა ხნის შემდგომ უფ. ნადლე-
რი და არნოლდის ცოლი სცენიდამ
გადიან. შემოდის. მაშინ მაჭანკლის
გამოჭიგზავნელი, უფ. აგრამოვი, ანუ
„თავადი ვახტანგი“, რომელიც ახალ-
გაზდა ქალს თავის სიყვარულს უც-
ხადებს, და როცა იტყობს, ქალის
გული „დაკავებული“ ყოფილაო,
ემუქრება—რაც უნდა მოხდეს, შენ
მაინც „ჩემი“ იქნებიო. ამის შემ-
დეგ ფარდა იშვება და თან პირველი
მოქმედება თავდება.

მეორე მოქმედობაში ქართული
ქეითვია გამოხატული. ქეითვში თავა-
დი ვახტანგიც ურევია. ამხანაგები
და გამოგდებული მაჭანკალი ურჩე-
ვენ იმას, მაიკუ მოიტაცეო. — შემდ-
გომ ამისა მაიკოს მართლა იტაცებენ--

ქალის მოტაცება და ლობიოს ჭამა ხომ ერთნაირათ გახშირებულია ჩვენში. ჩვენწინ იმართება ვახტანგის სასახლე. შიგ მოტაცებული ქალი ბრძანდება. ვახტანგი ეუბნება შემიყვარეო. მალი კი ეველრება — გამიშვიო. ამ დროს მოისმის „ხმაურობა.“ პარი იღება და სცენაზე გამოდის ზიგო. სალდათებით. ზულ-მოსული ვახტანგი ამბობს, თუ ასეა და, ეს ქალი ჩემი საყვარელი იყოო. ზიგოს ამაზე გული მოსდის. მაიკოს დედა თავზედ ლეჩაქს ისწორებს, და თვითონ მაიკო ზიგოსკენ მიიწევს. „გადი იქით, გამეცალეო“ ეუნება ზიგო, და გარეთ გარბის.

უკანასკნელი მოქმედება წარმოგვიდგენს გაგიჟებულ მაიკოს და დატუსალებულ ვახტანგს. ზიგო ცოტათი ჭკუაში ჩავარდნილა. იქნება ვახტანგმა ჩემ საცოლოს ტყუილი მოუგონაო — ფიქრობს, — წავიდე ერთი,

ვკითხო, მართალი თქვა თუ არაო.—
 მერმე სცენა წარმოადგენს სამჯავ-
 როს, სეკრეტრით, „ადვოკატით“ და
 სალდათებით. ვახტანგი აცხადებს
 მართალი მითქვამსო. ზიგო დაუ-
 ბოლოებელი სიტყვით უმტკიცებს
 —სტყუვიო. შეიქნება აშაზე — სამ-
 ჯავროში — ბრძოლა. ვაჭარი ზიგო
 ხანჯალს იღებს და ვახტანგის მოკვ-
 ლას აპირებს. მაგრამ ვახტანგი ფიქ-
 რობს, რადგანც ზიგომ უნდა მომ-
 კლას, მე ხომ მაინც შკვდარი ვიქ-
 ნები, და იმას კი ციმბირში დაკარ-
 გვენ. ისევე ის არ ემჯობინება, ხან-
 ჯალი წავართვა და ჩემი თავი მო-
 ვიკლა, — მაშინ ციმბირში ალარავინ
 გაიგზავნება და ქორწილიც მოხ-
 დებაო? ამ ფიქრით ის ზიგოს ხან-
 ჯალს წაართმევს და თავს იკლავს.
 დაცემის დროს ხანჯალი იმას ხელს
 სჭრის. ამ ჭკვიანურ საჭციელ გა-
 გიჟებული ქალი ჭკუაზე მოჰყავს.
 ზიგო ჯვარის-დაწერას პირდება და

ვადევილათ გადაქცეული დრამმა საზოგადო ტაშის კვრით თავდება:

დიდი ოსტატი ყოფილა ამ დრამის დამწერი! ვითომ და რაო? აი, დავწერ — უფიქრია იმას — ჩსეთ დრამას, რომელსაც ქართული ხახელი ერქვას, და რომლის მოქმედ პირებს ქართული ტანისამოსი ეცვათ. მაგრამ იმ დრამაში ქართული ხალხის არც ერთი თვისება არ მექნება გადმოღებული. ამის მაგიერათ, ყველი მისი თვისება და ზნე უკულმა მექნება გამოხატულიო...

ალბათ ამ განზრახვით, „მაკოს“ დამწერს ზანტი, უგრძნობელი პირები გრძნობის ალით ავსებულათ გამოყავს. დიახ, მკითხველო, ჩვენებურ ახალგაზდას, — რომელსაც სიყვარული შეითვის საშოვნელ იარაღათ მიაჩნია, და რომელიც თავის გრძნობას ან სურვილს ნეკისფრჩხილ-

საც არ შესწირავს. — ამისთანა ახალ-გაზდას მეოქი, „მაიკოს“ დამწერი თავ-ვაწირულ და გამბედავ კაცათ ხატავს! საღ, როდის, საქართულოს რომელ კუნჭულში უნახავს უფ. ბეკ-ლემიშევს ისეთი ქართული ახალ-გაზდა რომელიც ფიქრობს: „ამა და ამ მიზნის მიღწევა მსურს, და ან ჩემ სურვილს ავასრულებ, ან თავი ცოცხალი რაღათ მინდაო!“ ხომ ვერსად ნახავდა ჩვენში უფ. ბეკლემიშევი ამ გვარ ყმაწვილს? მაშ, ჩემი აზრით იმას ამ გვარი ხასიათის გამოსახვით ეს სურდა გამო-ეთქვა: „აი ამ ჩემ გმირს თუმც სახელი კი ქართული ჰქვია და ტა-ნისამოსიც ქართული აცეია, გრძნო-ბა და გული კი ქართული როდი აქვსო. ვინ ქართველი, და ვინ მტკი-ცე სურვილის ან ძლიერი გრძნო-ბის მფლობელიო! მაშ თქვენც იცო-დეთ, რომ საქმე მარტო ტანსაც-მელში ან სახელში როდი არისო,“

ეს ხომ ერთი.

მეორეთ უფ. ბეკლემიშვერი ჩვენებურ „საქმის ბოლო მდიგაუტან ლობას“ აი რა რიგათ დასცინის. ის ჯერ ნამდვილათ ხატავს ჩვენი საზოგადოების ზნეს— რომ ჩვენ ჩვენი აზრით ან ჭკუით ვერაფერს ვერც ვიწყებთ, ვერც ვაკეთებთ. ჩვენ უსათუოთ სხვა ვინმემ უნდა გვიჩვენოს გზა, სხვამ უნდა გაგვაძედინოს საქმის დაწყება. ვახტანგსაც ქალის მოტაცების აზრს მისი ამხანაგი და ბებრუხა. მაჭანკალი აძლევს. ვახტანგი თანახმა ხდება და ქალს კიდევაც იტაცებს. მაგრამ, როცა ვახტანგ სალდათები ესე ვიან და დაჭერას უპირებენ — აქ ჩვენებური სახითი უფ. ბეკლემიშვეს დაცინვით აქვს გამოხატული. ჩვენში, ჩვეულებრივ, ამ გვარ მდგომარეობაში, ამხანაკები მაშინვე დაითანტებიან, და უველა ერთი-მეორეს წინწასწრებით ერთმანერთს.

დანაშაულობაში ბრალს ადებს, ისე რომ ბეჭლიობას ბოლო აღარც კი აქვს. დრამაში კი გამოხატულია, ვითომც ლევანი (ვახტანგის ამხანაგი) არა თუ ვახტანგს არ ორგულობს, პირდაპირ მის გასაფრთხილებლათ მირბის, როცა იგებს, ვახტანგის დაჭრას აპირებენო. — და როცა სალდათები მოდიან, ვახტანგი დამტუსალებელს იმას კი არ ეუბნება, შენი მუხლის ჭირიმე, დანაშაული არა ვარ, ლევანმა და მართამ გამაბრიყვესო, არა, ის პირდაპირ ამბობს: „დიახ ეს ჩემი საქმეა, დიახ ეს მე ვქენი, და დასჯის მისალებათ მზათა ვარ, დასჯის როდი მეშინია.“

ზრდილი დაცინება ამაზე მწარე-
და სასტიკი იქნება?!

მი იქნება, ჩემო მკითხველო! თუ
არ გჯერა, ცოტა კიდევ დამიგდე
ყური.

ქვეყანაშე არც ერთ ხალხს სი-
ცოცხლე ისეთი გაგიჟებით არ უყ-
ვარს, როგორც ჩვენ ხალხს. ამ სიყ-
ვარულში ჩვენ ცოტაოდენათ აღ-
მოსავლეთის ხალხები შეგვეღრე-
ბიან: მაგრამ ჩვენსაეით ძლიერ და
უსამზღვროთ არც იმათ უყვართ ეს
„წყეული წუთის-სოფელი.“ უფ. ბეკ-
ლემიშველის ეს ჩვენი თვისებაც შეუ-
ნიშნავს. იმას ალბათ ხშირათ შე-
ხვდენია ისეთი პირები, რომელნიც
სიცოცხლის გულისთვის ზნება და
ლირსებას კი არა, ცოლსა და შვილს,
მამულს, კაცობრიობას გაყიდენ. და
ამ გვარი უსუსურობის დასაცინებ-
ლათ ის ჩვენ ვახტანგს, დრამის ბო-
ლოში, თავის ხელით თავს აკვლე-
ვინებს!... ჩვენებური, ჩვენი დრო-
ების ახალგაზდა კაცი თავს-იყლავს
და სიკვდილის წინ არ შინდება! ვის
უნახავს, ვის გაუგონია ჩვენში აშის-
თანა მაგალითი? ზაგვიგონია ჩვენც,
რომ შარშან ერთმა ახალგაზდა

ქალმა თავი მოიწამლაო. — მეორემ, არ მახსოვს როდის, თავი დაიხრჩო. მაგრამ კაცის ამ გვარი ამბავი გაგიგონიათ? აი ამ გადაჭარბებულ სიცოცხლის მოყვარეობის გასაკიცხავათ, უფ. ბეკლემიშევს ვახტანგისთვის აუხსნია, რომ სიკვდილი ერთი წუთის საქმეა, და ისეთი საშიშო როდია, რომ მის გულისთვის კაცი პატიოსნებაზე ან ლირსებაზე ხელს იღებდეს...

აი, რა ნაირათ გამოუხატავს უფ. ბეკლემიშევს ჩვენებური მიმბაძავი საზოგადოება, ჩვენი დაცემული დროება! აი, რა მწარე დაცინვით, რა ოსტატური ირონიით დაანახა იმან ჩვენ საზოგადოებას მისი შინაგანი ხასიათი, თუმც მისი გარეგანი სახე კი ნამდვილათ და პირდაპირ ჰქონდა გადმოხატული! ჩვენ აქ შარტო ორიოდე თვისება მოვიხსენეთ. მაგრამ დრამაში ძლიერ ბევრი უხეი-

რო თვისება და ჩვეულებაა ამ გვა-
რათვე უკულმართათ აწერილი. — უფ-
ბეჭლემიშევმა ამ ღრამით, ჩვენი აზ-
რით, სასტიკი, მაგრამ სასარგებლო
დარიგება წაგვიკითხა. მაშასაღამე
ჩვენმა საზოგადოებამ დიდი მაღლო-
ბა უნდა შესწიროს უფ. ბეჭლემი-
შევს, და თუილისის თიატრის აკტი-
ორებს რომელნიც ამ გვარი წარმო-
ვდენით ჩვენი ზნის გასწორებას და
ხასიათის ვაუმჯობესობას ცდილო-
ბენ.

ჩემ მკითხველს

23 აქცომბრის 1870

ამ უკანასკნელ დრომდი ჩემი
თავი ბედნიერ კაცათ მიმაჩდა. ვიჯე-
ქი ჩემთვის „დროების“ პაწაწინა
კუნჭულში, საიდამაც მთელ ქვეყა-
ნას უდარდელათ დავცემერდი და
ხანდისხან — თვეში ერთხელ, ორჯერ,
— ჩემ უდარდელობას ფელტონათ
გამოვთქვამდი. მართალია, ქვეყანა-
ყურადღებას როდი მაქცევდა. იმან
მგონი, არც კი იცოდა, თუ „დრო-
ების“ დაბლა ეტაჟაში ვიღცა ფელ-
ტონისტი რალაცა ფელტონებს „სჯლა-
ბნიდა“. მაგრამ ეს გარმოება ნამეტ-
ნათ არც კი მაწუხებდა.

— ქვეყანა ბრძა და უგნურია,
ამბობს ლეინე, ეფიქრობდი: — ის შე-

ურაცყოფთ დაცქერის ფელტონისტის შრომას და მდგომარეობას. იმას ფელტონი „მასხრობათ“ მიაჩნია, და მისი დამწერი — ჯამბაზის მოლაყბეთ. მიუტევოთ ამ საბრალო ქვეყანას, რადგანც იმან არც კი უწყის, რას ფიქრობს!

მართლაც, წრევანდელი შემთხვევები თითქო განვებ ჩემი ნუგეშის საცემლათ და ფელტონისტების ასამალლებლათ ხდებოდენ. ჯერ ერთი ფელტონისტი — როშფორი — კანონ-მდებელი კრების წევრათ ამოარჩიეს. მისმა მდგომარეობამ და ყოფა-ქცევამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია. მერმე ისვე როშფორი მმართლებობის წევრათ შეიქნა და ღენერალ ტროშუს მინისტრების რჩევაში გვერდით ამოუჯდა, როგორც მეორე ფელტონისტი — არავო, ან უხეირო ვოდვითების-მწერავი — შულ-ფავრი და

ზღვა-ბიზუანი. მოდი და ნუ აგააშა
ყებს ამ ნაირი მაგალითი!

მართალია, ერთი მხრით, რომ ეს
შემთხვევა უცხოეთში მოხდა, მარ-
თალია, მეორე მხრით, რომ ფელ-
ტონისტები ყოველთვის კი ვერ ხდე-
ბიან „დროებითი შმართებლობის“
წევრებათ. იგივე როშტორი — მაგა-
ლითათ — ბარე შეიძი თვე იჯდა ვი-
რების აბანოში (როგორც ჩვენში ამ-
ბობენ), სანამ მის წინ სამინისტრო
რჩევის კარი გაილო...

მაგრამ — თავს ვაიმედებდი, — ჩვენ-
შიაც მომხდარა ხოლმე ფელტო-
ნისტების ამაღლების მაგალითები.
ერთი ვოდვილის მწერავი პრისტავის
ადგილს ელირსა, და მეორე — გვარი-
ანი ხანი კვარტლის თანა შემწე იყო.
და რაკი ზოგიერთ სხვა უხეირო ფელ-
ტონისტებს „ოხუნჯობაშ“ ქვეყანა-
ში წინ წასწევა არ დაუშალა, აშალ-

ლების იმედი შეც რატომ არ უნდა
ვიქონიო?

ამ იმედს — როგორც წელან ვთქ-
ვი — წმინდა-ნეტარებაში ვყავდი. მაგ-
რამ ტყუილათ კი არ ყოფილა ნათ-
ქვამი, ნეტარება ერთი წუთის საქმეა
და დიღხანს ვერ გაძლებსო! სწო-
რეთ იმ დროს, როცა ჩემი თავი
ბეჭნიერ კაცათ მიმაჩდა, და მარტო
იმაზე ვწუხდი, ქვეყანა ყურადღებას
არ მაქცევს მეთქი, — ჩემდა საუბედუ-
როი, თურმე, ჩემ ფელტონებზე,
თუ მთელ ქვეყანას არა, ზოგიერთ
ჩეენებურ მკითხველებს მაინც ყუ-
რადღება მიუქცევიათ.

ისიც კი უნდა ვთქვა: ვაი იმისთა-
ნა მიქცევას!

დიახ, ვაი იმისთანა ყურადღების
მიქცევას, თუ კი ყოველი მხრიდამ
ნიაღავ გესმის: — „ღმერთო, ეს რანა-
ირი ეჩაა“ — „ამ გვარი წერა აბა

ვის გაუგონია?“ — „ვანა უწინ ფელტონისტები არ გვყოლია? დახედეთ მათ ნამდვილ ქართულ ენას! ფელტონი იმ ენით უნდა იწერებოდეს, როგორითაც მოლაყბე, თვეხედი და „საქართველოს მოამბის“ მწერლები სწერდენ!“

ამ ნაირი გაკიცხვა მოისმის ყველა შხრიდამ, სხვა და სხვა კილოზე, სხვა და სხვა დამატებით, მაგრამ ერთი და იმავე აზრით: “ამ ფელტონების კითხვა როდი ღირს, ამიტომ რომ იმათ ენა არ უვარგათ, ისინი ნამდვილი ქართული ენით დაწერილი არ არიან!“

პი, ამ გარმეობაზე უნდა შემოგჩივლო, ჩემო კეთილო მკითხველო, და ორიოდე სიტყვა უნდა გითხრა ისეთი, რომ ჩემი საჩივარი, იქნება, სჯათაც გადიჭუეს.

ჯერ ერთი გარემოება უნდა მო-
გავონო, რომელიც, ალბათ, ხშირათ
შენიშნული გექნება. ვაჭარ კაცს ან
სოფლაგარს ჯიბე რომ გაუთხელდე-
ბა, ის უფრო და უფრო ძვირფასი
ტანისამოსის ან გაწყობილების ჩაც-
მას იწყებს, და თავის სახლს უწინ-
დელზე უფრო მდიდრულათ აწყობს;
გამოცდილი ვაჭრები ამ გვარათ
მორთულ მოძმეს რომ დაინახენ,
მაშინვე იტყვიან — „ეჲ, ეს კოტრობის
ნიშანია!“

ცოტათი რომ მიიხედ-მოიხედო,
მალე გაიხსენებ, რომ თავის დღეში
ლაზათიანი და ნამდვილათ მშვენი-
ერი ქალი პირზე ფურ-უმარილს
არ მიიკარებს, არც მართლათ მდიდა-
რი კაცი—ოქროთ და ვერცხლით
თავის ტანსაცმელს არ ააჭრელებს.
იმათვეის ნამდვილი სიმდიდრე ან
ჭეშმარიტი ლაზათი საკმაოა.—ამ
ნაირ მაგალითებს თუ გაიხსენებ,
მალე მიხედები, რომ საზოგადოთ

გარეგან სიმშვენიერებე, ლაშათზე ან გაწყობილებაზე უფრო ის პირები ცდილობენ, რომელთაც ნამდვილი ლაშათი ან ნამდვილი ძალა აკლიათ. აქედამ იმ საზოგადა კანონს გამოიყვან, რომ კაცის თვალში გარეგანი შნოს წადილი შინაგანი ღირსების მოკლების დაგვარათ მატულობს.

ეს მარტო ტანსაცმელზე ან ფერუმარილზე კი არ არის ნათევამი, — ეს ისეთი საზოგადო კანონია, რომელიც ყოველ ნაირ ასპარეზს შეეხება. მწერლობაში, მავალითათ, აღამიანს რომ აზრები შემოელევა ან ცხოვრების დაკვირვება, მისი ხასიათის გაგება გაუძნელდება. ის მაშინვე ჟერლი აზრის „ლამაზათ“ გადასხვაფერებას იწყებს, და მის ნაწერში გაგლესილი, დაბერებული ჭეშმარიტება ლაშათიანათ მორთული უიკბლო ბებრუსავით გამოდის. —

ადამის-წლის აზრებში ან ცხოვრებაში გაჩვეულ კაცს, რასაკვირველია, ყოველი ახალი აზრის გარკვევა და გაცნობა უჭირდება. მის თვალში ყოველიფერი რაც კი გარეგანი სახით უწინდელ, ნაცნობს საგნებს არა გავს, — კარგი იყოს გინდ ცუდი, — უშნო და ულაზათოა.

სწორეთ ამ რიგათ სჯიან დაბერებული „ტურფები“ ახალგაზღა მშვენიერი ქალის გაწყობილებას ან ტანსაცმელს. თითქო ახალგაზღა ქალის გავლენა კაცის გულზე და ბედზე ტანისამოსის ლაზათზე იყოს დამყარებრლი...

ასე ყოფილა ყოველგან, და ასე იქნება ყოველთვის, რომ წრეზე გადასულ თაობას, როგორც წრეზე გადასულ კაცს, თვალის ძალა აკლდება. მამინ მისი გამჭრიახობა გარეგან კანზე, გარეგან შნოზე ჩერდება. ის მაშინ ახალი თაობის ყოფა-ქცე-

ეის ან აზრს მხოლოდ ვარეგანი შნოს დაწუნებით თავიდამ იგერებს, იძულებს.— მს ბუნების კანონია, რომელსაც ჩემისთანა და შენისთანა კაცები ვერ შეცვლიან, ჩემო მკითხველო.

მს ისეთი კანონია, რომ ყველა ქვეყნის მწერლობაში ყოველ ახალ მწერალს, ყოველ ახალ მიმართულებას ყველაზე უწინ „ენის“ და „გარეგანი ფორმის“ დაწუნება შეგებებია. მხლა რასაკვირველია, კაცი გალაიხარხარებს, როცა შეიტყობს, მაგალითათ, რომ საფრანგეთში ვოლტერს, დიდროს, რუსოს, ბერანეეს, ლამარტინს, ვიქტორ-ჰიუგოს, ჟორჟ-სანდს, ლუი-ბლანს და სხვა გამოჩენილ მწერლებს,— იმ მწერლებს, რომელთაც დედა-ენა გაუმშევნიერებიათ,— უტვინო წინააღმდეგები ენის უცოდინარობას და წახლენას აბრალებდნენ. ვისაც გერმანიელ მწერლობაზე გაუგონია

რამ, ან წაუკითხვას, იმას ეცოდინება, რომ ამ ნაირივე ბრალს გერმანიაში ლესინგს, ზოტეს, შალერს და ლეინეს ადებდენ. რუსეთში, ხომ ლომონოვიდამ დაწყებული ანტონოვიჩამდი, ყოველ ახალი მიმართულების შემომლება მწერალს ენის წახდენა დაბრალებია. ვინ არ იცის, მაგალითათ, რომ პუშკინს — იმ პუშკინს, რომელსაც დღეს რუსები რუსული ენის და მწერლობის ამაღლებას და გამშვენიერებას უმაღლიან — პუშკინს რუსული ენის უცოდინარობას აბრალებდენ, აგრეთვე როგორც ლერმონტოვს, ბელინსკის, ზოგოლს და სხვ.? ვინ აბრალებდა? შიშკოვი, აქსაკოვი(სერგეი) ბრეჩი, ბულგარინი, სენკოვსკი. ვინ იყვენ ეს პირები? განათლების და წარმატების მტერები, რეგვენობის, უსამართლობის მომხრენი...

ჩვენში? — მართალია, ეს იმას

ემსგავსება, რკუმ ფეხი რომ გამო-
ყო და ნახირში გარევა მოინდომა,
მაგრამ ჩვენი თავიც მოვიხსენოთ —
ჩვენში ვის არ ახსოვს, რა ნაირათ
მიიღეს 1861 თ. ილია ჭავჭავაძის
პირველი ნაწერი? რა კიფინა შექ-
მნეს ჩვენმა მწერლებმა ჭავჭავაძის
„ენაზე“ და ენის უცოდინარობაზე!“
რამდენი „შეცოთომა“ უპოვეს იმის
ენას! რამდენი ბრალი დააღვეს მის
ლექსს!.. ვის არ ახსოვს, რა მხურ-
ვალე ცრემლები დალგარა მაშინ
„ცისკრის“ დაცარიელებულ მინდ-
ვრებში ზემოურმა იმერელმა გორი-
სელმა ჭერეთელმა მქვთიმემ, ქარ-
თული ენის „წაბილწვაზე.“
და ეხლა ვისთვის არაა ცხადი — ისე,
როგორც დღე ლამეზე უფრო ნათე-
ლია, — რომ ილია ჭავჭავაძემ ქარ-
თულ ენას კი არა დაკლო რა,
ბევრიც შესძინა?

ერთი სიტყვით, ყოველთვის და

ყოველგან ენის წახდენაზე, გაუპატიურებაზე ვიხარომათი და კიფინა წრებე გადასულ თაობას დაუწყია.— პაი ბიჭის ვეტყვი იმას, ვინც რომელიმე ქვეყნის მწერლობაში ერთ, მარტო ერთ კაკალ მწერალს დამისახელებს, ახალი მიმართულებისას, რომელსაც ენის შნოსთვის და სრლაზათისთვის ბრძოლა ან ყაყანი აეტეხოს. ამ ნაირ მწერლებს; ყოველთვის და ყოველგან სხვა, უფრო სასარგებლორ და საჭირო საჭმე ჰქონიათ:— თავიანთი საზოგადოების აზრისა და მდგომარეობის გაუმჯობესობა...

ასე ჩემო მკითხველო, და ყველამ სწეროს, როგორც ჭიუა და ენა უჭრიდეს. და იმერელმა იმერული სიტყვები იხმაროს, და კახელმა— კახური სიტყვების - წყობილობა. შენ მათ ნაწერში ეცადე აზრი გაარკვიო, და— თუ აზრი შენი საზო-

გადოების ან მამულის სასარგებლოთ იცნო — ეცადე მისი შეთვისება და გავრცელება, ეცადე მისი „ვანხორციელება.“ დამიჯერე, იმ იმერელს, რომელიც „ახლას“, მაგიერ „ეხლას“ ამბობს, იქნება ისეთივე ნამდეილი ქართული გული უცემდეს, როგორც „ნამდეილ ქართულ“ ენაზე მოლაპარაკე ქართლელს. დამიჯერე, კიდევ, თუ ჩემ ან „დროების“ ნაწერში იმერული სიტყვები და სიტყვის-წყობილობა გახშირებულია, ამ სიტყვებიდამ — შემდგომისთვის — მხოლოთ ის დარჩება ქართულ ენას, რაც მისთვის გამოსადეგი და საჭირო ყოფილა. შაველი ენა — მდინარე წყალის არ იყოს — მხოლოთ იშას ითვისებს, რაც მისთვის საჭიროა. დანარჩენი კი ყოველიფერი ძირისკენ მიდის და კაცის თვალიდამ სამუღამოთ სილის ქვეშ იფლება,

ეს ყოველიფერი სახეში უნდა გქონდეს, ჩემო მკითხველო. სანამ ჩვენ ენაზე ან ნაწერზე სჯას დაიწყებდე. მაშინ შენი უურადღება ნაწერის აზრზე მიიქცევა. და თუ ორი მომზადებელი ქნა, და აზრი კარგი, ან ეს უკავშირის სახეირო გამოდგა, ენის და სიტყვის სიმშვენიერეს, შენი ჭირი წაულია. დაე, მაშინ, ამ საგანზე ჭირ-წალებულებმა იდავონ. მინც ლაპარაკობს მარტო მისთვის, რომ ენა ექავება, ისჯ რასაკვირველია, ცდილობს „ჩესტიანათ“ გააწყოს და გამოთქვას თავის. სიტყვები, რომ ენის ფხანვა მისთვის სასიამოვნოთ დარჩეს.

ის, რასაკვირველია, თავის დღეში ვერ გაიგებს, რომ სხვები სიტყვებს მარტო ენის მოსაფხანველათ კი არ ხმარობენ.

ნიკო ბინაშვილის ხიცვდილჭე

14 ნოემბერს 1870

იულიუს-პეისარი რომის ხალხს
იმავე ბედს რომ უმზადებდა, რო-
გორიც ნაპოლეონმა ეხლა საფრან-
გეთს მიაყენა, იმას ერთი საოცარი
აზრი დღე და ღამ მოსვენებას არ
აძლევდა. როცა თითქმის მთელი
ქვეყანა მის ხელში იყო, და მის
მცირედ სიტყვას ან სურვილს კა-
ნონათ სთვლიდა, თვითონ ამ ყოვ-
ლის შემძლებელ იმპერატორს, ამ
„ღმერთების ძეს“ — რომლის სახელი
მთელ ქვეყანას აკან კალებდა — ერთი
გამხდარი, მჭლე კაცის ეშინოდა!

— „მე მსურს, ეუბნებოდა ის თა
ვის ძმისწულს, ან ტონიოსა, მე მსურს
ჩემ გარშემო მომსხო კაცები მყავ-

დეს, იმისთანა, რომ ღამე კარგა
მაგრა ეძინოთ. ქასსიუს მჭლე, ღამ-
შეული სახე აქვს. ის ნამეტ-
ნათ ფიქრობს. მაგისთანა კაცი
საშიშარია...“

და როცა ანტონიო პასუხათ ეუბ-
ნებოდა, ქასსიუსი პატიოსანი და ქვე-
ლის-მოქმედი რომაელიაო. ქეისა-
რი ხელ ახლავ თავს მწუხარეთ აქ
ნევდა:

— „ქასსიუსი კარგი იქნებოდა უფ-
რო მომსხო რომ იყოსო... მხლა
კი მაგაზეც უფრო საშიშარ კაცია არ
ჰიცნობ! მაგ ბევრს კითხულობს,
დამკვირებელია და კაცის აზრს
პირდაპირ ხედავს. მაგ არ მიზდევს
სიამოვნებას, ყურს არ უგდებს მუ-
ზიკას, იშეიათათ იცინის, მერე იმ
სახით, თითქო თავის თავს დასკი-
ნოდეს, რათ გავილიმეო... მაგის-
თანა კაცის გული კმაყოფილი რო-
დი აქვს... ამის გამო ის მეტოს მე-
ტაფ საშიშარია .

მოლი და ნუ დაფიქრდები იმს-
თანა კაცზე, რომლის მოქმედებას,
გზასა და კვალს ვერ უპოვნი, და
რომელიც ახირებულათ ცხოვრობს,
ახირებულათ იქცევა, ახირებულათ
კვდება.

მართლაც, ახირება ამაზე მეტი
იქნება? გამოდის ახალგაზღა კა-
ცი, ყოველ ნაირი ნიჭით და ლიჩ-
სებით შემკული. მის წინ სუფრათ
ვაფენილია ცხოვრება. მას ელის
სიამოვნება, საზოგადოების პატივი,
დიდება. იმას ნატერის, სურვილის
მეტი არა სჭირია. „ნეტარების“ მო-
საპოებლათ.— მის გვერდით მაღლ-
დებიან და ტკბილათ ცხოვრობენ
უნიჭო, უტეინო, ზანტი, მოუხერ-
ხებელი პირები. მს ხედავს, რომ
სხვაზე უფრო ადვილათ, უფრო
ლიჩსებულათ შეუძლია ცხოუ' ებაში
ხეირიანი ადვილის დაჭერა, ოლონდ კი
მოინდომოს ან ხელი გაანძრიოს...

მაგრამ, თავის დაუფასებელ ნიჭი
და შრომას ის სულ სხვა საჭ-
მეს ალევს. „— ის ნამეტნათ ფიქრობს,
ბევრს კითხულობს, კაცის აზრს
პირდაპირ ხედავს. „— რისთვის? ვის-
თვის? ვინ იცის. მაგრამ იმას კი
ყველა ხედავს, რომ მინამ „სხვი-
ლები“ „კარგა მაგრა“ ხერინავენ
ან სუქდებაან, ეს ახირებული კაცი
თან და თან უფრო მჭლევდება.

ახირება ამაზე მეტი იქნება? —
მინემ „სხვილები“ დამშეული პირით
ცხოვრებას ეწატებიან, თავის სი-
კუთარ სარგებლობას თავის თავს
ღმერთად იხდიან, და ამ ღმერთს
მახლობლებსაც დაუკვლენ და სამ-
შობლოსაც, — ეს ახირებული კაცი
ხალხში ან საზოგადოების სიკეთეზე
ფიქრდება. ზურნაეს და ლვაწლობს!
ის თავის ნიჭი და შრომას იმავე სა-
ზოგადოების ბედს ანდომებს, რო-
მელიც იმას — სამაგიერათ — და-

კინგით, შეურაცყოფით, გიეობის
ან ბოროტების შეწამებით აჯილ-
დოვებს!...

და რაკი ის ერთხელ ამ ახირე-
ბულ გზას აღვება, მას ხელის-გამ-
წყობის, ლამხმარებელის, თანგრძნო-
ბელის იმედი აღარ უნდა ჰქონ-
დეს. — „სხვილების“ გზა თავდა-ჰირ-
ველიდამ გაპირდაპირებული და
გატკეპნილია. იმათ ვააღვილებული
აქვთ იმ ერთი ნამცეცა სწავლის
შეძენა, რომელიც მათ საზოგადო-
ების წინ თავ-მოსაწონებლათ სჭი-
რიათ. დროზე თხოვნით, დროზე
გაღიმებით, დროზე თავის-დამ-
დაბლებით, დროზე დაბეჭდებით,
ისინი დამხმარეს, „მფარველს“
ადვილათ და ბლომათ პო-
ულობენ, იმათ თვითონ საზოგა-
დოებაც უფრო გულ-მხურეალეთ
უსსნის და უმშრალებს დიდების
გზაზ, რომელზედაც ქეიფიანათ,

უდარდელათ წაგოგიალდება მათი
ცხოვრბა...

სულ სხვა ნაირია ახირებული
„მჭერე“ კაცის ბედი. შოველი ცნო-
ბა, ყოველი საშუალება იმან ბრძო-
ლით უნდა მოიპოვოს, ისე რომ
მთელი მისი სიცოცხლე გაჭირვე-
ბულ შრომათ, დაუბოლოვებელ
ბრძოლათ იქცევა. და ამ ბრძოლა-
ში—როცა იმას მიზნათ ყველას სი-
კეთე აქვს—ყველა მის მოწინააღმდე-
გეთ ხდება... მაგრამ მის ახირებულ
ხასიათს არც ეს გარემოება ასწო-
რებს, და მისი სიმჭლევე თან-და-თან
მატულობს.

ბოლოს, ეს ახირებული კაცი
კვდება, ახალგაზდა, უპატრონო,
გაუგებარი. და სიკვდილის დროს,
ნუვეშის მცემლათ, იმას მხოლოთ ეს
ახრი ჩერდა:

„Малый другъ, я умираю,
Отъ того, что быхъ я честенъ;

Но за то родному краю
Върио буду и извѣстенъ“

— Магнам, абыржедүлл қарыс Қоғозло-
ллоу үзін асфомжеде: Сиңаңұллоіс
Магнегін, ол :о қас әүбнеде та-
зіліс мәдәндәрі:

,,Милый другъ, и умираю,
Но спокоенъ и душою,
И тебя благославлю—
Шестнай тою же стезею“.

Магнам олің үңбда үткізаң,
Қонд ам дағырмазға үшін омаң ғарнда
Дегінде қызынаң қарыбоп ғарнде.
Зің үң қарындықтадың оларғанда аүзін-
де, ол мұртқынде жаңғыштарға дүллік,
Қонд қалкенің өлеңнегінде да-
лалас мемлекет амбетаңа абыржедүллі
қарыбоп өмірдеген. Матот Өзініт,
Матот ғұрметтадың оңаңа үзің таңыс да
қарында, мәтінде қалкен.— „Марынды-
қадас амбетаңа абыржедүллі қарыбоп

რომ არ ყავდეს, ამბობენ ზოგიერთები, მის ცხოვრებაში არც ერთი გაუმჯობესობა არ მოხდებოდა; ის დახავსიანდებოდა, დალპებოდა.“ ასე გაშინჯეთ, ცხოვრების ბინძურობაში და თავის-თავზე ზრუნვაში ყელამდი ჩაფლულებიც კი იღვიძებენ ხანდისხან, და მაშინ აი რას ამბობს მათი დაძინებული სინიღისი:

Погрузился я въ тину лечистую
Мелкихъ цомысловъ, мелкихъ страстей...
Отъ ликующихъ, праздно болтающихъ,
Обагряющихъ руки въ крови,
Уведи меня въ станъ погибающихъ
За великое дѣло...

ორი ამისთანა ახირებული კაცი ჩვენც გველირსა. რასაკვირველია ისინი ჩვენ მალე გავისტუმრეთ სიკიოსა, და ამ მოკლე ხანში დავასაფლავეთ, შარშან მარიამობსთვეში მოკვდა პეტერბურგს ბეჭან-ხამაშურია-დე, რომლის გულში არც ერთხელ არ გაუკლია არც ერთ მდაბალ

გრძნობას... მისი ახალგაზღობა—
რომლითაც ჩვენ ხალხს როდესმე
თავის მუწონება შეეძლებოდა—
სილარიბესთან ბრძოლაში გაჰქია. და
მის ნახევრამდი წყლით აესებულ
საფლავში ჭამბედავი, ნიჭიერი და
საზოგადოებისთვის თავ-გადადებუ-
ლი გული დაიმარხა...

მეორე—ნიკო. ინაშვილი —
დღეისწორს (6 ნოემბერს) მოკვედა
თვილისში, სადაც ის ამ ზაფხულს
პეტერბურგიდამ საეჭიმოთ ჩამოვიდა.
ეს ახალგაზღა, აქაურ სემინარიაში
სწავლის დასრულების შემდეგ, პიე-
ვის. უნივერსიტეტში შევიდა, საიდ-
განც შარშან პეტერბურგს გადავი-
და.— მისი თანამშრომლობა „მნა-
თობში“ კარგათ უნდა ახსოვდეს
ჩვენ მკითხველს, აგრეთვე როგორც
ზოგიერთი მისი სტატიები „ღროე-
ბაში“ (სხვათა შორის „ზნეობითი
და ესტეტიკური გახსნა“). მაგრამ

მკითხველმა არ იცის, რა მხურვალე გულით სურდა ინაშეიღს ჩვენი საზოგადოების სიკეთე, ან რა ნაირ გაჭირებაში ემზადებოდა ის-ხამაშურიდესავით-საზოგადოებისთვის სარგებლობის მოსატანათ... სამწუხაროთ, ამ მზადებასაც ისე უდროოთ მოელო ბოლო, როგორც ხამაშურობის შრომას: ორივეს ერთნაირი ჭრა ქი მოერია.

აჩ შემიძლია უმჯობესათ გამოვ-
ხატო მისი გრძნობის და გულის პა-
ტიოსნება, მისი მაღალი მიზანი. რო-
გორც მისიე სიტყვების დაბეჭდვით,
რომელსაც ის ამ წლის მაისში მწერ-
ლა პეტერბურგიდამ;

”ეგები (ზოგიერთი ჩვენთ უძრავი-
ლები) არიან ბრძა წინამდებრები. უფ-
ლური ხალხისა. რა ძალა აქვს მაგათ
სიტყვას? რამდენათ ღრმა არის მაგა-
თი აზრი? რამდენათ შორს და პირის-

პირთ გასჭრის საზოგადო საგნების
შინაარს მაგათი ასაღიზი, მაგათი კრი-
ტიკა? რამდენათ ცხოველი და წევოფი-
ერია მაგათი მოქმედება? რა საზოგადო
იდეალი აქვთ მაგათი დახატული თავში?
რა პროგრამა აქვთ მოქმედებისა, რა
მიზანი?...

შეს თითოებ მითსარი, მეტყვის თუ
არა მგენი ამზე პასუხის. სეირიანათ
მაგ საქმეზე არც კრთი იმათვანი არ
მომჟადებულია, სიჭითაც ძალის არ
არის დაჯილდოვებული. აი ვის არის
წარმომადგენლები ჩვენი სიხალისა აზ-
რისა, აი ვის მა გამოისტება ჩვენი გო-
ნიერითი მოძრავია! მდგომარეობა მე-
ტით სამწუხარო და საგრძნობელია. პა-
ტიოსებ და მოზრე კაცს ვალი აქვს
მიაქციოს ამზე ყურადღება, ვალი აქვს
გვიჩვენოს ჩვენ ახალი გზა და ახა-
ლი სათელი შეიტანოს ჩვენ ისედ ცხო-
ვებიაში. რატომ არ უხდეს დათოხდეს
კაცი, როცა ჭირდევს, რომ კაცი დიდი
ენერგიის და სიჭის პატრონი უმარმე-

დო და უზროვ ცხოვრებს მიცემია? გერძერ პირი არაიყრია, გერძერ პირი დამოკიდებულია საზოგადო გარემოებაზე,—ამბობენ. ეს მართალია. მაგრამ მაინც და მაინც გერძერ პირსაც ბევრი რამ შეუძლიას. გერძერ პირსაც ემართება ბრძოლა უსამართლობასთან და უმეცრებასთან, თუსდაც ამ ბრძოლაში დაიღუპოს. მაშესადამე, კიმოქმდოთ...“

შოველთვის, როცა ამ ნაირი ახალგაზლების ბედს ვაკვირდები, მე—ისინი კი არა—ჩვენი საზოგადოება მებრალება, რომელიც გაუგებლათ უმჯობეს თავის სიმდიდრეს კარგავს, და აღტაცებით გულში შავ ქვას იხუტებს.—მოდი და ნუ გაიხსენებ კაცი შილლერის სიტყვებს:

Сколькоихъ славныхъ жизни поблекла,
Сколькоихъ низкихъ, рокъ щадитъ!...

ბავშვების მოვლა გადაგასტარზე

(ფანტაზია)

შესავალი

ნოემბერი 1870

პფრიკას და აზიას შუა ინდო-
ეთისკენ, ერთი დიდი ქუნძული მდე-
ბარეობს, რომელსაც სახელათ მა-
ჭავასკარი ჰქვია, და რომელზე-
დაც ოთხი თუ ხუთი მილიონი კაცი
ცხოვრობს, შწინდელ დროში, ეს
კუნძული მამა-პაპისებურათ ცხოვ-
რობდა. მისი ხალხი არც უცხო-ქვეყ-
ნელებს იკარებდა, არც მათ სანახავათ
დადიოდა. მაგრამ ჩეენ საუკუნეში
ეკროპიელებმა, როგორც იქნა, მა-
დაგასკარის მცხოვრებლებს. ცოტ-
ცოტათ შეეპარენ, და ზოგიერთ ნა-
პირის ქალაქებში აღებ-მიცემაც გა-
მართებს. ეს აღებ-მიცემა იმაში
მდგომარეობდა, რომ ეკროპიელები

მაღვაცყარლებს სხვა და სხვა ნაირ მძიეს, ტატოლოებს, სარკეულობას, შუშას, ფერად ნაქსოვს აძლევდენ, და სამაკიეროთ კი ახალგაზდა ტყვეებს იღებდენ, ამერიკაში მამა-სისხლის ფასათ გასაყიდველათ.— როცა უმეტესი ნაწილი ევროპიელებისა მაღვაცყარზე ამ გვარ ხელობას აღვა, ორი თუ სამი “მის-სიონერი” იქ სახარებას არიგებდა, ტატიოლებთან ან მძივთან. ამის გამო ეროპიელები ტრაბახობდენ, აქამ და, მაღვაცყარზე ქრისტიანობას და განათლებას ვაკრცელებთო, უმეცრობას და ბარბაროსობას ვეო-მებითო...

რასაკეირველია ევროპიელებს, თავდა-პირველათ, მეტის-მეტათ უკირდათ ქრისტიანული თანასწორობის. ძმობის და სიყვარულის ვაკრცელება იმ ხალხში, რომლის უმჯობესი ახალგაზდობა იმათ ტყვეთ

გაყავდათ. მაგრამ მოგების სურ-
ვილს ბევჯერ გადაუსხვაფერებია
ამ ჩინებული სწავლის უმთავრესი
ხასიათი, და თავისუფლების მცნება,
მაცხოვრისგან მოცემული. მტარე-
ლის იარაღათ გაუხდია... ალებ-მიცე-
მა რას არ იქს? მაღვასკარის ხალხიც
როგორც იქნა, მოტყდა, და ევრო-
პაული ცხოვრების მიბაძვას შეუდგა.

მს ცვლილება მაღვასკარის კო-
როლევის ვადი-ბერანოვალის
მეფების დროს (1828 — 1861) მოხდა,
განსაკუთრებით მაშინ, რო-
ცა, ამ ჰუკარტლის-ფერა კოროლე-
ვას სიკვდილის შემდგომ, მაღვას-
კარის ტახტზე მისი შეიღი რა-
ღომა შებრძანდა. ამ ახალგაზღა
ხელმწიფებ მაღვასკარზე საფრანგე-
თის ჩევეულებაები შემოილო. მაგ-
რამ — როგორც ბევჯერ სხევანც
მომხდარა — მიმბაძველმა საფრან-
გეთის წესი და წყობილება კი არა,
ტანსაცმელი და “მიხერა-მოხერა”

გადმორგო თავის სამეფო ში. ფრან-
ციული ცეკვა, მოდა, აღერსი იმან
მალე შეითვისა, და სწავლა ან ღირ-
სეული თვისებაები კი—ტყეში გა-
უშვა.

ამის გამო მადაგასკარის ხალხი
თავის ხელმწიფო უკმაყოფილოთ
დარჩა. 12 მაისს 1863 იმან რადო-
მა ტახტიდამ ჩამოაბრძანა და მის მა-
გიერ მისი ცოლი გაამეფა. ახალ
კოროლევას სახელათ რაბოდო-
რაზოლერინა ერქვა. იმან იფიქრა;
რადგან ჩემ ქმარს ფრანცუზების მი-
ბაძვა, არ გამოადგა, მოდი ინგლის-
ლებს წავხედოო, — და ეს ფიქრი კი-
დეც ასრულებაში მოიყვანა.

ამ გვარათ, 12 მაისს 1863 მადა-
გასკარის ცხოვრებაში დიდი ცვლი-
ლება მოხდა, და ამ რიცხვის შემ-
დეგ მადაგასკარლები ინგლისლე-
ბის ცხოვრებას გამოუდგენ კვალში.
რადგან ც ყოველ მიმბაძველს, თავ-

დაპირველათ, მარტო გარეგანი სახის გადაღება ეავლილება, მაღაგასკარლებს ინგლისური წესის ან ჩვეულების შეთვისება აქნამდიც ვერ მოუხერხებიათ...

ვისაც მაიმუნი უნახავს, ვისაც შეუნიშნია, რა რიგათ ბაძავს ეს სულდგმული კაცის მიხერა-მოხერას და მოქმედებას, იმან, რასაკვირველია, კარგათ იცის, რა სასაკილო სანახავია ეს მიბაძვა... სწორეთ მაიმუნურათ ბაძვენ მაღაგასკარლები ინგლისის ხალხს! მკითხველს — მგონია — არ ეწყანება, ამ მიბაძვის ზოგიერთი მხარე რომ გამოვხატო დღევანდელ ფელტონში. აშ საქმეს ორი წიგნი გამიაღვილებს: ერთი ინგლისური (Madagascar, its social and religious progress, by M. Ellis, London, 1863) და მეორე — ლომანდიური (Een blik in Madagaskar, v. Pollen. Leyden, 1867).

პირველ შემთხვევისთვის ავილებ „ჭავების მოვლას მაღაგასკარის კუნძულზე“

ჩვენებურმა მკითხველმა უნდა იცოდეს — „მნათობილამ“ მაინც, — რომ ინგლისის კოროლევას გამოჩენილი ექიმი ყავს, სახელათ პოზბი. ამ ექიმმა შეადგინა და გამოსცა ერთი მეტის მეტათ სასარგებლო წიგნი, „ბავშვების მოვლაზე,“ რომელიც ამ ლლევბში ქართულ ენაზედაც დაიბეჭდა და ცალკე წიგნათ გამოვიდა. მაღაგასკარის კოროლევას რაბოდო-რაზოლერინას ეს ამბავი გაუგონია, და, ინგლისის კოროლევას მიბაძვით, იმასაც „ექიმი პოზბის“ შოვნა მოუნდომებია. მისდასუბელროთ, უპოვიათ ექიმი პუმბი, ექიმი ჰამბო, ექიმი ჰამბუ, მაკრამ ექიმი პოზბი ვერსად გამოუძებნიათ. რა გაეწყობოდა, რადგანაც იმავე სახელის ექიმი ვერ მოძებნეს,

იმისთანა ექიმს დაუწყეს ძებნა, რომელსაც პომბის სახე მაინც ჰქონდა, და როგორც იქნა—გოტენტოტების*) ქვეყანაში გამოძებნეს ექიმბაში მოხა.

გოტენტოტ მლხოს უთხრეს, შენ ჩვენი კოროლევის „ექიმი პომბი“ უნდა შეიქნეო, და ჩვენში პომბის ხელობა უნდა აწარმოო. მლხო გაცირდა. „მე თქვენი ქვეყნის ენა არ ვიცი და ზნეო, თქვენი ჩეეულების არა გამეგებაო. და თქვენში აბარია სარგებლობას მოვიტანო.“ უთხრა იმან თურმე კოროლევის ელჩებს. ამას გარდა, მლხოს თურმე გაგებაც არ ჰქონდა, პომბი სასმელი

*) გოტენტოტები სამხრეთის აფრიკაში ცხოვრობენ. ეს ხალხი მეცის-მეტათ ველური დი ბინძურია. უსანიშნავია შით, რომ ძლიერ დაბალია, ერთი ნამცეცა შეძლო აქვს და ერთობ წინ გამოწევლი ნიკა.

რამ არის, თუ საჭმელი. მაგრამ გოტენტოტების ქვეყანაში ერთი ჩინებული ჩვეულება ყოფილა (რომლის შემოღება ჩვენშიაც უხეირო როდი იქნება). ვისაც რისიმე შეტყობა ან გაგება დაჭირდება, ის მიღის და სხვას ჰკითხავს, თურმე „აშიხსენი, ვამაგებინეო“ ელხომაც ამ რიგათ მოიქცა და მალე შეიტყო, რომ პომბი გამოჩენილი სწავლულია: რომელიც „ბავშვების მოვლაზე“ დედ-მამებისთვის ლექციებს კითხულობს და წაკითხულ ლექციებს წიგნებათ სცემს.

ელხომ რომ ეს ამზადი გაიგო, მაშინვე წელზე დოინჯები შემოიყარა.— „აშკარა საჭმა, იფიქრა იმან, მეც მადაგასყარელი დედ-მამები უნდა დაეიძარო, რომ ბავშვების მოველა ვასწავლოთ.

ამ აზრის ასრულებაში მოყვანა

ელხოს სრულიათაც არ გაძელებია. მისი თხოვნით ბრძანება გამოვიდა, ყველა დედმამამ მლხოს ლექციებს ყური უნდა დაუგდოსო, მლხოს ბრძანება (ესე იგი დარიგება) რჯულზე უმტკიცესათ უნდა ასრულდესო თუ არა და, დამნაშავეს შეიღი და შთამამავლობა (მეშვიდე მუხლამდი) სწავლის და განათლებას მოკლებული იქნებიან, და მწარე, ძალდატანებითი მუშაობით დაისჯებიანო... რასაკეირველია, დედ-მამები „აღტაცებით“ შოგროვდენ ელხოს სასახლეში. მათი წერილ-შვილის ბედი მლხოს ებარა, აბა, თქვენ მიბრძნეთ, იმას ვიღან ეწინაღმდეგებოდა? -

დანიშნულ დღეს, მოწიწებით მდგომარე დედ-მამების წინ წამოიჯვმა გოტენტოტი მლხო, ლურჯწითელა გალესილი პირისახით, თაქ-თაქა ტყვიის-ფერი თვალებით, გაკნაჭილი, გაპარსული წინ-წამოწე-

ული ყბით და უკან გაქცეული შუ-
ბლით. მის პირისახეს, რომელსაც
კოტოლევას სასახლეში, უფროსე-
ბის წინ, ნიადაგ პირვერობის ან
სიმღაბლის ლიმილი ებეჭდა, ეხლა
ამაყი, დიდკაცური, მბრძანებელი
გამოხედულობა გაჰკროდა. მის შემ-
ხედავ კაცს ევონებოდა. ამაზე უფ-
როსი, გოტენტოტებში კი არა იქ-
ნება მაჭრების ქვეყანაშიაც არ მო-
იძებნოსო. მსეთი სახე ჰქონდ. მა-
შინ ამ კაცს, რომელიც იმავე საღა-
მოს სასახლეში, ლაქიებსაც კი ფეხ-
ქვეშ გაუვორდებოდა.

—
პირველი ლექცია
ელსოს წილისიტექნიკის

ამაყათ ჩათიქრებულმა ელსომ
ტახტზე ფეხი მოიროხა; და წყნარი
ხმით თავისი ლექციის კითხვა ამ რი-
გათ დაიწყო:

„მოწყალენო ხელმწიფენო და
ქალბატონებო! დღეს უნდა აგისხნათ,
თუ რანაირი საშუალებაებით შეუძ-
ლია აზამიანს ბავშვების ხეირიანათ
აღზრდა ან მოვლა. სრული იმედი
მაქვს, თქვენ ჩემ დარიგებას თქვენი
შთამომავლობის სახეიროთ გამოიყე-
ნებთ...“

ამის შემდეგ, მლხომ, ცოტაოდ-
ნათ აღელვებული ხმით, უამბო
მაღაგასკარელ დედ-მამებს, თუ რა-
ნაირათ იზდებოდა გოტენტოტების
ქვეყანაში თვითონ მლხო, რანაირათ
მიეიდა ის პირველათ — უპერანგო და
უპერანგის-ამხანაკო*) — იქაურ სას-
წავლებელში, რანაირათ უფეთქდა
იმას გული, როცა — შემდგომში —
მასწავლებლებმა იმას ცემა დაუწ-
ყვეს, რანაირათ მიუტევა იმან — ძრის-
ტეს აღთქმისამებრ — თავის ვამდა.

*) გოტენტოტების ქვეყანაში ხალხი ცი-
ტველა დაიარება.

ხველებს, და სხვა. მრთი სიტყვით,
ითქმის მთელი ლექცია თვითონ
მღვანელს ბიოგრაფიას და მისი გრძნო-
ბის გამრთქმას მოუნდა.

მაღაგასკარელი დედ-მამები გა-
კვირვებით და თრთოლვით უცქერ-
დენ გოტენტოტელ მეცნიერს, რომე-
ლიც თან-და-თან უფრო და უფრო
ივიწყებდა თავისი ლექციის საგანს.
მაგრამ დედ-მამების გაკვირვებულშა
პირისახემ მაინც ვერ შეაკავა მღ-
ვანელს მჟევრ-მეტყველობა.

— „მხლა, ამბობდა ის მომეტე-
ბული ალტაცებით, — ხომ მხედავთ,
რა მშვენიერ მდგომარეობაში ვარ?
მე დამნიშნეს კოროლევის ექიმათ,
მომცეს ხეირიანი ჯამაგირი, და —
რადგანც ღმერთს ჩემთვის მოხერ-
ხება არ დაუკლია — სახელმწიფო
ფულით ავაშენებინე ეს ჩინებული
სასახლე, რომელშიაც ეხლა ჩემი
ოჯახით ვცხოვრობ. — მს ყოველი

ფერი მომენიჭა, და, იმედი მაქას, შემ-
დეგშიაც ბევრი სხვა მომენიჭება.

„საქმე იმაშია, ჩემო მოწყალენო
ხელმწიფენო და ქალბატონებო,
რომ ჩვენ ჩვენებურ ქვეყანაში—
რომელსაც დედა-მიწაზე მზვავსიც
არა ყავს,—ადამიანს ბუნებითი, კა-
ცური სახის ან ზნის მიტოვება ასა-
ხელებს და ამაღლებს. ჩვენში, მა-
გალითათ, რაც უფრო მეტათ და-
სერილი აქვს კაცს შუბლი ან ლოყა;
რაც უფრო დახვრეტილი აქვს ტუჩი
ან ყური, რაც უფრო დიდრონი
რგოლები უყრია ცხვირში, მით ის
უფრო სახელ-გათქმული და დიდე-
ბულია: შენური და ბარბაროსი ევ-
როპიელები ამას „დამახინჯებას“
უძახიან. მათი აზრით, კაცს მარტო
ბუნებითი სიმშვენიერე ეყოფა, სა-
ლაშაოოთ. — აშკარა საქმეა, რომ
ამ შემთხვევაში ეეროპიელები სცდე-

ბიან. ტატუაფი *) ცუდი რომ იყოს, განა ჩვენ კოროლევას ბრწყინვალე და ზეციერი პირისახე დასერილი ექნებოდა?

„აქედამ სჩანს, რომ ბავშვების მოვლაში, მათი გარეგანი სახის გასამზვენიერებლათ, ჩვენ ბუნებას უნდა დაეცხმაროთ. უმაწვილის პირისახე ან გვამი დასერით, დადალვით უნდა გავაუმჯობესოთ, თუნდაც ევროპიელებმა ამას დამახინჯება დაარქვან. ამ გვარივე ღვაწლი გვადევს ყმაწვილების სულის ან ჭკუის აღზრდაშიაც. უმაწვილის ტეინი და გონება ჩვენ იმნაირათვე

*) ტატუაფი — პირისახით დასერის და დასერილი ადგილების სხვა და სხვა ფერი წამლით ამოვსებას ჰქვია, ისე რომ ვაცს პირისახეზე სამუდამოთ ხაზები ან სურათები ატყვება.

უნდა დავხვრიტოთ, დაესეროთ და
რკინის რგოლებით შევამკოთ, რო-
გორც ჩვენი პირისახეს ვამშვენიე-
რებთ. დასერილ, დახვრეტილ ტვინ-
ში ჩვენ ისეთი სხვა და სხვა ფერო-
ვანი წამალი უნდა ჩავასხათ, რომ
ყმაწვილის გონება სამუღამოთ და-
დაგული, დალ-დასმუღლი დარჩეს...

„მაშასადამე, ჩვენი ლექციების სა-
განი ის იქნება, თუ რა ნაირათ უნ-
და დაისეროს ან დაიდალოს ჯერ ბავ-
შვის სხეული, მერე მისი ტვინი, და
ბოლოს მისი სული ან გრძნობა,
რანაირათ უნდა იმექმოდოს დედმა-
მამ ან მასწავლებელმა ამ საზელმწი-
ფო მიზნის შისალწევლათ“...

მეორე ლექცია

ბავშვების სხეულის გაწოვნაზე

„მოწყალენო ხელმწიფენო და
ქალბატონებო!“

„შოვლად ბეღნიერ და ორმათგა-
ნათლებულ რომაელებს ერთი უც-
ხო და ჭეშმარიტი ანდაზა ჰქონდათ:
„mens sana in corpore sano.“ მაგ-
რამ, რადგანც თქვენ თქვენ შვილებ-
სავით ბეღნიერი არ ყოფილხართ,
და თქვენი სიცოცხლის უმჯობესი,
ახალგაზდა წელიწადები ლათინური
ენის სწავლისთვის არ შეგიწირავთ,
ეს უცხო ანდაზა ჩვენებურათ, უნ-
და გადმოგითარგმნოთ. Ու ნიშნავს:
“მრთელი გონება მხოლოთ მრთელ
სხეულში იპოვებაო.“

„მხლანდელი ევროპიელების ბარ-
ბაროსობაში იქამდი მიაწია, რომ ამ
ჩინებულ ანდაზას ისინი თავიანთე-

ბურათ, ჩვენდა საჭინაალმზეგოთ,
ხმარობენ. იმათი აზრით, აღამიანი
თუ ტანის სიმრთელით ტალს (კაჯს)
ედრება, თუ ლონიერი ჯაფის ამტა-
ნი ან სწრაფია, თუ მისი პირისახე
„ჟიულლივით“ ანთებულია, — ეს
ნიშნავს, რომ მისი სხეული „მრთე-
ლიაო!“ უგნურობა ამაზე მეტი იქ-
ნება?... უბედურებს ის კი არ ესმით.
რომ ამ ნაირათ გლეხიც კი იქნება
“მრთელი“, რომ მარტო მუშაკს,
გლეხს მოუხდება მაგ მონური ტანის
სიმრთელე-

ჩვენებურ, ესე იგი დიდკაცურ, სა-
ზოგადოებაში, ჩვენ როდი გვჭირია
ვარდის ფერი პირისახე ან ნალის-
მტვრეველი ძალა. ჩვენ სიმრთელეს
ნაზი სხეული, მთვარის სხივი-ფერი
პირის სახე, სუსტი აგებულობა,
ზანტი მიხერა-მოხერა შიადგენს. მა-
ლალი არისტოკრატიური საზოგა-
ლოებისთვის მხოლოთ ამ ღირსებებ-
ში მდგომარეობს ნამდვილი მშვე-

ნიერება, ჭეშმარიტი ტანის სიმრთე-ლე. თუ ევროპიელები ჩვენ სინა-ზეს „წელ-მოწყვეტილებას“ ეძახიან, თუ ჩვენი მშვენიერი ფერ-მკრთალობა იმათ ჭლეჭქის ნიშნათ მიაჩნიათ, ეს — როგორც წელან ვთქვი — მათი უგნურობის ან ბარბაროსობის აშ-კარა ნიშანია.

„მაშასადამე, მოწყალენო ხელ-მწიფენო და ქალბატონებო, ჩვენი ყმაწვილების სხეულიც ჩვენ ხელში ისეთ რიგათ უნდა გაიწურონოს, რომ ყმაწვილი ნაზი აგებულების და ნარნარი სიმრთელის გამოვიდეს.

„ამ მიზნის მისაწევათ, აი როგორ უნდა მოქმედებდეს ყმაწვილის დედ-მამა ან აღმზრდელი.

„დაიბადება პავშეი თუ არა, ბე-ბიამ პირველათ თავზე ხელი უნდა წაავლოს და კარგა მაგრა მოუჭი-როს. — ამის შემდეგ ბავშვეს შუბლ-

ზე კვარახჩინი უნდა მოეჭიროს —
რაც შეიძლება უფრო მაგრა — და
თვითონ ბავშვი არტაშნებით აკვან-
ში უნდა ჩაიკრას, ესე, რომ იმას
არამკა და არამც განძრევის ღონე
ან საღავათი არ ჰქონდეს. ამ ნაი-
რათ ხელ-ფეხ-შეკრული და თავშე-
კოჭვილი ბავშვი დილიდამ საღა-
მომდი და საღამოდამ დილამდი შე-
უჩერებლათ უნდა არწიოთ.

„მრთ ფრანცუზს, რომელიც ჩვე-
ნებური ყმაწვილის აღზრდას დაკვირ-
ვებოდა, ჩვენ ქალაქში აშკარათ ლა-
პარაკი დაეწყო, ვითომ შუბლის შე-
კვრა და სხეულის შეკოჭვა ბავშვის
ტვინსაც ავნებს და გვამსაცო. ის
ამტკიცებდა თურმე, ვითომ ბავშვის
ნიადაგი რწევა მის ტვინს ანჯლლევს
და ათხელებსო, ვითომ მისი ფილ-
ტვის და საზოგადოთ გულმკერდის
ზდა სრულიათ ბრკოლდება აკვანში
ჩაკრული წოლით.

„მაგრამ, ერთი მიბრძანეთ, თუ

ის ფრანცუზი კაი კაცია, იმას რა
გული უტირის, კარგათ აიშრდება
ჩვენი ბავშვები, თუ კუდათ? — მე
რომ მკითხოთ, ფეხებზე კი მკიდია
საფრანგეთის ბავშვები და დედ-მა-
მებიც! ამ საგანზე მხოლოთ მის-
თეის ვსჯი ან ვლაპარაკობ, რომ
ნაბრძანები მაქვს ხელმწიფისგან და
ჯამაგირს ვიღებ — ფრანცუზის მხ-
რით კი ეს იმას გავს, „არა მკითხე
მოამბეო, მიბრეგვე და მიაგდეო!“
მაშასადამე, იმ ფრანცუზის შენიშვნა
ყურადღებაში მისაღები არ არის, ამი-
ტომ, რომ მისი აზრის გამოსათქმე-
ლათ მთავრობას მისთვის არც ნე-
ბა მიუცია, არც ჯამაგირი. მისი აზ-
რი ჰქეშმარიტი რომ იყოს, მმართებ-
ლობა იმას ჩინებულ ადგილს მი-
ცემდა და დიდძალ ჯამაგირს გაუ-
ჩენდა...

„რასაკეირველია, აკვანში ჩაკრული
ბავშვი დღე და ლამე კარდაკეტილ

ოთახში უნდა იყოლიო. ჰაერზე ყოფნა კეთილშობილი კაცის საქმე როდია. ქეთილშობილი კაცი მუდამ სასახლეში უნდა ბრძანდებოდეს, ან, თუ სასახლე არა აქვს, სახლში მაინც. აქედამ ის კანონიც უნდა გამოვიყვანოთ, რომ აკვანსაც მოცილებული ბავშვი მუდამ უფროსის თვალწინ ოთახში უნდა იმყოფებოდეს.

რაკი ყმაწვილი შეიღი ან რეა წლის შეიქნეს, ის მაშინვე ან შეკოლაში უნდა გაგზავნოს კაცმა, ანადა შინვე სწავლას მიუჯინოს. უნდა იცოდეთ, რომ სწავლა სხვა და სხვა ნაირია, — მაგრამ ამ საგანზე ჩვენ სხომისაც გვექნება საუბარი. მხლა კი ის მსურს გითხრათ, დედმამა მუდამ იმას უნდა მეტადინეობდეს, რომ ბავშვი ნიადაგ წიგნს უჯდეს. შეკოლაში ხომ აუცილებლათ საჭიროა, რომ ბავშვი, გათე-

ნებილამ დაბინდებამდი, სასწავლებელ ოთახში, — თავდახრილი წიგნს კითხულობდეს. თუმც ევროპიელები ყბედობენ, ვითომც ამ ნაირი ჯდომა ბავშვს თავისა და ზურგის ტვინს უშრობს ან სხეულს დანეულებსო, ვითომ ბავშვის გონების გახსნისთანავე, კაცმა მის სხეულსაც უნდა უგდოს ყურიო, თუმც მათი ანგარიშით, სასწავლებლიდამ ათ ყმაწვილში ორიც ძლივს გამოდის ტან-მრთელი. ან უკნებელი, — მაგრამ ჩვენ ყური როდი უნდა ვათხოვთ ევროპიელების ლაყბობას. ჩვენი წინაპრები ჩვენ არც ჭკუაში ჩამოგვივარდებოდენ, არც გონებაში. მაშ ჩვენ აბა რა სიმართლე გვაქს მათგან დაარსებული წესი ევროპიელების შიბაძვით შევცვალოთ!...

„ტვინი უხმება, უდნება, უხდება.“ — თუნდაც რომ მართლა უხმე-

ბოდეს ბავშვს ტვინი, მერე რა? მე
თქვენ მოგახსენებთ, მაშინვე ქვეყა-
ნი. დაიქცევა, რასაკეირველია! რა
საჭიროა ბავშვისთვის ტვინი? სანამ
ის ოჯახშია, — ყურის-მგდებლათ
იმას დედ-მამა ჰყავს. სასწავლებელ-
ში—მის მაგიერ მისი მასწავლებელი
ზრუნავს. და რაკი ის ცხოვრებაში
ფეხს შეადგამს—მის მზრუნველათ,
მომვლელათ მთავრობა და უფრო-
სები ხდებიან. ცხადია, ბავშვისთვის
ტვინი, ჭურა სრულიათ უსარგებლო
ნამეტანი ან დამამძინებელი საქო-
ნელია. მაში მისი დაკლება სრულია-
თაც არ უნდა აწუხებდეს არც ბავ-
შვების. დედ-მამას, არც მათ აღმზრ-
დელს.

„ამ გეარივე აზრის უნდა ვიყოთ
ბავშვების სხეულის დასუსტებაზე-
დაც ოთახში გადაჭარბებულათ ჯდო-
მისგან. შენიშნულია, რომ ვინც
ნიადაგ მოსვენებულათ ოთახში ზის,

უინც მხოლოთ სწავლაში ან მოაზ-
რებაშია გართული, იმას პირზე
სწორეთ ჩვენი მოსაწონი ნარნარი
ფერი ედება, და სხეულიც არისტო-
კრატიულათ უნაზდება. მართალია,
ავათმყოფობა მის ხშირ სტუმრათ
ხდება. შოველგვარი ჯაფა და შრო-
მა მისთვის საძნელოა, ჭირზე უარე-
სია. მაგრამ ეს გარემოება სიკეთეთ
უნდა ჩაერიცხოთ. ნამეტნათ ტან-
მრთელი კაცის გულში ამპარტავნე-
ბა ინერგება. იმას თავი ისე მაღლა
მოაქვს, რომ არა თუ თანასწორი,
უფროსებიც და თვით ღმერთიც
არაფრათ მიაჩნია. ამის გამო მეტის
მეტათ საჭიროა. რომ სხეულის უძ-
ლურება კაცს ხანდისხან მის ამაო-
ებას, მის სიმცირეს ახსენებდეს, რომ
მის გულში ლვთისა და უფროსის
მორიდებას, შიშს, კალნიერებას სთე-
სდეს...,

„ერთი სიტყვით, ჩვენ არ უნდა
ვივიწყებდეთ, რომ ბავშვების მოვ-
ლაში პირველი ადგილი მუდამ „ზე-
ობითი აღზრდას“ უნდა ეკავოს. ჩვენ
ამერიკელებს როდი უნდა ვძაძე-
დეთ, რომელნიც ყვაწვილის სწავ-
ლასთან მის ლონის ან სიმრთელის
შემატებაზე ზრუნვენ. ამერიკელები
მუშები არიან, და შვილებსაც მუ-
შებათ ზღიან. ამისთვისაც ისინი
ურჩინი გამოდიან, და მთავრობას არ
ითვისებენ. დარმოიდგინეთ, იმათ
ქვეყანაში თურმე არც კოროლევაა,
არც ხელმწიფე! რა ხეირი უნდა
დაეყაროს ამ ნაირ ქვეყანას, გკით-
ხავთ?

ჩვენი ყურადღება კი სწავლაზე უნდა
იყოს მიქცეული, და ყმაწვილი ოც
წლამდი ჩვენ მხოლოთ წიგნებს უნდა
მიუჯინოთ— ტანის-სიმირთელის მო-
პოებას ის მერმეც მოესწრება. თუ—
საუბედუროთ— ოცი წლის წელ-
მოსრილი სწავლა ზოგიერთ ყმაწვილს

სამუდამოთ აჭლერქებს, აუდლურებს
 და გონებას ართმევს, ჩვენ ეს ღვთის
 განვებას უნდა მივაწეროთ, და ჩვე-
 ულებრივი მოწიწებით უნდა დავე-
 მორჩილოთ ზეციერ ნებას.. .“

შესამე ლექცია

ბაგშვების გონიერის გაწრთვნაზე.

„მოწყალენო ხელმწიფენო და
ქალბატონებო! ჩვენ ბედნიერ და
ნეტარ საზოგადოებას ფილოსოფი-
ური თვალით რომ დავაკვირდეთ
დავინახავთ, რომ ის სამ ნაწილათაა
გაყოფილი.

„პირველ ნაწილს ის პირები შეა-
ღენენ (თავიანთი ცოლ-შვილით,
რასაკვირველია), რომელნეც ხალხს
და საზოგადოებას მმართევს. მეო-
რეს — ის პირები, ვისი, ხელითაც
იმართვება ხალხი და საზოგადოება,
და მესამეს — თვითონ ეს ხალხი, ეს
საზოგადოება.

„ცხადი საქმეა, სავშვების ალ-
ზრდა(კ) ამგვარათვე სამნაწილათ უნდა
იყოს გაყოფილი. პინც მმართავს,
ის ბრძანების გაცემაში გაჩვეული

უნდა იყოს. ვისი ხელითაც იმართვება ქვეყანა, ის—ბრძანების ასრულებაში, დანარჩენები კი—სრულ მორჩილებაში.

„პირველ-ნაირი სწავლა ჩვენი დიდებული და ძლიერი კოროლევის სასახლეში მემკვიდრეს და მინისტრების შეიღებს ეძლევა. თუმცამ მაღალ სწავლაზე სჭა და ბაასი ჩვენი საქმე არ არის, გული მაინც არ გვითმენს, უნდა ვთქვათ, რომ ეს მაღალი სასახლის სწავლა თავის დანიშნულებას ჩინებულათ ასრულებს, და მომავალ მმართველებს მზრდანელ, სასტიკ, გამკვირვებელ სახეს აძლევს...“

„მართლაც, რა ლაშათიანი დასანახავი არიან ის ახალგაზდა, ოქროთი ან ვერცხლით შეჭედილი, ფერადი ხავერდით ან მაულით შემოსილი ყმაწვილები! მათ ტანსაცმელზე და მიხერა-მოხერაზე, მათი მნა-

ხეელი პირდა-პირ გრძნობს: — ესე-
ნი თავიანთ დედის მუცლიდამვე
მბრძანებლებათ დაბადებულანო. ჟე-
ლას გული, უარის უთქმელათ, და-
უფიქრებელათ მათ ნებას ემო-
ნება!..

„ამ სასწაულს მოახდენს კარგი,
გონიერი მოვლა: ჩვენი მხრით, ჩვენც
უნდა ყვცადოთ. ის ბავშვები რო-
მელნიც ზეცას ამ მბრძანებლების
ნების ამსრულებლათ დაუნიშნავს,
ისეთ რიგათ გავწურთნოთ, რომ
პირველივე შეხედვით ყველამ იფიქ-
როს: „ჰა, ესენი მორჩილ და
ნებიერ ამსრულებლებათ დაბადებუ-
ლან ქვეყანაზეო!“

„რა სწავლაა საჭირო ამსრულე-
ბელისთვის?“

„ვისაც თავის სიცოცხლეში მუ-
დამ ერთ ნაირი ქაღალდის გადაწერ-
გადმოწერა ეჭირვება, ვისიც პირვე-

ლი ლიტსება — საკუთარი აზრის უ-
ქონლობაა მისთვის, რასაკვირვე-
ლია, სწავლაც იმნაირივე უსარგებ-
ლო და ნამეტანი საქონელია, რო-
გორც ტვინი ან ჭკუა. ამისთანა კა-
ცისთვის მხოლოთ ერთი მეცნიერე-
ბაა საჭირო — კადნიერება, უფროსის
მორჩილება.

„ამ ბედის ბავშვს აღმზრდელმა
სწორეთ იმოდენი სწავლა უნდა მის-
ცეს სიყმაწვილეში, რამდენიც მის
„ამსრულებლობას“ ცხოვრებაში და-
სჭირდება, როგორც წელან მოგახ-
სენეთ. ცხოვრებაში იმას მეტის-მე-
ტათ მცირედი სწავლა დასჭირდება.
ცხადია, მაშ, ჩვენი სწავლა იმაში
უნდა მდგომარეობდეს, რომ ბავშვი
რითიმე დილიდამ საღამომდი გარ-
თული იყოს, თან კი ფიქრობდეს —
ვსწავლობო.

„ოქვენ, ალბათ, ეხლა გუნებაში
ფიქრობთ: ამ ნარი სწავლა ვის გა-

უგონია, ან სად ინახება, ანა და რა
საკაცრისია, რომ სწავლა კი ერქვას
და ბავშვი სრულიათ არაფერს სწავ-
ლობდესო. ამნაირი ფიქრი მოგე-
ტევებათ, თქვენი გაუნათლებლო-
ბის მიხედვით.

„ჩვენ, განათლებულმა გოტენტო-
ტებმა, გამოვძებნეთ სწორეთ ის
სწავლა, რომელიც თქვენ შეუძლე-
ბელ ან მოუაზრებელ საქმეთ მიგა-
ჩნდათ!

„ჩვენ, განათლებულმა გოტენტო-
ტებმა, არა თუ გამოვძებნეთ, კი-
დეც დავათუნეთ და გავაკრცელეთ
ეს სწავლა, მოვნათლეთ ის, და სა-
ხელათ „შეოლური სწავლა“
დავარქვით.

„აი. რაში მდგომარეობს ეს ჩვე-
ნი გოტენტოტური „შკოლური
სწავლა.“

„ზათენდება თუ არა, პაწაწინა
ბავშვებს ერთათ შევრეფთ ღთახში,

და ორიოდე საათის განმავლობაში მთელი ქვეყნის ქალაქების ან მდინარეების სახელებს ვაზეპირებინებთ, ისე, რომ ჯერ გრძელი სახელები ჩამოთვალონ, და მერმე მოკლე. ამ დროს სასწავლებელში უნდა შეხვიდეთ და გაიგონოთ სიმღერასავით გამოთქმული სიტყვები: — „ვენა-ვერა-ლენა-სენა“ და სხვ., ანა და „ზოდერლეიმ-ლოლენლეიმ-რავენშტეინ-რუდოლფლეიმ!“ რომელი ყმაწვილიც სულმოუბრუნებლათ უმეტეს სიტყვას ზეპირათ გამოთქვამს. ის „ნიჭიერების“ რიცხვში ჩაითვლება და საჩუქრით დაიჭილდოვება.

„მს გახლავს „გეოგრაფიის სწავლა.“

„ცოტა ხნის შემდეგ, იმავე ყმაწვილებს ვაწყებინებთ „ისტორიის სწავლას“. მს ახალი სწავლა შემდეგი სიტყვების ზეპირათ და გალო-

ბით გამოთქმაში მდგომარეობს:
 „ფრიდრიხმა შეა ვილლელმი, ვილ-
 ლელმა შეა ფრიდრიხ-ვილლელმი,
 ფრიდრიხ-ვილლელმა შეა ვილლელმ-
 ფრიდრიხი, ვილლელ-ფრიდრიხმა შეა
 ფრიდრიხ-ვილლელმი მეორე“ და
 სხვ.— ამას მაღალ კლასებში ვას-
 წავლით. დაბალ კლასებში კი ისტო-
 რიის სწავლა უფრო გაადვილებუ-
 ლია: „ოლგა-ვასილი-ივანე და სხვ.
 სულ არ იქნება ორი ათასი ან სამი
 ათასი სახელი...

„დანარჩენ ხანს, საღილობამდი, და
 მთელ ნასაღილეეს — ვახშმობამდი,
 ყმაწვილებს ვაზეპირებინებთ სხვა და
 სხვა სიტყვებს: „ფილის, ბილის, მი-
 ნის, ვინს“ და სხვ.,— დღეში ორას
 სამასობით. ამ სწავლას ყმაწვილე-
 ბი დიდ ხანს ვერ შეეჩეიენ. მაგრამ
 ერთი ჩინებული აზრი მოგვივიდა.
 გამოვაცხადეთ, ამ სიტყვებით ჩვენი
 წინაპრები დედი მათის მუცელში

მუსაიფობდენ, და ამ სიტყვების უ-
ცოდნელ კაცს უმაღლესი სასწავ-
ლებლის ან უაღრესის ხარისხების
კარი არ გაეღებაო. ბავშვებმა მა-
შინვე აღტაცებით გაიზეპირეს ეს
ურიცხვი და უაჩრო სიტყვები.

„დახედეთ, ეხლა ამ სწავლის სა-
უცხოობას, ჰმაწვილს არც ერთი
საათი, არც ერთი წუთი არ რჩება
თავისუფალი, არც საეშმაკოთ, არც
ჭკუის უსარგებლო გასამდიდრებ-
ლათ. ჰმაწვილის ტვინი გართულია,
საქმეზე მიყენებულია. რაღგანაც
მისთვის სწავლა და ტვინი უსარგებ-
ლოა,—ამ ნაირ სწავლაში ის ერთ
იოტა ცოდნასაც ვერ შეიძნეს;
მისთვის სამუდამოთ გაუგებელი
დარჩება გეოგრაფიიდამ—სხვა და
სხვა ქვეყნების მდებარეობა, ხასიათი,
მათი ხალხის ცხოვრება ან მდგო-
მარეობა. ისტორიადამ—ხალხების
ბედი, ის გზა, რომლითაც კაცო-

პრიობა ნიადაგმტკიცეთ თან და
თან სიღარიბეს ან უგნურობას შორ-
დება, რომ კაცურ გონიერ ცხოვრე-
ბას მიუჟახლოვდეს.... მნებიდამ, ხომ,
ჩვენი მეზობლების ან ევროპიელე-
ბის ენის შესწავლა ყმაწვილს აზრ-
შიაც აღარ მოუვა, რაკი ის „ჩვენი
წინაპრების“, მკვდარი ენის გაცნო-
ბას თავის ნიჭის და ტვინს მიალევს.

„თუ—ვინცობაა — შევნიშნეთ,
რომ ყმაწვილს მაინც თავისუფალი
დრო რჩება, ან მისი ტვინი სხვა
საგნებს ხალისით ედება. მაშინვე
რამე საქმეს, მაგალითათ ჩხირ-კე-
დელაობას, ვიგონებთ, და ამ მოგო-
ნებული საქმით ყმაწვილის ტვინს სა-
ბოლოოთ ვაკმაყოფილებთ, ესე იგი
ვაუქმებთ....“

„მე გავაცანით, მოწყალენო ხემ-
ლმწიფენო და ქალბატონებო, ჩვე-
ნი გოტენტოტური „შკოლური სწავ-

ლა.“ ქნდა ნება მომეცით გამოგი-
ხატოთ რა მშეენიერი გავლენა აქვს
ამ ჩვენ სწავლას ყმაწვილის ხასიათ-
ზე, რა ჩინებულათ ასრულებს ის
თავის დანიშნულებას.

„ ჭარმოიღვინეთ, ვითომ ყმაწვილ-
მა გოტენტოტური სწავლის შილების
მაგიერათ, მიიღო ევროპიული ანა
და ამერიკული სწავლა. ჭარმოიღ-
ვინეთ. ვითომ იმან მშეენიერათ
გაიცნო ბუნების კანონები, გაიცნო
ქვეყნიერება, მეცნიერება და სხვა
და სხვა ხალხების ცხოვრება ან
მდგომარეობა. ჭარმოიღვინეთ, ვი-
თომ, ამასთანავე, იმან ორიოდე ხე-
ლობაც ისწავლა.— სახლების შენე-
ბა ვარ, თუ რკინის დნობა, თუ
ტყავის კეოება ან მეურნეობა. ჭარ-
მოიღვინეთ, საბოლოოთ ვითომ ამ
სიკეთესთან ის ტანმრთელი, ღონი-
ერი და შრომას შეჩვეულია.

„შარმოიდგინეთ ეს ყოველიფერი, და მიბძანეთ, თუ მრისტე-ლშერთი გწავმთ,—რა დააკავებს იმისთანა კაცს უფროსის მორჩილებაში,—რა აწერინებს თვეში ოც მანეთათ უაზ-რო, უმიზნო, უხალისო მიწერ-მოწერას? უეჭველია, იმ წამსვე, როგორც უფროსი იმას ერთ უსიმოვნო სიტყვას გაუბედას, ყმაწვილი უდარდელათ მიბრუნდება, და სხვა-გან სამუშაოთ გასწევს. მე თქვენ მოგახსენებ მოხერხება, ან გაბედულება, ან ცოდნა დაკლდება!... ამისთანა კაცს აღარაფრის მორჩიდება არ ექმნება. თავის უფროსათ ის თვითონ გახდება. მოისპობა მაშინ უფროს-უნცროსობა, წესიერება და მორჩილება!...“

„მეროპიელები ამბობენ, უფროს მა ხელქვეითათ ისეთი კაცი უნდა აიყვანოს, რომელსაც გონიერათ, ხეირიანათ შეეძლოს უფროსის საქმეების წაყვანა, ან მისი ბრძანების

არსულებთ. არა, ჩემო ბატონებო, ჩვენში, მაღაგასკარზე მბრძანებელს ხელჭვეითათ ისეთი კაცი უნდა ჰყავდეს, რომელსაც გაწაწანების საღავათიც არ ჰქონდეს, მბრძანებლის სურვილის ასრულებელის გარდა პლასტრულებელს არაფრისგან არაფრის მოხერხება არ უნდა შეეძლოს. იმან უფროსის გაგონების მეტი არა უნდა იცოდეს რა. ის ერთი სიტყვით, უფროსის ყურმოჭრილი მონა ა უნდა იყოს...

„ეს გახლავთ, მოწყალენო ხელმწიფენო და ქალბატონებო. ჩვენებური გონების გაწრთვნა. რა ნათეა ჩვენებური ხასიათის გაწრთვნა — ამაზე შემდეგ ლექციაში მოვილაპარაკებ.“

შეოთხე ლუქს.

ბავშვების ხასიათის გაწროვნაზე.

„მოწყალენო ხელმწიფენო და
ქალბატონებო!

„ბავშვის ხასიათის გაწროვნით
ჩვენ ჩვენებური ბავშვების მოვლა
უნდა დავაგვირგვინოთ, ისე, რომ
ჩვენი ხელიდამ ბავშვი ხასიათითაც
იმნაირათვე სუსტი და ნაზი გამო-
ვიდეს, როგორც გონებით და ტა-
ნის-სიმრთელით გამოდის.

„ამ მიზნის მისაწევნათ აუცილე-
ბლათ საჭიროა. რომ ერთათ შე-
კრებილ ბაშვებს შუა თავიდამვე გან-
ხეთქილება, ერთმანეთის ჯიბრი დავ-
თესოთ. ეს გრძნობა, ბავშვების მოვ-
ლის დროს, მით უფრო ძვირფასია,
რომ მარტო მის შემწეობით შესაძ-
ლებელია ყმაწვილის ხასიათის ჩვე-
ნებურათ გაწროვნა.

„შნდა იცოდეთ, რომ ბავშვების
ამხანაგობა ან ძმური ცხოვრება მე-
ტის-მეტათ ახდენს მათ ხასიათს.
უმაწვილები ერთმანეთის დახმარებას
ხელის გაწყობას, ზურგის გამაგრე-
ბას, ერთი-მეორესთვის თავის გამოდე-
ბას ეჩვევიან. მს გარემოება ჩვენებურ
მოვლისთვის ძლიერ სავნებელია.
რაღაც მომელელის ნების დაუ-
კითხავათ ხანდისხან მის წინააღმდე-
გაც, ბავშვები საკუთარ ძალას პოუ-
ლობენ, და შიგ ციხესავით მაგრდე-
ბიან..,

„მოხერხებულმა პირებმა კარგათ
იციან, რომ ციხის ასაღებლათ ყვე-
ლაზე უფრო სახეირო საქმე—ცი-
ხის დამცველებში მეგობრის გაჩენაა.
ამისთანა მეგობარი ციხის კარს
სისხლის დაულევრელათ გავვილებს,
და მტრის ბანაკში თავისუფლათ
შეგვიშებს. ეს ჭკვიანური გამოც-
დილება სახეში უნდა უიქონიოთ,

თუ მიზნათ ბავშვების სრული და-
მორჩილება გვაქს.

„ჰკვრან, გამოცდილ გოტენტოტს
ერთი თვალის გადავლება ჰყოფნის
ჯვუფათ შეკრებილ ყმაწვილებზე.
მათში ბაზენისთანა ბავშვების ამო-
სარჩეველათ. ამორჩეული ბავშვი
მომვლელმა ნელ-ნელა, ალერსით,
საჩუქრით, ტკბილი გამოკითხვით
უნდა მიიჩეიოს, და ზოგჯერ დაჯი-
ლდოებით, ხან ხუმრობით, ხან ყა-
კვირით, ამბის მოტანას შეაჩეიოს,
იმ რიგათ, რომ მომვლელმა ყოვე-
ლიფერი იცოდეს, რასაც კი ბავშვე-
ბი შვრებიან, ამბობენ ან ფიქრობენ.
ამ საშუალებით მომვლელი—პოტა
ხნის განმავლობაში — თავისი შაგირ-
დების ხასიათს და მიღრეკილებას სა-
უცხოვოთ გაიცნობს.

„რაკი ბავშვების ზნე და აჭრები
იმას კარგა დაწვრილებით გაცნობი-
ლი. ექნება, მისი პირველი ცალია

მათ საქციელს კვალში ჩაუდგეს, და ნელ-ნელა, ჩუმ-ჩუმა, კვანტი მოდვას იმ ბავშვებს, რომელნიც თავიანთი დაუმოარჩილებელი ხასიათით ან თავისუფალი პზრებით დანარჩენ ყმაწვილებს ცუდ მაგალითს აძლევენ.— ამ ნაირ ყმაწვილებს მომვლელმა რამე მიზეზი უნდა უპოვოს, რომ სასწავლებლიდამ ფეხი ამოადგმევინოს.

„ამ ნაირათვე უნდა მოექცეს მომვლელი იმ ბავშვებსაც, რომლის დედ-მამა ან ნათესავები ცუდი ან ახირებული პზრის არიან ბავშვების მოვლაზე, და რომელთაც, ამ მიზეზით, სასწავლებელში ხანდისხან ცუდი, ევროპიული პზრები შემოაქვთ ბავშვების მოვლაზე, ან — განსაკუთრებით — მომვლელის ყოფა ჭცევაზე ...“

„თუ მომვლელს თავში ერთი
იოტა ჭკუა და მოხერხება აქვს, ამ
ნაირი მოქმედებით ის თავის სასწავ-
ლებელს ძლიერ ჩქარა იმ რიგათ
გაწმენდს, რომ შიგ მშეიღობიან,
მორჩილი, ნორჩი. ბავშვების მეტი
ალარავინ დარჩეს.

„მაშინ, გაწმენდილ და გაბანილ
სასწავლებელში. მომვლელმა ხელ-
მძღვანელად მუდამ ორი აზრი უნ-
და იქონიოს.

„პირველი აზრი ისაა, რომ ბავ-
შვი თავისი საკუთარი ჭკუით, ან
თავის გრძნობისამებრ, არასოდეს არ
იქცეოდეს, რომ ყოველ თავის მოქ-
მედებას ის მომვლელის სურვილს
უმონებდეს.

„თუ მომვლელი ხეირიანი გოტერ-
ტოტია, ის ძლიერ მალე იქამდი-
ნაც მაწევს, რომ მის ბავშვი ბს
არც აზრი მოღიოდეს თავში, არც
გრძნობა ენთებოდეს გულში. მესაა

ბავშვების „შკოლური აღზრდის“
იღეალი.

„მეორე აზრი ისაა, რომ ბავშვები
და დანარჩენ ქვეყანას შეუ მოგ-
ვლელმა გაუჭირეტელი კუდელი უნ-
და გაავლოს, ისეთი, რომ არც სა-
ზოგადოება ხედავდეს სასწავლებელ-
ში რა ამბებია, არც ბავშვი იცოდეს
სასწავლებლის გარეთ რა, როგორ
ან რისთვის ცხოვრობს.

„ეს უკანასკნელი აზრი ჩვენებუ-
რი სწავლის ბურჯათ უნდა ვიქო-
ნიოთ. ჩვენი უმთავრესი მიზნის გი-
საწევათ საჭიროა, რომ ყმაწვილი
ქვეყანას, ცხოვრებას არ იცნობდეს,
და — მაშასადამე — ქვეყანაში ან ცხოვ-
რებაში თავის თავათ არ ვარგოდეს.
შამისოთ ის ყურმოჭრილ ყმათ თა-
ვის დღეში არ გამოდგება.

„თავდაპირველათ, კედლის ამოკ-
ვანა ძლიერ გვიჭირდა. მრთი მხრით

დედ-მამას ბავშვების სწავლის დანახვა, დაკვირვება, გაცნობა სურდა. მეორე მხირით თვითონ ბავშვებიც ცხოვრების ან ქვეყნის გარემოებას აკვირდებოდენ, როგორც ხამი კაცი უნახავ ან უცნობ საგანს. მაგრამ ეს დაბრკოლებაც თავიდამ მაღე მოვიშორეთ. გამოვაცხადეთ, რომ ცხოვრება მეტის-მეტათ ბოროტია, და, მაშასადამე, ვისაც ბავშვების სიკეთე ან უმანკობა სურს, ბავშვს ცხოვრებას ახლო არ უნდა აკარებდეს თქო.

„ეს უბრალო აზრი ჩვენი დამცველი და მშველელი გახდა. მთელი ქვეყანა ერთბაშათ თავის ბოროტებაში და ბავშვების უმანკობაში დარწმუნდა. მართალია ჩვენშიაც გამოჩდა ორიოდე იმისთანა პირი, რომლებმაც ქადაგება დაიწყეს, უისაც სურს ბავშვი სასწავლებლიდამ გამოსელისთანავე ცხოვრების ბორო-

ტებაში არ ჩაიფლას, ის ბავშვს უნდა აფრთხილებდესო: აი ესა და ეს ბოროტებაა ძველანაზე, ღმერთი არ გავიწყრეს შიგ არ გაერიო, თორემ ესა და ეს დავემართებაო. მს პირები ამტკიცებდნენ, ბნელ ლამეში გამოსულ კაცს ჭაში ჩავარდნას ის კი არ ააცილებს, მისმა მევობრებმა. ჭადა მისი ალაგი რომ დაუმალონო. იმას კაცმა პირ-და-პირ უნდა უთხრას, ამა და ამ ალაგას თავ მოხდილი ჭა; უფრთხილდი, თორემ შიგ თუ ჩავარდი, კაცი შენ ძვალსაც ფელარ იპოვისო. ამ რიგათ ბევრი იქადავეს, მაგრამ ლეთის წყალობით და ჩვენი წადილით ამ დაუდევარ პირებს ენა ძირში მოეჭრათ, და ეხლა ჩვენი სწავლა მკვიდრ ბურჯზეა, საუკუნოთ დაფუძნებული.

„მაშასადამე, რაკი სასწავლებელ-სა და დანარჩენ ქვეყანას შუა გაუმჭვრეტელი კედელია აყვანილი,

ჩვენი მიზნის მიღწევა. თავისუფლათ
შეგვიძლია. ჩვენ დაუსვენებლათ უნ-
და ვცდილობდეთ, ბავშვს გარეგანი
ქვეყნის ამბავი არ ესმოდეს და ამ
ქვეყნის აზრების ან მოქმედების ცნო-
ბა არ ჰქონდეს. მაშინ, მაგრამ
მხოლოთ მაშინ, ჩვენ, მომვლე-
ლებს, დიდი, შეურყეველი გავლენა
და უფლება გვექნება. ბავშვებზე.
ჩვენი ბრძანება და აზრი, მათი მხრით
არც ერთ წინააღმდეგობას ან ურ-
ჩობას არ შეეყრება...

„ამ ნაირათ, ბავშვის ქვეყნიდამ
მოცილებით, ოსტატური მოვლით
გამოვზრდით ისეთ ყმაწვილებს, რო-
მელნიც, სწავლის დასრულების დროს,
ქვეყანაში თოთო უმანკოებით, სრუ-
ლი უკოდინარობით შევლენ, და
მთელ თავის, სიკოცხლეში ნიადაგ
ამ უმანკო, უკოდინარ ხასიათს შე-
ინახევნ.— მასა ჩვენებური სწავლის
და მოვლის მიზანი, და ჩვენ მეტის-

მეტათ კმაყოფილი უნდა ვიყოთ,
რომ გამოვძებნეთ ამტენ ხანს უპოვ-
ნელი საშუალება — ადამიანში საფ-
ლავის კარამდი ბავშვობის შენა-
ხვა.

„მე მევასრულე ჩემი დანიშნუ-
ლება, რადგან აც ჩვენებური მოვლის
უმთავრესი აზრები გავაცნეთ და
იგისენით. თქვენ კარგათ უნდა იცო-
დეთ, მოწყალენო ხელმწიფენო და
ქალბატონებო, რომ უდროობის და
სხვა მიზეზების გამო, ჩემ ახსნას
საკმაო ან საჭირო სისრულე ვერ
მივეცი. მაგრამ იმედი მქონდა და
ეხლაც მაქვს, რომ ჭკვიანი ან გო-
ნიერი კაცისთვის აზრის დაღეჭვა
და პირში ჩადება საჭირო როდია.
იმისთვის საკმარა ყური მოჰკრას
ხეირიან აზრს. დანარჩენს ის თვი-
თონაც მოიაზრებს. აზრის გაშოუთქ-
მელ მიზანს ის თვითონ შენიშ-
ნავს...“

„მაშასადამე, ეხლა ორილა შენიშვნა დამჩრენია. რომლის გამოთქმით შემიძლია მოკლეთ ჩემი ლექციების უმთავრესი აზრი და მნიშვნელობა დაგანახოთ. მს თრივე შენიშვნა მომელელმა ნიადაგ თავის ყოფაქცევის კანონათ უნდა იქონიოს.

„შენიშვნა პირველი“

„ბაკუშვების მოვლაში“ ჩვენ ნიადაგი იმას უნდა ვცდილობდეთ რომ ბაკუშვი ნაზ, ნარნარ ცხოვრებას შევაჩვიოთ, და მასთანავე იმას ნაზათ ან ნარნარათ ცხოვრების საშუალება მოუსპოთ, ისე, რომ უჩვენოთ იმას თავი განაზებული ბუნების დაკმაყოფილება არ შეეძლოს. მაშინ, რასაკეირველია, ის უფრო ადგილათ დასამორჩილებელი შეიქნება.

«უნიშვნა მეორე»

„ზონიერ მომცვლელს ბავშვის მოელა მხოლოდ საშუალებათ უნდა მიაჩნდეს, უზენაესი მიზნის მისაღწევლათ. ამ გეარ მიზანს უფროსების ნება, სურვილი და სარგებლობა შეადგენს. ბავშვების სიკეთე, მომავალი, მათი შემდეგი ბედი ან უბედობა მისთვის ჭანდრაკის პაიკებათ უნდა გადიქცეს. მომცვლელმა ეს პაიკები უფროსის სასარგებლოთ, როგორც მის თამაშს მოუხდება, ისე უნდა იხმაროს და ატრიალოს.

„დასასრულში ნება მიბოძეთ ვისურეო თქეენი შვილებისთვის, რომ ღირს-იქმნენ ოდესმე ჩვენ დიდებულ კოროლევას ფეხ-ქვეშ მტკერი ლოკონ, და მით სახელმწიფოს უმაღლეს ადვილებს ეღირსონ.“

ცოლ-ძმრობით ვაჭრობა

(ფანტაზია)

18 დეკემბერს 1870.

ჩვენში, ამ უკანასკნელ ღრომით,
ძლიერ ხშირი იყო ანგარიშით ქა-
ლის გათხოვება ან შერთვა. ადამი-
დამ დაწყებული, ჩვენ მუდამ მზი-
თეს და შემძლე ნათესავებს ვესი-
ძებოდით ან ვემოყვრებოდით. ქა-
ლის გულს კი, ხასიათს და გრძნო-
ბას ერთ ბისტაცი არ ვაგდებ-
დით.

მს სიყვარულის და გრძნობის ვა-
ჭრული, ბაზრული ხმარება ყველას
თვალ-წინ აქვს. მაგრამ თავისი უხე-
ირობით ის ჩვენ არც გვაკვირებს,
არც გვაწუხებს. იმას ჩვენ თვალი
გაუმაგრეთ, შევაჩვიეთ. ის ჩვენ ისე-
თი გარემოებებით ან ცერემონიე-
ბით შევამკეთ, რომ მის ბაზრულ

ხასიათს ჩვენ სრულიათაც ვივი-
წყებთ.

მრთ ჩვენებურ ყმაწვილს კი ეს
ჩვენი ორპირული, თავისთავის და
ქვეყნის მატყუებელი საქციელი რო-
დი მოსწონებია. „თუ სიყვარულში
პირველი საქმე ვაჭრული ანგარი-
შია—უფიქრია იმას,— თუ საზოგა-
დოება დაცინვით ან შეურაცხვო-
ფით სღევნის იმ ცოლ-ქმარს, რო-
მელიც მარტო წმინდა სიყვარულმა
შეაერთა, და აღტაცებით იღებს იმას,
რომლის შემაერთებლათ — ანგარება
ან ვაჭრული ანგარიში ყოფილა,
სულმოკლეობა და დედაბრობა არ
არის კაცისთვის, ათასნაირი ხერხით,
ოსტატური მანქანობით უმაღლავდეს
ქვეყანას, რომ ის იქცევა სრულიათ
ისე, როგორც მთელ საზოგადოე-
ბას მოსწონს და სურს? სულმოკ-
ლეობა და დედაბრობა არ არის
კაცისთვის, რომ ვაჭრულ ყოფა-

ქცევას ის ვაჭრულ სახელს ვერ არ-
ქმევდეს?

„რაკი საზოგადოება, ცოლ-ქრისტიანის საქმეში, განსაკურებით ვაჭრულ ანგარიშს აფასებს; მე იმოლნათ თავს არ დაეიძღაბლებ, რომ პირდაპირ არ მოვიქცე ისე, როგორც ვაჭრები იქცევიან. ვნახოთ, აბა, მაშინ, ვის შეიძლება — ჩვენ საზოგადოებაში — ჩემი შეურაცხყოფა ან გმობაო“

ასე უფიქრია იმ ახალგაზდა კაცს, რომელზედაც გემუსაითებით. მს გადაწყვეტილება მიუღია იმას, როცა თავისი სწავლის ნახევარი ნაწილი შეუსრულებია და ტუჩებ ზეით ლინტლი უგრძენია.

მაშინ, ამ ახალგაზდა კაცს შემდეგი პლანი შეუდგენია, და ასრულებაშიც მოუყვანია.

საქართველოს ერთ ქალაქში — სა-
დაც ყოველნაირი ხალხი, და მაშა-
სალამე ქალიც იპოვება — ამ ყმაწვილს
ერთი ახალგაზღა ქალი მოუძებნია,
რომელსაც მზითვათ ათასი თუმანი
ჰქონია გადადებული. ქალი მოუძებ-
ნია რომ ვთქვი, ეს თქვენ ისე უნდა
გაიგოთ, რომ იმას შეუტყვია ამ
ნაირი ქალის იმ ქალაქში ყოფნა.
მისულა, ამის შემდეგ, ეს ყმაწვილი
ათას თუმნიანი ქალის დედ-მამას-
თან, და მათთვის თავისი განძრახვა
გამოუხატავს.

„მე შევასრულდე სწავლა თფილისში.
რუსეთში რომ შემეძლოს წასვლა, და
იქ სამი-ოთხი წლით დარჩენა, ჩინე-
ბულ კაცათ დაებრუნდებოდი. ადგი-
ლი კარგი მექნებოდა მაშინ, ჯამაგი-
რიც ჩინებული, და სახელიც დიდი.
მაგრამ, ამის შეძლება როდი მაქვს, —
თქვენ გყავთ ქალი. მოდი, მომეტით
ეხლა ორასი თუმანი, და რუსეთში
სასწავლებელათ გამისტუმრეთ. პანო-

ნიერ ხელწერილს მოგცემთ, რომ, რუსეთიდამ დაბრუნების შემდეგ, ყოვლის უარის-უთქმელათ თქვენი ქალი შევირთო. მაშინ კი დანარჩენი რვაასი თუმანი უნდა მივიღო თქვენგან.“

ისტორიას ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რამდენ ხანს ან რა ნაირათ გაგრძელდა ამ საგანზე საუბარი, რა რიგათ ივაჭრეს სიძე-სიმამრმა. მაგრამ, მათი ვაჭრობის საბუთი, მათი პირობა შემდეგი შთამომავლობის სამაგალითოთ და გასაკვირვებლათ ერთ თფილისელ კანტორაში ჩარჩენილა.

ვისაც ჩვენი ვაჭეთისთვის თვალი უდევნებია, იმან კარგათ იცის. რომ ჩვენ თავ-გამომეტებულათ ვცდილობთ მკითხველისთვის საამო, სასარგებლო და გამოსადევი ცნობები შევკრიბოთ. მაშასადამე ის დარ-

წმუნებული უნდა იყოს, რომ, როგორც კი ეს ამბავი გავიგეთ, იმწამს-ვე ამ ახალნაირი სიგელის ძებნას შეუდექით. საუბედუროთ, კანონი სასტიკათ ეპურობა თურმე სხვისი. საიდუმლოს გამმოფენელს. ამის გამო იმ პირმა, რომელსაც ეს სიგელი დაემტკიცებია, ათას ჩეენ თხოვნაზე ერთი და იგივე პასუხი გვახალა: „კანონი სხვისი საიდუმლოების გამხელას მიკრძალავსო!“

ბევრი ცდის შემდეგ, გადამწერლების და წამკითხველების გამოკითხვით, როგორც იქნა, შევიტყეთ ამ სიგელის შინაარსი, და თუმც მისი პირი ხელში ვერ ვიგდეთ, ჩეენი ფანტაზიის დახმარებით მისი შეთხვზა მაინც შევეიძლია. ჩეენი აზრით, ეს პირობა აი როგორ იქნებოდა დაწერილი:

„ვექსილი ცოლის-შერთვისა.“

„დღეის რიცხვიდან თხე-წელიწად-სა-
სეკრის შემდეგ, ესე იგი 18 მარტს
18** ვალდებულივარ, ყოვლის უარის
უთქმელათ შევირთო ვახონიერი გვირ-
გვინით აზნეური დავით შანდალაშვილის
უფროსი ქალი, სახელათ დარია, მისი
ათასი თუმნიანი მძიმელით. რომელ
რიცხვში თრასი თუმანი სირმა კერცსლი
წინ-და-წინ საღდ ფულათ მივიღე.—

18 ენგენისთვეს 18**

„აზნაური პეტრე ბოსიძე“

სხვა საგნებს შუა, ფნივერსი-
ტეტში ერთს ასწავლიან, რომელ-
საც სახელათ „ვექსილის სიმართლე“
ჰქვია (Вековьиое право), და რომ-
ლის დანიშნულება ვექსილის კანო-
ნების ან წესის ახსნაა. ამ „სიმარ-
თლეში,“ სხვათა შორის, ნათქვამია:
ვექსილის უმთავრესი ლირსება ან
სიკეთე ის არის, რომ თითქმის ნალდ
ფულსავით გასაღება შეიძლება იმი-

სი, რადგანც მისი გადაცემ-გადმო-
ცემა ძლიერ აღვილია, უნდა მარ-
ტო მეორე გვედრზე ორიოდე სიტყვა
დასვას კაცმა, ასე: „გარდაუხადეთ ამა
და ამ პირს,“ და მერე ხელი მოა-
წეროსო. მს ლირსება და კანონი,
ჩვენში, მგონია, იმისთანა პირების-
თვისაც ცხადია, ვისაც უნივერსი-
ტეტი სიზმარშიაც არ მოჩვენებია.
ამ საგანს ნოტარიუსი და „სულებნი
პრისტავი“ ყველა პროფესორზე უკეთ
ავრცელებს ჩვენ ხალხში...

მაში ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ
გასათხოვარი ქალის დედ-მამას უკე-
თესი საქმრო შეხვედა ანა და ეს ქა-
ლი გადაბრუნდა და მოკვდა, ანა
და მოხდა სასწაული — ქალმა თვი-
თონ თავისი გულის ან გრძნობის
შესაფერი საქმრო მოინდომა. და-
კარგოს ამ ჩვენმა დავით შანდალა-
შვილმა მისი გლეხების ოფლით და
შრომით მონაცები ორასი თუმანი?

გონიერი კაცისთვის ეს კითხვა
თავის სამტკრევი როდი უნდა იყოს.
როგორც გამსესხებელს უფლება
აქვს თავის მოვალეს მოთხოვოს,
რომ ამან ვალი მესამე, დანიშნულ,
პირს მიართვას, — ცოლის შერთვის
ვექსლიც ამ ნაირათვე უნდა გადაი-
ცემოდეს. მაგ დავით შანდალაშვილს
ვექსლის მეორე გვერდზე ამ სიტ-
ყვების დაწერაც უნდა შეეძლოს: შე-
ირთეთ ჩემი მეზობელი ზურაბ ბე-
ზიაშვილის და.“

ქანონისამებრ, მოვალემ ზმა-ამო-
ულებლათ უნდა გარდაუხადოს ვა-
ლი იმ პირს, რომლის სახელი იმ
ნაირათ ვექსილზე წარწერილია. მა-
შასადამე, ჩეენმა პეტრე ბოხიძემაც,
დმინიშნულ ვალაზე, მშვენიერი ფრა-
კი უნდა ჩაიცვას, და იცოდეს ვინ
მოუტანს ოთხ წელიწად ნახევრის
წინ დაწერილ ვექსილს, ესე იგი

ვისთან შეაერთებს იმას ბედი და „ვექსილის სიმართლე.“

შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა მისი გრძნობის ან გუნების მდგო-
მარეობა, როცა, სალამოს რვა სა-
ათზე, მისი ვექსილის ძალით, ჯვარდა-
საწერათ ერთი უხეირო, უშნო და უკუ-
ბილო ბებრუსანა წამოდგება! გაქვსთ
სიცოცხლე, ის მაშინ თავზე ხელს
წაიშენს და ხმა-მაღლა ლრიალს
დაიწყებს, ეს უსამრთლობაა, მე, სხვა
ქალზე „გავრიგდი“ ეხლა კი ვიღაც
ოხერ-ტიალს მართვევნებენო!

აბა, ფამიბრძანდით, მაშინ, ვინც
პირველი მჭევრ-მეტყველი ხართ,
და დაჯერეთ ქს ვაჟბატონი, რომ
ოთხ-წელიწად ნახევარში, თუნდ
რომ ვექსილის პატრონს სიგელი
სხვისთვის არ ვაღაეცა, თვითონ ბუ-
ნება ან დროება უარეს. ცვლილე-
ბას მოახდენდა იმ ქალის ხასიათში,

რომლის სახელი ვექსილშია ნახსენები! ვინ ეშმაკი დაარწმუნებს იმას, რომ ოთხი წლის შემდეგ, ჯვრის წერის დროს, სულ სხვა ზნეობის, სხვა ხასიათის ქალი ამოუღება ეკკლესიაში, მინებ ის ქალი, რომელიც ვექსილის დაწერის დროს ენახა და გაეცნო (თუ კი მართლა ქალი უნახავს ან ვაუცვნია!)

აჰ, თქვენც არ მომიკვდეთ, თქვენ ეს აზრი ვერ გაავებინოთ! ქაცს ისეთი ბუნება აქვს, რომ ძლიერ მალე იგებს მისთვის სასარგებლო და გამოსადეგ აზრს, თუნდაც ეს აზრი მჩს წინ ვინმებ ულვასავით გაჰკრას. სამაგიეროთ, თუ კი რომელიმე აზრი მის ჯიბისთვის ან მდგომარეობისთვის სავნებელია, ათას ნაირი საბუთებითაც რომ უმტკიცოთ, სულ ერთია, მაინც ვერ დაჯერებთ და აზრს თავში პალოთიც ვერ ჩაუჭედია. — ჩვენი პეტრე

ბოხიძეც, ამნაირათვე, სიკვდილამ-
დი დარწმუნებული დარჩება, რომ
სხვა ქალის ჯვარდასაწერათ მოყვა-
ჩით სიმამრმა ის დატყუა ან შეაც-
თინა, ანა და თავის უფლება გადა-
აჭარბა...

ხომ სასაკილოა, მკითხველო, ამ
მდგომარეობაში ჩვენი დატყუებული,
გაჯავრებული ბოხიძე? ხომ უადგი-
ლოა მისი წყრომა და ლანძლვა?
ხომ უსაფუძლოა მისი ყველრება?
დარწმუნებული ვარ, ამ საგანზე და-
ფიქრებაც არ გჭირია, ისე მეტყვი:
„რასაკვირველიაო.“

— პარგი და პატიოსანი! მაგრამ ამ
ბოხიძემ რა დაშავა, რა ქნა ისეთი,
რომ ჩვენ ყველანი ყოველდღე არ
ვშევრებოდეთ? ვითომ, გულწრფელი
რომ იყო და ქალალდზე დაწერა ის,
რისიც დაწერას ჩვენ ვერ ვბედავთ
და რასაც ჩვენ ჩუმათ, მაჭანკლე-
ბის საშუალებით, ვშევრებით,

ის ამითვის სიცილით ან ხარხარით ჩასაქოლავია? უფრო ღმერთი გწამთ, მითხარით, რითა ის იმ კაცზე უფრო სასაცილო, რომელიც, მზითვის გულისთვის, თითქმის ძუძუ-მწოვარ ბავშვს ირთავს, ანა და ქალის ხასიათის ვაუცნობლათ, მზითვის დაფასებით, დაგვირგვინების სიტყვას ჯდლევა?

იმათი ცოლების ხასიათიც ისე მაღე და სრულათ შეიცვლება, როგორც ჩვენი პეტრე ბოხიძის საცოლოსი. იმათაც ცოტა ხნის შემდეგ გვერდში სრულიათ „ს ხ ვ ა“ ქალები ამოუდგებიან. ისინიც ცოლში ხშირათ ბევრ ახალ, უსიამოვნო მხარეს გამოაჩენენ... მაშამ პირებს ჩატომ არ დასცინით, და მარტო საბრალო პეტრე ბოხიძეს რას ჩასცივებიხართ?

შველანი, ჩემო მკითხველო, ერთნაირები არიან. შველა „ვაჭრობს,“ და ვაჭრობაში, ხომ, ზოგი იგებს,

ზოგი აგებს. მაგრამ, თუ სამართლიანი კაცი ხარ, ყველას, წამგებსაც და მომგებსაც, ერთ ნაირათ უნდა მოექცე. შოველთვის ერთ ნაირათ უნდა თქვა: „მს უპატიოსნო ვაჭრობა იყო, პატიოსან ან გონიერ პირებს შუა ამ ნაირი გაწყობილება და საქციელი, ამ ნაირი დატყუება და ანგარება არ უნდა იყოსთქო.

ЧЕЛСИЕНОВОЕ 30 ФЕВРАЛЯ

Ахъ боже мой, что станетъ говоритьъ
Княгиня Марья Алексѣвна

Горе отъ ума

30 ФЕВРАЛЯ 1870

Бѣтъ Шеремѣтѣвъа ўбѣдѣ гоаімѣтъ,
ჩემთ საცვარელო მკითხველო. ისეთი
რომ მისი ამბავი მოკლესა და სა-
საცილოც. ამ მოთხრობით შენ
გართვას, გახალისებას ვაპირებ,
იქნება დღესასწაულებში ერთი ნა-
ხევარი საათის სიამოვნება მაინც
გერგოს ჩემი მხრით.

მაგრამ... ქვეყანაში უმაგრამოთ
არა ხდება რა. ჩემი ბედი ისეთი
უცნაურია, რომ სადაც ორი-სამი
სიტუაცის თქმა საჭირო ან საკმარია,
იქ დაუბოლოებელ წილადობილას
უნდა მოგიყვე, და სიამოვნების

მაგიერ, გაჭირვების ოფლი გადინო
ჩემი ფელტონის კითხვის დროს...

ამ ბედს ჩემზე ისეთი ძალა აქვს,
რომ სიზმარშიაც ვერ ვმეღავ მის-
გან გათავისუფლებიც ნატვრას. იმას
კარგა ხანია დაემორჩილე. რო-
გორც შემიძლია, ისე ვსწევ ჩემ
ჭაპანს, სანამდი ძალა ან მოთვინე-
ბა გამყება. მერე კი...

მერე? — ამ საგანზე შენ რა გაქვს
საფიქრებელი ან საღარღელი?

მაშ, ამბის დაწყებამდი, ჯერ მთე-
ლი თაბაზი უსარგებლოთ იმას
უნდა მოვანდომო, თუ სად მოხდა
ეს ამბავი.

ერთი ქვეყანა არის დედა-მიწაზე —
შევცდი, უნდა მეთქვა: „საღლაცოთქო“
რომელსაც სახელათ უსახელო
ჰქვია, და რომელიც ჩვენსას სრუ-
ლიათაც არ ჩამოგავს, არც ჩვენი
მეზობლებისას, არც ჩვენი ნაკანო-

ბებისა, არც ჩვენი მეგობრებისას
არც ჩვენი მტრებისას. ერთი სიტყვით
ის არცერთ სხვა ქვეყანას არა
გავს, და იმას არც ერთთან მისცლა-
მოსვლა არა აქვს.

ამ ქვეყანაში სახლები უკულმა
დგანან. მაცებს ჩვენებური არა აქვს
რა, თითო თვალის და შვილი ყუ-
რის მეტი. წყლის მაკიერათ იქ
შარბათია მღინარებში, და პურის
მაგიერათ ხალხი მანანით ძლება. ძა-
ლები, ხომ, იმ ქვეყანაში სრულიათ
არ მოიძებნებიან.

ქაცები. ჟაკრავათ კიდევ, შევ-
ცდი, ჩემო ბატონო. — ქაცებს თავი
დავანებოთ... მიწა—სულ სიპი ქვა
და ქვიშაა, რაღა ბევრი გავაგრძელო,
„უსახელო ქვეყანა“ სრულ ებით, სრუ-
ლებით ჩვენსას არ ჩამოგავს. ლმერ-
თი, რჯული, ხატი, ჯვარი არ ჩა-
მოგავს.

მაგიერ, გაჭირვების ოფლი გადინო
ჩემი ფელტონის კითხვის დროს...

ამ ბედს ჩემზე ისეთი ძალა აქვს,
რომ სიზმარშიაც ვერ ვმედავ მის-
გან გათავისუფლების ნატვრის. იმას
კარგა ხანია დავემორჩილება. რო-
გორც შემიძლია, ისე ვსწევ ჩემ
ჭაპანს, სანამდი ძალა ან მოთმინე-
ბა გამყვება. მერე კი...

მერე? — ამ საგანზე შენ რა გაქვს
საფიქრებელი. ან საღარდელი?

მაშ, ამბის დაწყებამდი, ჯერ მთე-
ლი თაბაზი უსარვებლოთ იმას
უნდა მოვანდომო, თუ სად მოხდა
ეს ამბავი.

ერთი ქვეყანა არის დედა-მიწაზე —
შევცდი, უნდა მეთქვა: „სადღაცოქო“
რომელსაც სახელათ უსახელო
ჰქვია, და რომელიც ჩვენსას სრუ-
ლიათაც არ ჩამოგავს, არც ჩვენი
მეზობლებისას, არც ჩვენი ნაცინო-

ბებისა, არც ჩვენი მეგობრებისას, არც ჩვენი მტრებისას. ერთი სიტყვით ის არცერთ სხვა ქვეყანას არა გავს, და იმას არც ერთთან მისცლა-მოსცლა არა აქვს.

ამ ქვეყანაში სახლები უკულმა დგანან. ქაცებს ჩვენებური არა აქვს რა, თითო თვალის და შვიდი ყურის მეტი. წყლის მავიერათ იქ შარბათია მდინარებში, და პურის მავიერათ ხალხი მანანით ძლება. ქალები, ხომ, იმ ქვეყანაში სრულიათ არ მოიძებნებიან.

ქაცები. შეკაცრავათ კიდევ, შევ-
ცდი, ჩემო ბატონო.— ქაცებს თავი
დავანებოთ... მიწა—სულ სიპი ქვა
და ქვიშაა, რაღა ბევრი გავაურდელო.
„უსახელო ქვეყანა“ სრულ ებით, სრუ-
ლებით ჩვენსას არ ჩამოვავს. ღმერ-
თი, რჯული, ხატი, ჯვარი არ ჩა-
მოვავს.

რაკი ასე დაწვრილებით და ზედ-
მიწერნით შოთხრობის აღვილი და-
გინიშნეთ, და მით საკმაოთ დაგამ-
შვიდეთ, ეხლა მოყლი მეორე თა-
ბაზი უსარევებლოთ უნდა ავავსო
შოთხრობის „დანიშვნით.

ეს ამბავი მოხდა აღამის გაჩენამდე
სამი წლის უწინ. მკონია, ნათლათ
არის ნათქვამი, რომ საქმე ქვეყნის
გაჩენამდი მომხდარა? მაგრამ, ზოგი
ერთებისთვის, ესეც არაა საკმაო. —
იმათ ეგონებათ, იქნება აღამა გამ-
ყრელიძის ან აღამ შემხვდარიძის
გაჩენის დრო მქონდეს სახეში.
ამისგამო ფიცით და მტკიცით აღვი-
არებ, რომ ზემოხსენებული პდამი
ჩემ აზრში ის პირველი კაცია, რომ-
ლის გაჩენა დაწვრილებით აწერა
მოსე შინასწარმეტყველმა დაბადე-
ბის წიგნში (თავი პირველი, მუხლი
26—30; თავი მეორე, მუხლი 20—
25).

საქმე, რომელიც უნდა აეწერო, მოხდა არც დილას. არც შუალის ხანს, არც საღამოს, არც შუალმეს, არც დღე, არც ღამე. იმ დროს დღეს ოცდა ოთხი საათი კი არა, ოცდა ოთხ ნახევარი ჰქონდა. ჩემი საამბობი საქმე სწორეთ იმ ნახევარ საათში მოხდა, რომელიც შემდეგ გაქრა, გადიკარგა.

მხლა ჩვენ საუცხოოთ ვიცით ადგილი და დრო. მაშასადამე დამშვიდებული სინიდისით იმის გამოკვლევას შეუდგეთ. თუ ვინ იყო მოხსრობის მომქმედი პირი.

ის იყო არც კაცი, არც მხეცი, არც ცხოველი, არც ხე, არც მცენარე, არც მაღნეული, არც არაფერი, რაც კი ჩვენ ქვეყანაში არსებობს, ან რასაც კი აქ უარსებებია. ის იყო „რაღაცა....“

აქ. ჩემთ მკითხველო. ცოტაოდნათ მოთხრობა უნდა. შევწყვიტო, ამიტომ რომ მეშინა, გული არ მოგივიდეს, ფელტონი კუთხეში არ მიაგდო, არ თქვა, ეს ოხერი რას მიეღ-მოედებაო.

ხუმრობა გაშვებით, შეუძლებელია წარმოიდგინოს კაცმა ჩვენებური ფელტონისტის და საზოგადოთ ჟურნალისტის მდგომარეობა. ჟოველმა, თითქმის, მისმა სტრიქონმა, ყოველმა აზრჩა ათასნაირ ჩიხლიხში და ჭახრაკში უნდა გაძვრეს, გაიაროს, სანამ მკითხველ მიუახლოვდება. მხოლოთ მაღალმა ღმერთმა იცის, რა ფასათ უჯდება იმას ეს გავლა... და როცა გაკნაჭილი, გარუჯული, დამახინჯებული აზრი მკითხველს მიუვა, ყველა მხრიდამ კიდევ აყალ-მაყალი ან სამღურავი სტყდება!

დარმოვიდგინოთ უბრალო და
სრულიათ უმნიშვნელო აზრი: მალ-
მა ქუჩაში გაიარა „რაა ამ აზრზე
უფრო უძლეური, უმანკო ან უვნე-
ბელი: ხომ არაფერი? აბა მობრძან-
დით, და დაბეჭდეთ. ჯერ ხომ რედაქ-
ტორი ხელ-ფეხ კანკალით გკითხავს:
„თუ ძმა ხარ, მითხარი, მაგ აზრში
საშიში ხომ არ არის რაო“ მე-
რე ამწყობი, სანამ ააწყობდეს, ორ-
ჯერ-სამჯერ მაინც გეტყვის: „ვაი
თუ წასაშლელი გამიხდესო.“ ბო-
ლოს... ბოლოს როგორც იქნა დაი-
ბეჭდა. დარწმუნებული იყავი, რომ
დაბეჭდილ ეგზემპლიარში ასე ეწე-
რება: „ერთ უცხო ქვეყანაში, ერთ
სულიერს თურმე ქუჩაში გაუვლია.
ზოგიერთები ამბობენ, ვითომ ეს
სულიერი ქალი იყოო. მაგრამ ეს
საგანი ჯერ კარგათ გამოკვლეული
არ არის.“

ჭნდა ნახო, მეორე ან მესამე
დღეს, რა ამბავია ჩვენ პატანინა წრე-
ში. მრთი ქუჩაში ხელს გავლებს და
გეუბნება: „აჲ, შე ასეთო, შე ისეთო,
როგორ გამიბედე ცოლის გალან-
ძლვა, მაცადე, გიჩივლებ, გაჩეენებ
შენ სეირსო“. მეორე—დაახლო-
ებული ნაცნობი—ისე ჩაიარს, თით-
ქო ვერ გიცნო, ან ბლვერით გეუ-
ბნება: „ვინ მოგახსენა, რომ მე იმ
ქალს მიესდევდიო?“ მესამე მორბის:
„რა დაგიწერია, პოეთლუსტა, მი-
თხარი, ეს არის ორი ქალი გაჯავ-
რებული შენ ფელტონზე ლაპარა-
კობდენო,“ ამას მეოთხე ესწრობა,
ამბობს: „როგორ თუ რა დაუწერია,
რაც ქვეყანაზე ქალებია, ყველა ერ-
თიანათ ლანძლვით მოუთხრიაო, და-
უწერია, ყველანი ქუჩა-ქუჩა დაეთ-
რევიანო. ქმრებს სტოვებინო, კა-
ცურ ტანსაცმელს იცმენ, ხმა მალ-
ლა ბინძური სიტყვებით ილანძლე-
ბიანო,— ერთი სიტყვით ქალების-

თვის ერთიანათ, საქვეყნოთ თავი
მოუჭრია, და...“

საჩივარი, თქვენ იქნება, ხუმრო-
ბა გეგონათ? — დამიჯერეთ, ეს ხუმ-
რობაც არ არის. ხანდისხან ისეთი
პირებიც მოიძებნებიან, რომელნიც
შწერლებზე სხივიან. შეურაცყოფით
ახსენეს ჩემი სახელი ამ და ამ გა-
ზეთშიო — სად, როდის! — „აი ბატო-
ნო — ამბობენ — ამა და ამ ნო
მერში პირდაპირ დაწერილია, ერთ
სოფელში ერთი ცოც კაცი არისო.
შეელასთვის აშკარა საქმეა. რომ ეს
ჩემზეა ნათქვამიო.“

რომელ ზეცას და რომელ წმინ-
დანს უნდა შეეველოს კაცი, რომ
მიენიჭოს ამ ჩვენ ზოგი ერთ მკით-
ხველებს სხვისი აზრის და სიტყვის
ცოტაოდენა ხათრი ან პატივი? რო-
დის მოესწრება კაცი იმ ბედნიერ
დროს, როცა აზრს, გონებას, ტვინს

ჩეენში საზოგადოების, ქვეყნის სა-
სარგებლოთ მოქმედება და ღვაწლი
შეეძლოს? როდის მიხვდება ამას
საზოგადოება, როდის მისცემს ის
ფართო გზას გონებას და აზრს,
როდის გაუმავრებს ზურგს თავის
მწერლობას, როდის შეაჩევს თვალს
სიმართლეს როდის დაანებებს თავს
კეთილი აზრის წინააღმდეგობას და—
მაგიერათ — აზრის გამგეჭი, გამცხო
ველებელი, აღმსრულებელი გან-
დება? როდის?

მანამდის როგორც ჩეენში ამ-
ბობენ, ბარე თრი ტურა იყივლებს
ტყეში. პმის გამო, ჩემო კეთილი
მყითხველო, მეც იმნაირათ უნდა
ვწერო, როგორც ის დღევანდელი
ფელტონი დავიწყე. რა ვქნათ მარ-
თალია, უსარგებლოთ დაწერილი
თაბახები გაწუხებენ. შენ არ გი-
ყვარს მეტი სიტყვები: გადაჭარბე-

ბული ლაყბობა შენ თავს გაბეჭ-
რებს .. ვიცი.

მაგრამ, ყოველ ჩვეულებას, ყო-
ველ სიყვარულს საძირკვლათ სა-
მართლიანობა უნდა ედვას. ამ შემ-
თხვევაში, შენ ხანდ-სხან, ჩინებულ
კრესლოში წამოწილილი რო ხარ,
ჩემ ნაწერს უდარდელათ თვალს რომ
ავლებ, და უსარგებლოთ დაწერილ
სტრიქონებზე სჯავრდები, ჩვენ კან-
შიაც წარმოიდგინე თავი და ნუ
ვვირისხდები. თუ მკითხველისთვის
ძნელი ან უსიამოვნოა უხეირო და
უსარგებლო სტრიქონის წაკითხვა,
ათასჯერ, ათასჯერ უფრო ძნე-
ლი ან მომაკვდინებელია მწერლის-
თვის ამ უხეირო სტრიქონების წე-
რა, როცა საქმე ათიოდე სიტყვით,
ორიოდე სტრიქონითაც მშეენიერათ
გამოიხატებოდა, ჩვენში აზრი, მწერ-
ლობა ერთ ბისტათ მაინც რომ
იფასებოდეს ..

მხლა—თუ გნებავს— ჩვენ მოთხოვთას დაუბრუნდეთ. მაგრამ აქაც ისეთი გადახვევა დამჭირდება იმ „რაღაცის“ ასაწერათ, რომელიც ჩემი მოთხოვთას მოქმედი პირია, რომ ამბავი წრეულსაც ვერ გათავდებოდა. მაშასადამე ეს დღევანდელი მოთხოვთაც იმ ყუთში უნდა ჩაიკუშნოს, სადაც გვარიანი ხანია განისვენებენ მისი უფროსი დაძმები.

ვეველროთ ზეცას, რომ ლმერთმა მათ საუკუნო განსვენება არ მიანიჭოს.





الآن، في ظل التحديات التي تحيط بـ"البيئة" في العالم العربي، يتعين على المؤسسات التعليمية والبحثية أن تؤدي دوراً فاعلاً في إعداد وتأهيل الكوادر العلمية والفنية والفنانين والفنانات، الذين يملكون القدرة على إنتاج وتقديم محتوى علمي وفناني ينبع من الواقع العربي، ويؤدي إلى تغيير الواقع العربي نحو الأفضل.